



# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი

3  
2012





ევგენი მიქელაძე

# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

3•2012



ჟურნალი გამოიცემა  
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

ფესტივალი	
ნარგიზა ვარდადუბაძე.	
VII ფესტივალი „აღმომიდან ავალეზაგაძე“ .....	2
სახე	
რუსუდან ქუთათელაძე.	
ეროვნული მუსიკალური პარნასის მკვიდრი .....	18
ვოლემიკა	
ფიქრები ევგენი მიქელაძის კვლევის გარშემო .....	22
პრესრეპი	
ნანა ქავთარაძე.	
სიმღერა რომელსაც უკვავავა უნერია .....	24
რეპორაჟი	
დიმიტრი იამანიძე. ვლადიმერ პოპოვაძე .....	29
ფილოზოგი ხელოვანთან	
ლალი კაკულია. კომპოზიტორი გერმან ჯაფარიძე .....	32
ახალი სახელები	
ნორი პინისის წარმართვა .....	39
მასიანა	
გიორგი კრავიცივილი.	
კოსტა ფიქსსაგა, მივინებულ სოპერო მომღერალი ..	41
ფალიაშვილის სახლ - მუზეუმიდან	
თამარ ნულუკიძე. მუხომღერი სტუდია .....	44
ჩანასატი	
რუსუდან ხოჯავა.	
ოთარ გორდელი და მისი საფორტეპიანო სონატა .....	47
ფოლკლორი	
თამაზ ვაბისონია. „პირველად მღეროდა მასხანოთ“ .....	51
გარდასახვევი	
რუსუდან ქუთათელაძე. ლიანა „ზაფხუთა მღერა“ .....	56
მანანა ტაბიძე. დიდი კვლევის გარდა .....	57
გახსენება	
ვაჟა ძიგუა. განმეორებადი .....	61
ქართული მუსიკა უცხოეთში	
მზია ჯაფარიძე. ქართული კვარტეტის ემიგრანტული	
ისტორია .....	65
კვალი	
კაცი რომელსაც ფალიაშვილი უყვარდა. ....	72
ახალი გამოცემები	
ირმა კახაბრიძევილი. ნიჭი მათთვის	
ვისაც უყვარს ჯაზი და არ უყვარება მუზიკა .....	77
ირაკლი ცინცაძის ახალი კომპოზიციები .....	78
www.....	80
summary .....	82

რედაქტორი: მიხეილ ოძელი თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ ნულუკიძე  
ფილიანი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე, გოგი ჭეფხოძე  
ინგლისური თარგმანი: მარიამ სხირტლაძე  
მისამართი: დავით აღმაშენებლის 123  
ტელ.: (+995 32) 95 41 64, (+995 32) 96 75 05  
ფაქსი: (+995 32) 96 86 78

ზეპედა

შპს „ექსკლუზივ პრინტი“  
დაიბეჭდა სტამბა შპს „ფავორიტი პრინტი“



# VII ფასტივალი „აღდგომიდან ამაღლებაამდე“

ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებაამდე“ წელს მეშვიდედ ჩატარდა. ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ჟვანიამ გახსნის საღამოზე, კონსერვატორიაში აღნიშნა – „ფესტივალი ვითარდება, იზრდება და უფრო და უფრო მეტ საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს“. წინა ფესტივალების სამხატვრო ხელმძღვანელებს შორის იყვნენ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები: 2006წ. – ვალერიან შიუკაშვილი, 2007წ. – ბიძინა კვერნაძე, 2008 წ. – ლიანა ისაკაძე, 2009წ. – ნიკოლოზ რაჭველი, 2010წ. – მარინე იაშვილი, 2011წ. – ალექსანდრე კორსანტია. ბატონმა ლაშამ ყველას მადლობა გადაუხადა და აღნიშნა რომ ბოლო 2011 წლის ფესტივალი იმდენად კარგად და საინტერესოდ ჩატარდა, რომ საორგანიზაციო ჯგუფმა გადაწყვიტა ალექსანდრე კორსანტია ამ ფესტივალის მუდმივ მხატვრულ ხელმძღვანელად აერჩია. წელსაც, ფესტივალი თბილისის გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებშიც გაიმართა. 9 კონცერტი, ბევრი ახალი თუნაცნობი შემსრულებელი და ძალიან საინტერესო პროგრამა არის ის, რამაც ეს ფესტივალი წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად აქცია საქართველოში.

რა იდგა ფესტივალის საწყისებთან და რა უძღოდა მას წინ? ამ კითხვით ჩვენ ფესტივალის ერთ-ერთ დამფუძნებელს, მარიამ დავითაშვილს მივმართეთ.

**მარიამ დავითაშვილი** — ფესტივალის იდეას იმპულსი მისცა ჩემი ნათესავის, აკაკი რამიშვილის სურვილმა. აკაკი რამიშვილი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის, ნოე რამიშვილის ვაჟი, რომელიც 4 წლის ასაკში წაიყვანეს საქართველოდან და მთელი ცხოვრება ემიგრაციაში გაატარა.

თუმცა, როგორც მან მითხრა, ერთი დღე არ ყოფილა საქართველოს გარეშე. მისი ფიქრები, მისი იმედები, მისი პერსპექტივები და ოცნებები ყოველთვის დაკავშირებული იყო საქართველოსთან.

ეს იყო ადამიანი, რომელმაც მე სულ სხვანაირად დამანახა ჩემი სამშობლო! სულ სხვანაირად შემაცვარა ჩემიანები. ძალიან ფართო გაქანების, ფართო აზროვნების ადამიანი იყო. როდესაც მე მას დავეხლოვდი, ის უკვე მოხუცი იყო, მაგრამ ამავე დროს იყო ჩემზე ახალგაზრდა. სულ 3-ჯერ მოვახერხე მისი ნახვა. ბოლოს, 3 დღით ადრე გარდაცვალებაამდე შევხვდი და მაშინ მთხოვა: „ისეთი საქმე წამოიწყე, რომელიც წელიწადში ერთხელ ქართველებს მთელი მსოფლიოდან ჩამოიყვანს სამშობლოში“-ო. ეს ახლა არის წასვლანამოსვლა ძალიან ადვილი, მაგრამ მაშინ, 2000 წელსაც კი, ეს ძალიან დიდი პრობლემა იყო.

აკაკი რამიშვილის გარდაცვალების შემდეგ მე დავინწყე ფიქრი ამ იდეაზე. მე მომივიდა თავში დამეფუძნებინა მუსიკალური ფესტივალი, რომელიც აღდგომის დღესასწულთან იქნებოდა მისადაგებული. 2006 წლამდე ამ იდეას ხორცშესხმა არ ელოდა. 2005 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შევხვდი, რათა ამ ფესტივალის კურთხევა მიმეღო. პატრიარქმა ძალიან დიდი ყურადღებით მომიმინა და მითხრა: „რასაკვირველია, მე დავლოცავ ამ კეთილშობილური საქმის წამოწყებას! მითუმეტეს, რომ მე და მუსიკა ხომ ერთად დავიბადეთ“. ამ სიტყვებით გამომისტუმრა და როდესაც გამოვედი იქიდან შევამჩნიე, რომ სახეზე ცრემლები მომდიოდა.

შემდეგ კიდევ ერთი წელი მე ჩემს მეგობრებთან — მანანა ხვედელიძესა და ირინა სახამბერიძესთან ერ-



თად ვმუშაობდი ამ ფესტივალის მომზადებაზე. ჩვენ დავაარსეთ „აკაკი რამიშვილის ფონდი – ტრადიცია და ინოვაცია“, რომელიც შემდგომში, პატრიარქის ფონდთან ერთად გახდა ამ ფესტივალის დამფუძნებელი. ჩვენი დევიზი ყოველთვის იყო ის, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ გავაკეთებდით უნდა მოსწონებოდა პატრიარქს. ასე გაჩნდა ფესტივალის სახელიც: „აღდგომიდან ამალელებამდე“.

2006 წლის პირველი ფესტივალი უფრო ექსპერიმენტის სახეს ატარებდა, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც იყო იანო აღიბეგაშვილის პირველი სოლო კონცერტი თბილისში, მას უკვე სერიოზული ფესტივალების რანგში აყენებდა. იანო მანამდე 7 წელი არ ყოფილა საქართველოში და პირველად დაბრუნდა ფესტივალისთვის. ჩვენთვის ეს ძალიან სიმბოლური იყო. იანოს დაბრუნება დაემთხვა იმ იდეას, რაც იყო ამ ფესტივალის სათავეში ჩადებული აკაკი რამიშვილის მიერ. დაემთხვა ისიც, რომ პატრიარქს ძალიან მოეწონა ეს მომღერალი და მთლიანად კონცერტი. ყველაფერმა ამან, ამ პირველმა წარმატებამ თავისთავად მოიტანა ის, რომ ჩვენ საპატრიარქოს მეშვეობით დაუკავშირდით „პატრიარქის საქველმოქმედო ფონდს“ და იმის შემდეგ ამ ფონდის თანადგომითა და დახმარებით მოვედით ფესტივალის მეშვიდე წლამდე. ამან კი უკვე გამოიღო ის შედეგი, რომ დღესდღეობით საზოგადოება უკვე ელოდება ამ ფესტივალს“.

**18 აპრილი – საკრავიერი დუეტის საღამო**

ფესტივალის გახსნის დღეს ფესტივალის ორგანიზატორებმა საკრავიერი დუეტი **გიორგი ვაჩნაძე** (ფორტეპიანო) და **სურენ ბაგრატუნი** (ვიოლონჩელო) შემგვთავაზეს.

გიორგი ვაჩნაძე, „Stienway“-ს არტისტი, დღეს ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ამერიკაში მან ლექსო თორაძის სტუდიაში ისწავლა. მას მერე, სხვადასხვა კონკურსზე მიღებულმა ჯილდოებმა და მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრებთან და დირიჟორებთან გამოსვლამ მუსიკოსს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. დღეს პიანისტი შემოქმედებით ზენიტში იმყოფება. ის ერთნაირად ფლობს ყველა სტილისა და ჟანრის მუ-



სურენ ბაგრატუნი, გიორგი ვაჩნაძე

სიკას. ფესტივალის ფარგლებში გიორგი ვაჩნაძე წარმოვიდგა ორ ჰიპოსტაზში: როგორც ანსამბლის წევრი, სურენ ბაგრატუნთან ერთად და როგორც სოლისტი თბილისის დასკვნით საღამოზე, 22 აპრილს. ძნელი სათქმელია სად უფრო კარგად გრძნობს ის თავს. ორივე ჟანრში მან საკუთარი მიდგომის ძალზე ფაქიზი და შესრულების დაუშრეტელი ფანტაზია შემოგვთავაზა. ანსამბლში მისი დაკვრა გამოირჩეოდა ინტელექტუალური და ამავე დროს ძალიან ემოციური მიდგომით.

მუსიკალური კრიტიკოსი **Faubion Bowers** კლასიკურ მუსიკალურ ჟურნალ „American Record Guide“-ში წერს: „ვაჩნაძე არის სრულყოფილი ხელოვანი, რომელიც ამყამად საკუთარი მუსიკალური და ინტელექტუალური შესაძლებლობების მწვერვალზე იმყოფება. იგი ფორტეპიანოსთან საოცრებებს ახდენს – ფლობს ფაქიზ პიანისიმოს, მასიურ დიაპაზონებს და ყველაფერს, რაც მათ შორისაა“.

საკრავიერმა დუეტმა იმ დღეს სონატების საღამო შემოგვთავაზა. პირველ განყოფილებაში შესრულდა ბეთჰოვენის მე-4 და მე-5 სონატები და მეორე განყოფილებაში რახმანინოვის სონატა თხზ. 19 სოლ მაჟორი.

გიორგი ვაჩნაძის დახვეწილი პიანისიმო სურენ ბაგრატუნის ობერტონებით მდიდარ ბგერასთან ერთად შესანიშნავ მუსიკალურ ქსოვილს ქმნიდა. მათი დუეტი



ბეთოვენის სამყაროს ყველა ნიუანსს აჟღერებდა.

ყოველგვარი ზედმეტი ეფექტების გარეშე დაკრულმა მუსიკამ თავისი იდეალური ტემბრალური პალიტრით ქართველი მსმენელის აღფრთოვანება გამოიწვია.

დუეტის მეორე წევრი, ვიოლონჩელისტი სურენ ბაგრატუნი წლევიანდელი ფესტივალის ნამდვილი მშვენიერება გახდა. დიდი მადლობა მისი და გიორგი ვაჩნაძის მოწვევისთვის ბატონ ალექსანდრე კორსანტიას! სურენ ბაგრატუნს უდიდეს შემსრულებელთა კოჰორტაში დღეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. იგი გამოდის მსოფლიოს ყველა უდიდეს სცენაზე და მისი საკონცერტო გრაფიკი დიდი ხნით ადრე არის გაწერილი. ერთ-ერთი უცხოელი ჟურნალისტი (Richard Dyer) მასზე წერს: „სურენ ბაგრატუნმა კიდევ ერთხელ დაგვანახა საკუთარ ჩელოზე დაკვრის ოსტატობა; ინსტრუმენტზე, რომელიც მისი სხეულის გაგრძელებაა თითქოს“.

**სურენ ბაგრატუნი (ჩელო):** „თბილისში პირველად არ ვარ, აქაურობა ძალიან მომწონს; ჩემი წინაპრების ერთი ხაზი აქედან იყო წარმოშობით. გიორგი ვაჩნაძეს დიდი ხანია ვიცნობ; ჩვენ 1998 წელს შევხვდით ტაივანში. მას მერე ვმეგობრობთ და ერთად გამოვდივართ. მანამდე ვიცნობდი ალექსანდრე კორსანტიას და ლექსო თორაძეს. დღევანდელი კონცერტის პროგრამა საკმაოდ რთულია. არც ისე ხშირად ირჩევენ მუსიკოსები მას. ჩვენ ეს პროგრამა ერთხელ უკვე დაკრული გვაქვს ჩიკაგოში. მე მგონი დღეს კარგად ჩაიარა ყველაფერმა. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი მაცურებლით. იგრძნობა, რომ საქართველო დიდი ტრადიციების და კულტურის ქვეყანაა“.

მადლიერმა თბილისელმა მაცურებელმა ოვაციები არ დააკლო შემსრულებლებს. მათ კი საჩუქრად, ბისზე, სულხან ცინცაძის მიერ არანჟირებული „იავნანა“ შესთავაზეს. ასე დასრულდა ეს საოცარი, ორი საკრავის, ინტიმური მუსიკით გაჟღერებული, სონატების საღამო.

**19 აპრილი – საფორტეპიანო მუსიკის საღამო**

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის, ალექსანდრე კორსანტიას გადანიშნულებით, ამიერიდან



ალიოზა იურიჩიჩი

ფესტივალში მონაწილეობის საპატიო მისია ერგებათ ცნობილი საერთაშორისო კონკურსების გრან პრის მფლობელ ახალგაზრდა მუსიკოსებს. ამჯერად ასეთი გახდა 23 წლის ალიოზა იურიჩიჩი, რომელმაც სულ ახლახანს, 2012 წლის გაზაფხულზე გაიმარჯვა მილანის „Spazio Teatro 89 – Encore! Chura Cherkassky“ ფესტივალზე. ალიოზა ამჟამად საფორტეპიანო ოსტატობას ვენის და ზაგრების უნივერსიტეტებში ეუფლება. ახალგაზრდა მუსიკოსი უკვე 6 საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატია.

თბილისელი მაცურებლის წინაშე მუსიკოსი რომანტიკული რეპერტუარით წარსდგა. პირველ განყოფილებაში შესრულდა შუმანის „დილის სიმღერა“ და ფანტაზია დო მაჟორი. მეორეში კი შოპენის ორი ნოქტიურნი და ლისტის უნგრული რაფსოდია. საფორტეპიანო მუსიკის ეს ურთულესი რეპერტუარი ახალგაზრდა მუსიკოსმა საოცარი ჩაღრმავებით, ბგერის უნაბესი წვდომით და მგზნებარე ტემპერამენტით მოგვანოდა. სამი რომანტიკოსი კომპოზიტორი ალიოზამ განსხვავებული ფერითა პალიტრით გააჟღერა. შუმანის „დილის სიმღერაში“ ბგერა იმდენად გამძვირვალე იყო, რომ მუსიკა უფრო შუბერტის ასოციაციას იწვევდა. შუმანის ფანტაზიაში მან გრძნობათა მრავალფეროვან გამაში ლირიკული ნაწილი განსაკუთრებული წვდომით განასახიერა. ახლო იყო მისთვის შოპენის ნოქტიურნების სამყაროც. განსაკუთრებული სიფაქობით გაჟღერდა №2 ნოქტიურნი, რე ბემოლ მაჟორი თხმ.27, რომელმაც ახალგაზრდა მუსიკოსმა თავისი ბუნების ლირიკული



სული მთლიანად გაგვიანწილა და გულის სიღრმედე ჩაგვწვდა (შეგიძლიათ მოისმინოთ ეს შესრულება You Tub-ზე: AljoSa Jurinic plays F. Chopin Nocturne №2). აი რას წერს ჩემს მიერ ატვირთული ვიდეოს შესახებ ერთი ინტერნეტ- მსმენელი: „Beautiful interpretation! Sophisticated and experienced, with a subtle channeling of emotions“... „ულამაზესი ინტერპრეტაციაა. ჩაღრმავებული და გამოსდილი, ემოციების უნაზესი გადმოცემით“...

შოპენის პოლონეზში ალიოშა იურიჩიმა თავი გამოავლინა, არა მარტო ბგერის, არამედ დრამის ოსტატადაც. დასასრულს, თბილისელი მსმენელი არ მაღავედა აღფრთოვანებას. მუსიკოსმა რამდენიმე ბისი შეასრულა, მათ შორის ურთულესი შოპენის მე-18 ტერციების ეტიუდი და დებიუსის ეტიუდი.

ალიოშა იურიჩი — ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი კონცერტით, თუმცა სრულყოფილება არასდროს მიიღწევა; დარბაზმა ძალიან თბილად მიმიღო. მე შევთავაზებ მათ რომანტიკული მუსიკა, რომელიც ახლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

რაც შეეხება მილანის კონკურსს, იგი ეძღვნება ისეთ მუსიკოსს, შურა ჩერკასკისს, რომელსაც გარდა უდიდესი პროფესიონალიზმისა იცნობდნენ, როგორც საოცარი იუმორის მქონე ადამიანს. ალბათ ამიტომაც ამ ფესტივალზე, სხვა ადგილებისგან განსხვავებით უფრო თავისუფალი ატმოსფერო სუფევს. ჟიურის წევრები უშუალოდ გელაპარაკებიან, ისე, როგორც ჩვეულებრივი მსმენელები..

ფესტივალზე „ადდგომიდან ამაღლებამდე“ მონაწილეობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. მე შევხვდი საქართველოს პატრიარქს, ილია მეორეს და ეს ჩემთვის დაუვიწყარ მოვლენად დარჩება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

**20 აპრილი — ვოკალური მუსიკის საღამო**

ეს დღე მიეძღვნა გამოჩენილ ქართველ მუსიკოსს, პიანისტ ვაჟა ჩაჩავას. ფესტივალის ორგანიზატორის, მარიამ დავითაშვილის თქმით, 20 აპრილი შეირჩა სრულიად შემთხვევით ამ საღამოსთვის. რაოდენ დიდი იყო მათი სიხარული, როდესაც აღმოჩნდა, რომ 20 აპრილი



ვაჟა ჩაჩავას საღამო

დიდი მასტროს დაბადების დღეს დაემთხვა. მას წელს 78 წელი შეუსრულდებოდა.

საუციალურად ამ საღამოში მონაწილეობის მისაღებად პრალიდან ჩვენი სახელოვანი სოპრანო ნანა ქავთარაშვილი (მირიანი) ჩამოვიდა. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი მომღერლები: სალომე ჭიჭია — სოპრანო, ნანა ძიძიგური — მეცო სოპრანო, მამუკა მანჯგალაძე — ტენორი, გიორგი წამალაშვილი — ბარიტონი; სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი. საღამოს კონცერტმასტერი იყო ვიქტორია ჩაპლინსკაია. პირველ განყოფილებაში გაჟღერდა რომანსები, ხოლო მეორეში საოპერო ნაწარმოებები.

საღამო სიტყვით გახსნა კონსერვატორიის პროფესორმა, სახელოვანმა პიანისტმა, რეზო თავაძემ. ბატონი რეზო და ვაჟა ჩაჩავა კლასელები იყვნენ. ერთად სწავლობდნენ პროფესორ ვანდა შიუკაშვილის კლასში. ახალგაზრდა ვაჟა ჩაჩავას შესრულება თანამედროვეებს იმდენად მოსწონდათ, რომ თურმე ამბობდ-





ვიქტორია ჩაპლინსკაია, ნანა ქავთარაშვილი (მირიანი)

ნენ: „მოდის თუ არა მეორე რისტერი?“ –ო. თავად ვაჟა ჩაჩავა კი ასე მოძღვრავდა თავის მოსწავლეებს: „მუსიკაში სულ არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ბგერების, ანდა რიტმის სიზუსტე – მთავარია გარდასახვა! როდესაც უკრავ ბეთჰოვენს, უნდა გარდაისახო ბეთჰოვენად, თუ ასრულებ პროკოფიევს – პროკოფიევად და ა.შ. ყველაზე ძნელი არის ის, რასაც არტისტი აკეთებს და მუსიკაშიც არტისტიმ არის ყველაზე მთავარი“.

არტისტიმით იმ საღამოს ნამდვილად გამოირჩეოდნენ ჩვენი მომღერლები. განსაკუთრებით სულში ჩამწვდომი იყო ნანა ქავთარაშვილის (მირიანის) მიერ ვაგნერის „იზოლდას სიკვდილის სცენის“ შესრულება.

ნანა ქავთარაშვილი (მირიანი) – ამ საღამოსთვის ძალიან ველავადი, რადგანაც დღევანდელი კონცერტი ეძღვნება უდიდესი მასტროს, ვაჟა ჩაჩავას ხსოვნას და მე ვარ ძალიან ბედნიერი, რომ ამ დღეს ვიღებ მონაწილეობას. ჩვენ გვინდოდა სოლო კონცერტის გაკეთება მასთან ერთად; ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი, რადგანაც მასტრო გარდაიცვალა. მე მივუძღვენი დღეს ვაგნერის „იზოლდას სიკვდილი“ მის ხსოვნას, რადგანაც მას ძალიან უნდოდა, რომ ეს ერთად შეგვესრულებინა. ასევე უნდოდა მას „ბრუნვილდას სიკვდილის სცენა“, რომელსაც აუცილებლად შევასრულებთ მე და კონცერტმაისტერი ვიკა ჩაპლინსკაია. ამას ვაპირებთ ვაჟა ჩაჩავას გარდაცვალების დღეს. მე მქონდა ბედნიერება გამეცნო ვაჟა ჩაჩავა გარდაცვალებამდე ერთი წლით

ადრე. იმდენი მომცა მე ამ ერთმა წელმა და მასთან მუშაობამ, რომ მთელი ცხოვრება მეყოფა. ძალიან ბევრი შევისწავლე, ძალიან! ძალიან გული მტკივა, რომ ვერ განვახორციელებთ მის სიცოცხლეში ჩვენი გეგმები!..

ვიქტორია ჩაპლინსკაია – სამწუხაროდ ვაჟა ჩაჩავასთან არ მქონია შეხების წერტილები; მე როდესაც ვსწავლობდი, ის უკვე მოსკოვში მოღვაწეობდა, მაგრამ ერთხელ, როდესაც აქ დაბრუნდა, მე მივედი ჩემს მონაფესთან ერთად, რომ მეჩვენებინა მისთვის და ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რადგანაც ყველაფერი ის, რასაც მე ვეუბნებოდი მონაფეს, დიდმა მასტრომაც მუსტად იმავს გაუსვა ხაზი.

არაჩვეულებრივი უღერადობით გამოირჩეოდა ახალგაზრდა მომღერლების კვარტეტი ფროლოვის ოპერიდან „მარტა“. მასტრო ვაჟა ჩაჩავას არტისტიკის მასტერკლასი, საბედნიეროდ, დანათლულია ქართველ ვოკალისტთა თაობებზე. ვიქტორია ჩაპლინსკაიას შესრულება კი იმ საღამოს მუსიკალური შთაგონების და პროფესიონალიზმის ნამდვილი ნიმუში იყო. „კონცერტმაისტერები არ ჩანან ხოლმე ვოკალისტების ფონზე – ასე იტყოდა ხოლმე ვაჟა ჩაჩავა – მაგრამ როდესაც ისინი ჩანან, ყველა ხედავს, თუ რა დიდი როლი აკისრიათ მათ“. ვიქტორია ჩაპლინსკაიამ დამასხურებულად გაინანილა იმ საღამოს აუდიტორიის აპლოდისემენტები.

**21 აპრილი, კამერულ – საკრავიერი მუსიკის კონცერტი**

ამ დღეს კონცერტში მონაწილეობას იღებდა თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“ და სოლისტები სურენ ბაგრატიანი (ჩელო) და ნინო დავითაშვილი (ვიოლინო). პირველ განყოფილებაში შესრულდა მოცარტის და შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები. მეორე განყოფილებაში შედგა ოთარ ტატიშვილის ნაწარმოების „ამაღლების“ პრემიერა; სოლისტი ნინო დავითაშვილი. პრემიერას ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად. მოუსმინეთ „ამაღლებას“ You Tub-ზე: Otar Tatishvili “The Ascension“, ოთარ ტატიშვილი, „ამაღლება“.

ოთარ ტატიშვილი – ეს ნაწარმოები არის კონცერტის მეორე ნაწილი. ისე მოხდა, რომ მეორე ნაწი-



ლი ზუსტად შობის დღეს დაინერა და მართლაც ძალიან ამაღლებული განწყობა მქონდა მისი წერისას, მთლიანი კონცერტი დავწერე 21 დღეში. როდესაც შემომთავაზეს ამ ფესტივალისთვის ჩემი ნაწარმოები წარმომედგინა, მე ვავუგზავნე მეორე ნაწილის ჩანაწერი. ძალიან მოეწონათ და თბილისის გარდა, ქუთაისის პროგრამაშიც ჩართეს. მე, რასაკვირველია, გამიხარდა; გადავწყვიტე ამ ნაწილისთვის ფესტივალის გამო დამერქმია „ამაღლება“, რაც, მგონი, მიესადაგება მის შინაგან განწყობასაც. მთლიანად კონცერტი ჯერ არ შესრულებულა, მაგრამ ახლო მომავალში ვგეგმავ შემოქმედებით საღამოს სადაც მისი პრემიერა შედგება.

**ნ.გ.** — თქვენი მუსიკა ტონალურია და ძალიან მელოდიური; რამდენად იყენებთ ექსპერიმენტს ხმოვანბასთან მიმართებაში?

**ო.ტ.** — ბეთჰოვენს უწერია: „არასდროს არ უნდა იყოს სიახლე ხელოვნური, ის თავისით, ბუნებრივად უნდა მოდიოდეს“—ო. თანამედროვე კომპოზიტორები სხედან, იგონებენ, ქმნიან კონსტრუქციებს, ოღონდ იყოს რაიმე ორიგინალური, რაც ხშირად მუსიკისგან შორს არის ხოლმე, თუმცა მე მოდერნისტული ნაწარმოებებიც გამაჩნია, მაგრამ მუსიკალური ენის სიახლე არ არის ჩემთვის თვითმიზანი.

კონცერტის დასასრულს ჩვენთვის უკვე ნაცნობმა სურენ ბაგრატუნმა (ჩელო) ორკესტრთან ერთად ჰაიდნის კონცერტი შეასრულა. საოცარი იმპულსური რიტმიკით და ამავე დროს, მთელი ნაწარმოების განმავლობაში, ინსტრუმენტის ყველა რეგისტრში უსუფთავესი, ანკარა ბგერებით მისმა შესრულებამ ნამდვილი ფურორი გამოიწვია **მოსუსმინეთ პირველი ნაწილის ფრაგმენტს You Tub-ზე: Suren Bagratun Cello (the fragment from the Haydn cello concert # 1 part I).** ტოლი არ დაუდო სახელოვან სოლისტს ჩვენმა კამერულმა ორკესტრმა. მაყურებლის თხოვნით, სოლისტმა ბისზე ბახის სოლო ნაწარმოები შეასრულა. ეს იყო თითქოს გეცასთან საუბარი, არაამქვეყნიურის გარდამოსვლა. მაყურებელს დიდხანს არ უნდოდა მუსიკოსის სცენიდან გაშვება.

სურენ ბაგრატუნი — „ქართული სიმფონიკა“ შესანიშნავი ორკესტრია! ერთი სიამოვნებაა მათთან ერთად დაკვრა. ეს არც ისე ხშირად ხდება, როდესაც



კონსერტის შემდეგ. მარჯვნიდან მეორე მოთარ სასიპოვილი

ორკესტრი და სოლისტი ასე თანხვედნილად გრძნობენ თავს!

მართლაც საოცარი ენერგეტიკა აქვთ „საქართველოს სიმფონიკას“ მუსიკოსებს. მათი მოსმენა ყოველთვის ერთ სიამოვნებას უდრის. ბევრს ნიშნავს ჩემთვის ისიც, რომ გრძნობ, როგორ სიამოვნებთ მათ თავადაც მუსიკის შესრულება. ამაზე, მათი არა მარტო ხალისიანი, გაღიმებული სახეები მეტყველებენ — ამას თითოეული ბგერის გადმოცემისას შეიგრძნობ.

**22 აპრილი — სიმფონიური მუსიკის საღამო**

თბილისის დასკვნით საღამოზე პირველ განყოფილებაში შესრულდა მოცარტის უვერტიურა „ფიგაროს ქორწინებიდან“, შემდეგ ალექსი მაჭავარიანის სიმფონია №6 „პრომეთე — ამირანი“. მონაწილეობდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი. ალექსი მაჭავარიანის მე-6 სიმფონია პროგრამულია და ერთნაწილიანი ქმნილება. იგი პროლოგთან ერთად მოიცავს 6 სურათს. ესენია: „კაცობრიობის 10 სასიკვდილო ცოდვა“, „დაბნელება“, „პრომეთე და გოგონა“, „ოლიმპოსი“, „ცეცხლის მოტაცება“ და „უპილოგი“. როგორც კომპოზიტორის ვაჟმა და დირიჟორმა, ვახტანგ მაჭავარიანმა





გიორგი ვაჩნაძე

გვაცნობა, ის მჭიდროდ თანამშრომლობდა მამასთან ამ სიმფონიის შექმნის პროცესში და შვიდივე სურათის დასათურება მას ეკუთვნის.

„პრომეთე – ამირანის“ მუსიკა მართლაც ძალიან შთამბეჭდავია. დიდი მანეროს საბალეტო მუსიკისადმი სიყვარული ნათლად ჩანს ცალკეულ ეპიზოდებში. ეფექტურად აქვს კომპოზიტორს გამოყენებული ბახის მი მინორის პარტიტიდან „ავე მარია“ კლავესინისთვის, რომელიც ენაცვლება შემდგომ მთელი ორკესტრის ბანებში სვანურ „ლილეოს“ გატარებას, რამაც ერთ მომენტში „Dies Irae“-ს ასოციაციაც გამოიწვია ორკესტრობის გამო. მართლაც საინტერესო იყო ამ სიმფონიის დღევანდელ დღეს მოსმენა; ის ძალზე თანამედროვედ უდრის და ნამდვილად იმსახურებს, რომ საბალეტო უნარშიც, სცენაზე გადაინაცვლოს.

კონცერტის მეორე განყოფილებაში შესრულდა სერგეი რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტი – სოლისტი გიორგი ვაჩნაძე. ეს შესრულება ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესო ინტერპრეტაციებს შეიძლება მივაკუთვნოთ. პიანისტი შესანიშნავად ფლობს რახმანინოვის მუსიკის დრამატული ქარგის გადმოცემის უნარს და ლირიკულ ჭკრეტასაც, რომელიც არსად არ გადადის სენტიმენტალიზმში. განსაკუთრებით ვისიამოვნე მეორე ნაწილის მოსმენით, რომლის ფრაგმენტსაც გათავსებთ You Tub-ზე: George Vachnadze plays Rachmaninoff Concert # 2 part 2.

რახმანინოვის შემდეგ ნანა ქავთარაშვილმა (მირიანმა) ორკესტრთან ერთად შეასრულა „ლოცვა“

ვერდის ოპერიდან „ბედის ძალა“, ხოლო კონცერტის დასასრულს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის „Agnus Dei“ შესრულდა.

დამეთანხმებით, რომ ეს ნამდვილად მრავლისმეტყველი დასასრულია ფესტივალის დასკვნითი დღისათვის. კათოლიკოს-პატრიარქი თავად ბრძანდებოდა ამ საღამოზე. დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებას არ მალავდა პატრიარქის მუსიკის მოსმენის შემდეგ. „Agnus Dei“ აგრძელებს პატრიარქის მიერ დაწყებული საეკლესიო ლიტურგიის ნაწილების სერიას. მანამდე დაწერილ „Ave Maria“-ს, „Sanctus“-ისა და „Agnus Dei“-ს დღეს უკვე „Te deum“-იც შეემატა, რომლის ერთი ნაწილის პრემიერა პარიზში „იავნანას“ მიერ ორგანიზებულ კონცერტზე გაიმართა. „Agnus Dei“-ს მონაწილე სოლისტებმა, ნანა ქავთარაშვილმა (სოპრანო) და სულხან გველეხიანმა (ბარიტონი), მართლაც დიდი ტრაგიზმით გადმოსცეს ავტორისეული სევდა და ნაღველი, რამაც დიდი, ეპიკური ფრესკის სურათი კიდევ უფრო გააღრმავა. პატრიარქის ამ ნაწარმოებს დირიჟორობდა არანჟირების და ორკესტრობის ავტორი, კომპოზიტორი ზვიად ბოლქვაძე.

ზუბლიკა ტაშით გამოხატავდა კმაყოფილებას და ორკესტრმაც, ახლა უკვე ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით რევან ლაღიძის „საჭიდაოთი“ ბისზე დაასრულა საღამო. სხვების არ ვიცი და ჩემს სულს „Agnus Dei“-ს შემდეგ არაფრის მოსმენა აღარ ესაჭიროებოდა. თუმცა, ამ მკირე გამონაკლისს არ შეუშლია ხელი ჩემი სიამოვნებისათვის მთლიანად, თბილისის 5 დღიანი საფესტივალო პროგრამითა და მონაწილეებით. დიდი მადლობა ამისთვის ფესტივალის ორგანიზატორებს!

კონცერტის დასასრულს გავესაუბრეთ დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანს.

**ვ. მაჭავარიანი – პირველ რიგში მე ძალიან კმაყოფილი ვარ ორკესტრით. არაჩვეულებრივად დაუკრეს ძალიან რთული პროგრამა. თვითონ ფესტივალი წელს ძალიან საინტერესო პროგრამით და მუსიკოსთა მონაწილეობით გამოირჩეოდა. მაგალითად, ვიოლონჩლისტი სურენ ბაგრატუნი, არაჩვეულებრივი მუსიკოსია! ფესტივალის დონე იწვევს, მატულობს ყოველწლიურად, ძალიან საინტერესო ამბები ხდება; მე პირადად მესამე წელია ვმონაწილეობ ამ ფესტივალში.**



უმარმაზარ პატივს ვცემ უწმინდესს, პატრიარქს ილია მეორეს, მრავალი და მრავალი მიზეზის გამო. მიმაჩნია, რომ ეს არის საოცარი პიროვნება, მაგრამ გარდა ამისა, მაქვს პირადი ძალიან დიდი სიყვარული! ეს შეეხება იმას, რომ უწმინდესმა დაგვლოცა ჩვენ, მამაჩემიც და მეც, როდესაც ჩვენ მივდიოდით „ვეფხისტყაოსნის“ დასადგმელად პეტერბურგის მარიის თეატრში; ეს ერთი და მეორე კიდეც ის, რომ როდესაც მამა 1995 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა, უწმინდესი თავის ფეხით მოვიდა იანვრის პირველ დღეებში ჩვენს სახლში და უკანასკნელი ლოცვა აღუვლინა მამაჩემს. ეს დაუვინყარია ჩემთვის!

ეს იყო ბრყინვალე შვიდეულის მართლაც ბრყინვალე მუსიკალური კვირა და ფესტივალის „აღდგომიდან ამალღებამდე“ თბილისის ნაწილი ამით დასრულდა.

## 22 აპრილი – სტეფანწმინდა

ფესტივალის რეგიონების ნაწილი 24 აპრილს, სტეფანწმინდაში გავრძელდა. რატომ სტეფანწმინდა? ალბათ ისევ და ისევ იმ მუხტის გამო, რაც ამ ფესტივალის სათავეებთან იყო დაკავშირებული. სტეფანწმინდა ხომ პატრიარქის სამშობლოა. მეც, საორგანიზაციო ფგუფთან და მუსიკოსებთან ერთად, გავემგზავრე საქართველოს ამ უღამაზეს კუთხეში.

სტეფანწმინდაში კონცერტი საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართა. აპრილის მზით გამცხუნვარებულ დღესაც კი სკოლაში გათბობა იყო ჩართული, რადგანაც მთაში ჯერ კიდევ სიცივე იყო. სცენის არქონის გამო მუსიკოსები პირდაპირ სპორტულ დარბაზში, კედელთან გამოდიოდნენ. ზემოდან კი მათ ფანჯარაში ბუმბერაზი მყინვარწვერი დასცქეროდა და თითქოს მონონების ნიშნად თავს უკრავდა.

სპორტული დარბაზი გაიჭედა სკოლის მოსწავლეებით. უნდა გენახათ რა მოთმინებით ელოდნენ ისინი იმ საათს, სანამ თბილისიდან ჩამოყვანილი პიანინოს ამწყობი დაასრულებდა თავის საქმეს. არავის ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან.

იმ დღის პროგრამაში იყო ვოკალური მუსიკა და ანსამბლ „ოსუ“ – გორდელას“ გამოსვლა. სპეციალუ-



ვახტანგ მაჭავარიანი

რად ამ კონცერტისთვის თბილისიდან თავის მშობლიურ მხარეს ნანა ქავთარაშვილი (მირიანი) ეწვია. ნანას მამა ყაზბეგთან ახლო მდებარე სოფლიდანაა წარმოშობით. მომღერალს იმდენად უყვარს თავისი კუთხე, რომ სავარეულო კოშკიც კი შეიძინა და ზაფხულობით თავისი სახელოვანი კოლეგების სტუმრობას ელოდება ხოლმე თავის მამულში.

ნანამ შეასრულა რომანსები და საოპერო არიები. დარბაზი სულგანაბული უსმენდა. დარბაზმა ყველა ნაწარმოები მქუხარე ტაშით დააფილდოვა, მაგრამ ყველაზე დიდი გამოხმაურება მაინც, კაჩინის „ავე მარიას“ ჰქონდა. ამ ლოცვის მსგავს არიას ნანას შესრულებით არ შეიძლება ნებისმიერი მსმენელი არ მოენუსხა. ბავშვები კი ყველაზე მაღლიერი მსმენელები აღმოჩნდნენ იმ დღეს. ნანას შემდეგ გამოვიდნენ სალომე ჯიქია (სოპრანო) და მამუკა მანჯგალაძე (ტენორი). მიუხედავად მგზავრობისა, მომღერლებმა არაფერი არ დააკლეს თავის გამოსვლას და დიდი გრძობითა და შთაგონებით იმღერეს. მამუკას გულში ჩამწვდომი ლირიკული ტენორი, დღესაც კი ყურში ჩამესმის. იმ საღამოს კონცერტმასტერი იყო ფესტივალის შეუცვლელი პარტნიორი ვიქტორია ჩაპლინსკაია. მიუხედავად არცთუ ბოლომდე მონესრიგებული პიანინოს წყობისა, მან მომღერლებს ღირსეული პარტნიორობა გაუნია. მოხვეე ბავშვები და მათი პედაგოგებიც ძალიან კმაყოფილები სჩანდნენ.

კონცერტის მეორე ნახევარში, მსმენელთა წინაშე გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „ოსუ – გორ-

დელა” გამოვიდა. 8 გოგონასგან შემდგარმა ანსამბლმა ახალგაზრდული შემართებითა და ეშხით იძღერა. ბევრი ფოლკლორული ჰიტი გააჟღერეს: „საპატარძლო სახუმარო“, „დილაო“, „სატრფიალო“ და სხვა. ვფიქრობ, რომ ამ ანსამბლს ძლიერი ხმებითა და ინსტრუმენტების სრულყოფილი ფლობით მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეუძლია მოხიბლოს მაცურებელი. ინსტრუმენტების ჩამონათვალში შედის: ჩინგური, ფანდური, სალამური, ჩანგი, ჭიბონი, ჭუნირი, დოლი, დაირა. კონტრაბასის ზომის ჭუნირი, სპეციალურად ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებისთვის მზადდება და საინტერესო ჟღერადობა გააჩნია. კონცერტის შემდეგ ვესაუბრეთ ანსამბლის ხელმძღვანელს თამაზ მამალაძეს.

თამაზ მამალაძე – ანსამბლი „თსუ – გორდელა“ ჩამოყალიბდა 2007 წელს და მასში გაერთიანებულია უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 8 სტუდენტი გოგონა. ჩვენი ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს საქართველოს ყველა კუთხის ნიმუშებს და ვცდილობთ, რომ ჩვენებური ჟღერადობა, ჩვენებური სახე გვქონდეს, ისეთი, როგორც სხვა ანსამბლებში არ არის”.

ნ.გ. – ანსამბლის სახელი და ინსტრუმენტები თქვენი იდეით არის შერჩეული?

ვ.მ. – მოგეხსენებათ, ანსამბლი „გორდელა“ იყო ლეგენდა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ხალხურ ხელოვნებაში. პირველმა ამ ანსამბლმა აიტანა საგალობელი ქართულ სცენაზე და მე პირადად ძალიან გული მწყდებოდა, რომ არავითარი ხსენება არ იყო ამ ანსამბლის; არავის აღარ ახსოვდა თითქოს და ამიტომ გადავწყვიტეთ პროტესტის ნიშნად დაგვერქვა „გორდელა“, ოღონდ ამჟამად ამ სახელს დაემატა წინ „თსუ“, რაც ჩვენი ანსამბლის ბაზაზე, სახლმწიფო უნივერსიტეტზე მიუთითებს.

კონცერტი სტუდენტთა ცენტრში პირველი იყო რეგიონებში გათვალისწინებულ კონცერტებს შორის. წინ კიდევ 3 კონცერტი გველოდა ამაღლებამდე.

8 მაისი – მარტვილი

მარტვილში ფესტივალის პროგრამა სალხინოს დადიანების საზაფხულო რეზიდენციის ეზოში იყო დაგეგმილი.



ფოტოგრაფი მისროპოლიტი პავრა (საპა)

პროგრამა საოპერო მუსიკის ფრაგმენტებს და ჩარლი ჩაპლინის კინომუსიკას მოიცავდა. ასრულებდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის სოლისტები. დირიჟორი მარიანო რივასი (ესპანეთი). სამწუხაროდ, მარტვილში ჩემი წასვლა ვერ მოხერხდა. ამიტომ ფესტივალის ორგანიზატორის, მარიამ დავითაშვილის სიტყვებით გადმოგცემთ, თუ რა ატმოსფერო სუფევდა იქ.

მარიამ დავითაშვილი – კონცერტის ატმოსფერომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა! ხალხი მონყურებული იყო ცოცხალ შესრულებას. კონცერტის დროს წამოვიდა წვიმა; მართალია სცენა გადახურული იყო, მაგრამ ეზოში, ღია ცის ქვეშ განლაგებულ მაცურებელთა დარბაზს აწვიმდა. ხალხს არ ჰქონდა ქოლგები, მაგრამ არავინ განძრეულა. თითქმის ყველა თაობის ადამიანი იყო მოსული; იქვე იყვნენ პატარა ბავშვები სემინარიიდან. ყველას თვალეში ისეთი სიყვარული



იყო, ისეთი მონდომება, რომ გაოცებული დავრჩით. თავად დირიჟორი რივასი ამბობდა: „მე ასეთ მსმენელს ევროპის დიდ დარბაზებშიც კი ვისუვრებდი!“-ო.

22 მაისი – ქუთაისი

ფესტივალის ქუთაისის პროგრამა არაჩვეულებრივად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. პირველ განყოფილებაში შესრულდა კომპოზიტორ იოსებ (სოსო) ბარდანაშვილის ნაწარმოებები. ასრულებდნენ „საქართველოს სიმფონიეტა“ და სოლისტები: ედიშერ სავიციკი (ფორტეპიანო), ლევან ცხადაძე (კლარნეტი), ჰაიკ ბაბაიანი (ჩელო), სალომე ჩიტაია და ნინო ბარქაია (ფენო).

ისრაელში მცხოვრებ, სოსო ბარდანაშვილთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესო და მრავლისმთქმელია ქართველი მსმენელებისთვის. სოსო ბარდანაშვილი საქართველოში დაიბადა და პროფესიულად აქ ჩამოყალიბდა. 1995 წელს ის ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა თავის თავს დღესაც ქართველ კომპოზიტორად აღიქვამს. „მე დავიბადე საქართველოში, ჩემი დედა ენა ქართულია. მე ქართველი კომპოზიტორი ვარ, ქართველი ერისთვის დამახასიათებელი არტისტიზმითა და ტემპერამენტით, თუმცა შესაძლოა, ამავე დროს, ებრაელი ერისთვის დამახასიათებელი სამყაროს აღმის უნარით“. ისრაელში მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა დღეს მთელი სისასვით და ბრწყინვალეებით მიმდინარეობს. მას უკვეთავენ ნაწარმოებებს მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრები და იგი სასურველი სტუმარია ყველა მუსიკალურ ფესტივალზე. წელს ბარდანაშვილი ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლება“ საპატიო მონვეული კომპოზიტორი იყო. მისი ნაწარმოებები შესრულდა როგორც ქუთაისში, ასევე დასკვნით საღამოზე, ამაღლება დღეს, ბათუმში.

ქუთაისში მისი რამდენიმე ნაწარმოები შესრულდა. ესენია: „პერპეტუუმ მობილე“, ფორტეპიანოსთვის 4 ხელში, „მეტამორფოზა“ კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის, „წყვილი“ კლარნეტის, ჩელოსა და სიმებიანებისთვის, „ფანტაზია“ სოლო ფორტეპიანოსთვის და „ნერტილები“ სიმებიანი ანსამბლისათვის.

„წყვილი“ თავად ავტორმა იდირიჟორა. ნაწარმოების შესრულებას მან წინასიტყვაობა დაურთო.



„ქართული სიმფონიეტა“- ს ნაწარმოები ახრახნიდან ახრახნი ჩოხელი, ია დავითაშვილი და კოპოვიჩის იოსებ ბარდანაშვილი.

სოსო ბარდანაშვილი – ჩემი ნაწარმოები, რომელსაც თქვენ ახლა მოისმენთ, მე მივუძღვენი ჩემს მშობლებს. მოგვხსენებთ, ჩვენ როდესაც ვბერდებით, მშობლები ჩვენ გვცილდებიან, მიდიან ამ სამყაროდან. ცხოვრების განმავლობაში ჩვენ ძალიან ხშირად გვემართება ის, რომ ჩვენ დრო არ გვაქვს მათთან სასაუბროდ; ან ისინი არიან დაკავებული, ანდა ჩვენ ვართ ჩვენი „ეგოთი“ დაკავებულნი. როდესაც ისინი მიდიან, აი, მაშინ ხვდები, რამდენი რამე არ გიკითხავს მათთვის! სად ისწავლეს, რა იყო ან როგორ იყო, ან მამა ვინ იყო ან დიდი ბაბუა ვინ იყო... სულ გგონია, რომ იცი და მოასწრებ, მაგრამ როდესაც ისინი მიდიან ხვდები რომ ვერ მოასწარი ბევრი რამ... აი, ასეთ დროს, ჩვენ გვეფიქრება სიღრმეებზე, რომელიც ადრე არ განგვიცდია. დედაჩემი ქუთაისიდან იყო წარმოშობით. მე გავიზარდე აქ. ტროლეიბუსი იყო ჩემთვის დიდი საოცრება, მარტო ქუთაისში იყო და იმიტომ. ჩემთვის ქუთაისი იყო უდიდესი ქალაქი და დღემდე ასეთად რჩება!

ეს ნაწარმოები მათ ხსოვნას ეძღვნება. მე მივინდა, რომ მათთან ერთად ავმადლდეთ დღეს. იყოს ეს შუქით სავსე შეხვედრა, ჩემი შეხვედრა თქვენთან. დიდი მადლობა ყველას მობრძანებისთვის. დიდი მადლობა ბრწყინვალე მუსიკოსებს!



ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი მუსიკოსებთან ერთად

სოლისტებმა და ორკესტრმა მართლაც ძალზე ამაღლელებლად დაუკრეს „წყვილი“, რომლის სოლისტები იყვნენ ლევან ცხადაძე (კლარნეტი) და ჰაიკ ბაბაიანი (ჩელო). მაყურებელი სულგანაბული უსმენდა. რთულია თანამედროვე მუსიკის აღქმა, მითუმეტეს არ იცი როგორ აღიქვამენ მას რეგიონში. ამ მხრივ ქუთაისმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ დიდი ტრადიციების და კულტურის ქალაქია. ოღონდ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: მობილური ტელეფონების გათიშვას ჯერ ქუთათურები არ არიან შეჩვეული. ვუსურვებდი მათ, მომავალ ფესტივალამდე, ეს არასაპატიო ჩვევა წარსულს ჩააბარონ.

ლევან ცხადაძე, ჰოლანდიაში მოღვაწე ქართველი კლარნეტისტი, წელს ფესტივალს პირველად სტუმრობდა. ახალგაზრდა მუსიკოსი ძალიან ბევრს აკეთებს საქართველოში მუსიკალური ხელოვნების, და კერძოდ, სასულე საკრავების დონის ამაღლებისათვის. მის მიერ არის დაარსებული სასულე საკრავთა ყოველწლიური კონკურსი. თავად მისი შესრულება ყოველთვის გთავაზობს ახალ ჰორიზონტებს, მუსიკალური თვალთახედვის სიღრმეებს. „წყვილის“ მეორე სოლისტი, ჩელისტი ჰაიკ ბაბაიანი, სომხეთიდან არის. ამჯერად ის „სიმფონიეტას“ მონვეული მუსიკოსია. ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსი გამოდის როგორც სოლისტი, და როგორც ანსამბლის წევრიც.

ლევან ცხადაძეს კონცერტის შემდეგ გავესაუბრეთ. გთავაზობთ ამ საინტერესო ინტერვიუს.

ლევან ცხადაძე — წელს მე პირველად ვთანამშ-

რომლობ ფესტივალთან. ძალიან მიხარია ეს! ჩემთვის უდიდესი პატივია ბატონ სოსო ბარდანაშვილთან მუშაობა და მისი ორი ნაწარმოების შესრულება. პირველად ვასრულებ მის ნაწარმოებებს და მართლა ძალიან მიხარია! ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი გეგმა სამომავლოდ, შეიძლება რაიმე ახალიც შეიქმნას კლარნეტისთვის... პირადად ჩემთვის და ჩვენთვის, ყველასათვის... ვილაპარაკეთ ამაზე და ვნახოთ რა გამოვა.

მე შევასრულე ფესტივალზე სოსო ბარდანაშვილის „წყვილი“ და „მეტამორფოზა“. „წყვილი“ ორიგინალური ვერსიას, რასაც ვასრულებთ, ანუ კლარნეტი, ჩელო, სიმებიანი ორკესტრი; „მეტამორფოზა“ კი არის ალტისა და ფორტეპიანოსთვის დანერგილი, მაგრამ თვითონვე გადააკეთა შემდეგ ჩელოსთვის, კლარნეტისთვის, და ფლეიტისთვისაც — ჯერჯერობით ეს სამი ვარიანტია. ალტის ვერსიაც მოსმენილი მაქვს და ჩელოსიც, მაგრამ მე რატომღაც კლარნეტის უფრო მომწონს — არა იმიტომ რომ კლარნეტისტი ვარ - (იცინის); დიდი სიმოვნებით შევასრულე ჩემი პარტია და თანაც მე პირველად სცენაზე შევასრულე ბას-კლარნეტზეც, ანუ ამ ნაწარმოებში ორივე კლარნეტს ვხმარობ. უკვე ორი თვეა ვმეცადინებ ბას-კლარნეტზე და მინდა ვთქვა, რომ არ არის ადვილი მასზე დაკვრა!

ნ.გ. — არ არის ძნელი 2 ინსტრუმენტის მონაცვლეობა ერთ ნაწარმოებში?

ლ.ც. — თავიდან ძნელია, შემდეგ უკვე ეჩვევი...

ნ.გ. — რას გვეტყვი თქვენს მიერ შესრულებულ სოსო ბარდანაშვილის „მეტამორფოზაზე“?

ლ.ც. — როგორც თვითონ კომპოზიტორმა ამიხსნა, ამ ნაწარმოებში არის გაერთიანებული ბევრი სხვადასხვა ცხოვრებისეული მომენტი, და ამას მე თვითონაც ვხვდებოდი, როდესაც დავიწყე ამ ნაწარმოების გარჩევა. ბარდანაშვილს აქვს გამოყენებული სხვადასხვა კომპოზიტორების ფრაგმენტი და იმასაც გეტყვით თუ რატომ. მე როგორც მივხვდი, ძირითადად ეს არის ამბავი ერთი ადამიანისა, ოღონდ მისი სხვადასხვა ადგილებში ყოფნაა ნაჩვენები. მაგალითად, ერთი ადგილია რესტორანი; კარი იღება და იქ არის ცეკვა, თამაში, სმა, წრეგადასული გართობა და ა.შ. უეცრად ეს ყველაფერი წყდება და ეს კაცი ტირის, „რა მეცეკვებოდა, როდესაც ეს და ეს მანუხებს“... კიდევ იქ არის ფორტეპიანოს



ფრანზა, სადაც სრულდება მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიმპარიდან“ სკერცო, რომელიც მიდის ძალიან ჩქარა, მარგამ ბატონ სოსოს ეს აქვს გადაკეთებული და სრულდება ასფერ ნელა; ანუ ეს იმ ზღაპრის გაგრძელებაა, იმ გაურკვევლობაში ყოფნა თითქოს. აქ ბევრი ტირილია, ძალიან ბევრი ნამდვილად!

ნ.გ. — რაზეა ეს ყველაფერი, სიმპარი ხომ არ არის?

ლ.ც. — არ ვიცი, „მეტამორფოზა“ მე ძალიან, ძალიან შემიყვარდა და აუცილებლად კიდევ ბევრჯერ, ბევრჯერ დავუკრავ მას.

ნ.გ. — მოგვიყევით თქვენს მუშაობაზე ჰოლანდიაში?

ლ.ც. — ჩემი სამუშაო დღესდღეობით არის, რა თქმა უნდა, კონცერტები სხვადასხვა ქალაქებში და ქვეყნებში, მაგრამ ჩემი მთავარი და ძირითადი სამუშაო არის საქართველოში. აქ უკვე მეოთხედ ჩატარდება ნოემბერში ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი, რომელიც ჩემი ინიციატივით დაარსდა. ასევე, 3 ნელია უკვე ვატარებ ჭიათურაში „საქართველოს სინფონიეტასთან“ ერთად აკადემიას, რომელიც ერთი დღე ტარდება და დაახლოებით 50-მდე სტუდენტი მიგვყავს კონსერვატორიდან, რუსთავის მუსიკალური სასწავლებლებიდან, ქუთაისიდან. ვიკრიბებით ჭიათურაში...

ნ.გ. — ჭიათურაშიც გვხვდებიან სტუდენტები?

ლ.ც. — რა თქმა უნდა იქაც არიან, მაგრამ, სამუნხაროდ, ძალიან ბევრი პიანისტი და ძალიან ცოტა სიმებიანი საკრავების, და საერთოდ, არცერთი ჩასაბერ საკრავთა მუსიკოსი! მინდა კმაყოფილება გამოვხატო და ვთქვა, რომ ჩვენმა იქ სიარულმა გამოიღო შედეგი და წელს ჭიათურელებმა იყიდეს ახალი როიალი და 12 ვიოლინო და ეს არის ნამდვილი რევოლუცია! ძალიან გვიხარია! ეს მიგვანიშნებს იმას კი არა, რომ საქმე დამთავრდა, არამედ, იმას რომ განვითარების საშუალება არსებობს!

ნ.გ. — ბავშვები თუ არიან ნიჭიერები?

ლ.ც. — ბავშვები არიან ნიჭიერები ყველგან, მთელ საქართველოში! 10-დან 9-ს აქვს ვარსკვლავის პოტენციალი!

ნ.გ. — ალბათ ეს არის ის ძალა, რაც თქვენ სტიმულს გაძლევთ ამ საქმეში?

ლ.ც. — გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ დღეს კლასიკურ მუსიკაში არა გვაქვს საქმე საზემიოდ. კლა-



ალექსანდრე კორსანსია

სიკური მუსიკის დონეს განაპირობებს პროფესიონალები და არა რამდენიმე ვარსკვლავი, რომლებიც მრავლად არიან წასული საქართველოდან და ზოგი აქაც არის, მაგრამ ისინი არ ქმნიან საერთო დონეს. საერთო დონეს ქმნის პროფესიონალები, მარტო მუსიკაში კი არა, ყველა დარგში, იქნება ეს სპორტი თუ მუსიკა. როდესაც გყავს ერთი თავდამსხმელი, რომელსაც გააქვს გოლები ცნობილ გუნდებში, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს კარგი ფეხბურთის გუნდი ჰყავს. იგივეა ბუსტად მუსიკაში, როდესაც გყავს ლიბა ბათიაშვილი და ბევრი სხვა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში მევიოლინეების დონე მაღალია და ასე შემდეგ. ამას სჭირდება მრავალი წლის მუშაობა, რომ ეს დონე გაიზარდოს, რომ მივუახლოვდეთ მაინც ევროპულ დონეს. სწორედ ეს ორკესტრი, სახელწოდებით „საქართველოს სიმფონიეტა“, ჩემის აზრით, არის იმის საწინდარი, რომ მათ მაგალითს სხვებმაც მიბაძონ — როგორ მუშაობენ, როგორ მეცადინეობენ, როგორ აქვთ ყურები გახსნილი და ტვინებიც გახსნილი და როგორ უნდათ, რომ ევროპული ტრადიცია, რომელიც ასევე ძალიან მწირედ არის საქართველოში, შეისწავლონ, გაითავისონ. ისწავლონ როგორ იკვრება ბაროკოს მუსიკა, მოცარტი, ბეთჰოვენი და ა.შ. აი, ეს არის ჩვენი მიზანი! იმედი გვაქვს, რომ

ამას როდესმე მივადნევთ. თვითონ კონსერვატორიაში ამ მხრივ საკმაოდ ცუდად გვაქვს საქმე. იმედი გვაქვს იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ნიჭიერი მუსიკოსი გვყავს საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში და ბევრი მონდომებულია იმისთვის, რომ რაღაც გამოვიდეს; შევეცდებით, რომ ერთად კიდევ შევიკრიბოთ კონსერვატორიაში, მუსიკალურ სკოლებშიც და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, რათა მივიტანოთ ევროპული კლასიკური მუსიკა და არა რუსული სკოლა!

კონცერტის პირველ განყოფილებაში ძალიან ვისამოვნე ედიშერ სავიციკის გამოსვლითაც. ქუთაისის კონცერტში მან სოსო ბარდანაშვილის „ფანტაზია“ შეასრულა. ამაღელვებელი და ემოციური ქმნილება ედიშერმა საკუთარი, ფილოსოფიური მიდგომით კიდევ უფრო გაამდიდრა (მოუსმინეთ ამ შესრულების ფრაგმენტს You Tub-ზე: Edisher Savitski Plays Josif Bardanashvili „Fantazy“). ედიშერი დღეს მიჩიგანის უნივერსიტეტის დოქტურანტურაში სწავლობს. ის აგრეთვე ბევრს მოგზაურობს კონცერტებით მსოფლიოს გარშემო. მისი ფესტივალში მონაწილეობის დრო დაემთხვა საქართველოში მისი ვიზიტის სხვა, საპატიო მისიას. ამასთან დაკავშირებით მას ინტერვიუ ჩამოვართვი.

ედიშერ სავიციკი – ყოველთვის მინდოდა ჩამოვსულიყავი ტურით საქართველოში; ეს სურვილი გულისხმობდა არა მარტო კონცერტებს, არამედ უფასო გაცვეთილებსაც რეგიონებში. სამწუხაროდ, ეს არასდროს ხორციელდებოდა. შარშან, სრულიად შემთხვევით, შევხვდი ნიკა რურუას. მე ვუთხარი, რომ ესა და ეს სურვილი მაქვს, მინდა წავიდე საქართველოს რეგიონებში კონცერტებით და გაცვეთილებით და ასე მიპასუხა: „კი ბატონო, ყველანაირად ხელს შეგიწყობ“ –ო. მართლაც, ეს ყველაფერი საინტერესოდ აეწყო: ჯერ თელავი, მერე ქუთაისი, შემდეგ ბათუმი და თბილისი. მე მივიჩნეე, რომ ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი და მარტო მე არ უნდა ვმონაწილეობდე ამაში. ვისაც სურვილი აქვს, ყველა უნდა ჩამოვიდეს. რასაკვირველია, აქ არც არის ჰონორარზე ლაპარაკი. ძნელია მოსთხოვო მუსიკოსს, რომ ჩამოდი ახლა და სადღაც „ტანჯულ“ როიალზე დაუკარი სოლო პროგრამა; თვითონ უნდა უნდოდეს ადამიანს. ძალიან მიხარია, რომ წლების განმავლობაში რაც მინდოდა ახლა დაადგა საშველი; მიხარია კი-

დეე იმიტომ, რომ თელავში არაჩვეულებრივი ბავშვები იყვნენ, მსმენელიც იყო გადასარევი!

რადგან დაიწყო ეს პროექტი, იმედია, რომ გაგრძელდება. ისე გამოვიდა, რომ მუსიკოსებში მე ვარ პირველი და ვიგრძენი, თუ მართლა როგორი საჭიროებაა ამისი. სხვების არ ვიცი და მე კიდევ ჩამოვალ აუცილებლად! ბავშვებსაც სჭირდება, მსმენელსაც სჭირდება. საშა კორსანტიას თხოვნით, მე დავამთავიე კულტურის სამინისტროს შემოთავაზებული ტური და ფესტივალის თარიღები და ამიტომ შესაძლებლობა მომეცა აქაც მიმეღო მონაწილეობა. საშას გაახსენდა, რომ მე ბარდანაშვილის „ფანტაზიას“ ვუკრავდი და მთხოვა ფესტივალის იმ ნაწილში მიმეღო მონაწილეობა, რომელიც სოსო ბარდანაშვილის შემოქმედებით სადამოს ეხებოდა.

ქუთაისის კონცერტის მეორე ნახევარში შესრულდა ჯერ ოთარ ტატიშვილის „ამაღლება“, სოლისტი ნინო დავითაშვილი. ეს ნაწარმოები ერთხელ უკვე შესრულდა თბილისში, ამიტომ მასზე აქ აღარ ვისაუბრებ. შემდეგ ფესტივალის მხატვრულმა ხელმძღვანელმა და ჩვენმა სახელოვანმა პიანისტმა ალექსანდრე კორსანტიამ შეასრულა შოსტაკოვიჩის კონცერტი ფორტეპიანოს, საყვირისა (დავით შამანაური) და კამერული ორკესტრისათვის. დირიჟორი დავით მუქერია.

ალექსანდრე კორსანტიას გამოსვლა ქართველი მსმენელისთვის ყოველთვის დიდი ზეიმია. ასე მოხდა ქუთაისშიც. შოსტაკოვიჩის კონცერტის ახალგაზრდული ცუცხლოვანი მუსიკა სოლისტებმაც და ორკესტრმაც ვირტუოზულად, კორსანტიასეულ-შამანაურის-შხეფებივით გააჟღერეს და ქუთაისელებიც აღაფრთოვანეს (მოუსმინეთ კონცერტის ფინალურ ფრაგმენტს You-Tub-ზე: Alexander Korsantia plays Shostakovich concert for piano and trumpet).

ალექსანდრე კორსანტია – აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი ქუთაისელების მიღებით. ძალიან დიდი მადლობა მათ არა მარტო თბილი, არამედ საოცარი მიღებისთვის. ყურადღებისთვის და საერთო განწყობისთვის! იგივე პროფესიონალურ განწყობას ვგულისხმობ, სხვათა შორის, რასაც ძალიან ვაფასებ! მაგრამ ერთი შენიშვნა კი მაქვს: ერთი კარგი როიალი სჭირდებათ ნამდვილად! სამწუხაროდ, თბილისში ვერ



მოხერხდა ჩემი გამოსვლა ფესტივალის ფარგლებში, იმიტომ, რომ სხვა კონცერტი მქონდა დაგეგმილი კიდევ უფრო დიდი ხნის წინ, ვიდრე ეს ფესტივალი იგეგმებოდა; ვერ გავაუქმე, ვერ გადავიტანე. ამიტომ ჩამოვედი დახურვისთვის, ამაღლებისთვის, რომ ქუთაისის კონცერტში მიმეღო მონაწილეობა.

ნ.გ. — მეორე წელია თქვენ ხართ ამ ფესტივალის ხელმძღვანელი, ამიერიდან მუდმივი ხელმძღვანელი გახდებით. რა კონცეფცია ექნება ალესანდრე კორსანტიას ამ ფესტივალის მიმართ?

ა.კ. — კონცეფცია უკვე არის და მე მგონი ის უკვე ვითარდება; ეს არის ზრდა! ზრდა არის აუცილებელი! თუ არ არის ზრდა — ნიშნავს დებრესიას. და ამაზე ვზრუნავ რასაკვირველია.

ნ.გ. — რა მიმართულებით?

ა.კ. — რევიონების ზრდა არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პუნქტი ჩემს სიაში. ეს უკვე დაწყებული გვაქვს და კიდევ გვინდა გაფართოვდეს ამ მხრივ ფესტივალი. ამ შემთხვევაში თბილისის და ქუთაისის არ ვგულისხმობ, სადაც კულტურული ცხოვრება ძალიან მაღალ დონეზეა; ეს დღეს მსმენელმა გამოაჩინა და ძალიან გვახარებს ეს!

კონცერტით აღფრთოვანებას არ მაღავდა არც კომპოზიტორი სოსო ბარდნაშვილი — უდავოდ ბედნიერი ვარ დღევანდელი კონცერტით! ცოტა მეშინოდა, იცით, იმიტომ, რომ მე ასე ახლოს არ ვიცნობ ქუთაისელ მსმენელს, მაგრამ მსმენელი მსმენელია — თუ ნაწარმოებში არის რაღაც, რაც შენ გაღელვებს, მაშინ მსმენელსაც ააღელვებს! მე ძალიან მადლიერი ვარ, იმიტომ, რომ ძალიან კარგად მოისმინეს, რაც მთავარია!

მე მადლიერი ვარ ასევე ჩვენი მუსიკოსების — მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ყოფილიყო წარმატებული საღამო. აღარ ვლაპარაკობ საშაზე, რომელმაც ასე ლამაზად დააგვირგვინა დღეს კონცერტი!

ნ.გ. — თქვენი დღეს შესრულებული ნაწარმოებებიდან „წყვილი“, შეიძლება პროგრამულ მუსიკას მივაკუთვნოთ, რომლის პროგრამაც თქვენ ასე საინტერესოდ მოგვიყვებით კონცერტის წინ. ამავე დროს, საოცარი დრამატურგიული ქარგა იხატებოდა თქვენი ყველა სხვა ნაწარმოების მოსმენისას; ხომ ვერ გაუკეთებდით რაიმე კომენტარს სხვა ნაწარმოებებსაც?

ს.ბ. — „ფანტაზია“ (რომელიც დღეს ედიშერ სავიციკიმ შესრულა) მე დავწერე მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი, არტურ რუბინშტეინის სახელობის საფორტეპიანო კონკურსის სპეციალური დაკვეთით. დაახლოებით 45-მა პიანისტმა დაუკრა იმ კონკურსზე. იქიდან ერთ-ერთმა მიიღო ყველაზე წარმატებულის პრიზი. დღეს ძალიან ბევრს უკრავენ ამ პიესას. იდეა იყო ძალიან მარტივი: საფორტეპიანო ისტორია, ოღონდ ებრაული შოპენიდან დანახული! ამიტომ იქ იყო პასაჟები, რომლებიც შოპენს ჰგავს, თუმცა იქ იყო ბახის ტოკატიდანაც ფრაგმენტები; იქ იყო ვითომ შოპენი, ვითომ ბახი, ჯაბიც, ებრაელიც, ქართულიც (ბოლოს ფანდურის იმიტაციაც იყო) და ტანგო — თეატრი! ჩვენ ხომ სულ თატრში ვართ! ეს რაც შეეხება საფორტეპიანო „ფანტაზიას“; რაც შეეხება „ნერტილებს“ (რომელიც დავით მუქერიამ იდირიჟორა), ჩვენ ყოველთვის ვსვამთ გარკვეულ ნერტილებს ცხოვრებაში, ეს შეიძლება იყოს ცხოვრების მონაკვეთი. ებრაულში კი ნერტილს აქვს კიდევ ხმოვანის მნიშვნელობა — არის გრძელი ხმოვანი და მოკლე ხმოვანიც. ამიტომ მუსიკაც აწყობილია ასეთ ხმოვანებზე. თუ დააკვირდით ნაწარმოებს, იქ ყოველთვის რაღაც ნერტილით იწყება, თუმცა იქ რაღაც ქართული ელემენტიც არის. საკმაოდ ფილოსოფიური მომენტიც არის, შუბერტიც გაიღვავებს; ამ დროს ყველაფერი ეს მაინც ნერტილება — სადაც სვამ ცხოვრებაში ნერტილებს და ბოლო ნერტილს კი ორკესტრი სვამს, ყველა სოლისტიც ვითომ ნერტილს სვამს... ეს ნაწარმოებიც ამერიკელების დაკვეთა იყო. პირველად შესრულდა ნიუ-ორკში და ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად და შემდეგ კი მთელს მსოფლიოში სრულდება.

ნ.გ. — რას გვეტყვით თქვენი მუსიკალური ენის შესახებ?

ს.ბ. — მე ძალიან განსხვავებულ მუსიკას ვწერ. საკმაოდ ავანგარდული ნაწარმოებებიც მაქვს. თუმცა უმეტესად მე მაინც მელოდიას ვიყენებ. მელოდია ხომ ადამიანის სულია! მაგრამ, მაგალითად, პარიზის დაკვეთა მქონდა და იქ სრულიად განსხვავებული მუსიკა დავწერე. მე არ ვიზღუდები სტილში. მიმაჩნია, რომ მე ვარ ბევრი სტილის კომპოზიტორი, არა მრავალსტილიანი, არამედ ჩემი სტილი მაქვს, სადაც ყველაფერი შე-



ლევან ხსაღაძე, სალომი ჩიტაია

იძლება იყოს. ამას ვეძახით ჩვენ „ნიშნების“, „მინიშნების“ მუსიკას — ასე მე ვუნდებ. როდესაც ბახის ტოკატა გაიჟღერებს, ბევრი ვერ მიხვდება, მაგრამ ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალია. ვინც მიხვდება ნიშანია მისთვის; მიხვდება, რომ ეს არა მარტო შოპენია, არამედ რაღაცა გაერთიანებული ბახთან. თუ იქ მიხვდა, მერე მიხვდება რომ ჯაზია, მერე მიხვდება რომ აქ თეატრია და ა.შ. და ა.შ. გამოდის, რომ ერთ მუსიკაში ბევრი სიღრმეებია...

ნ.გ. — ანუ, თქვენ თვითონ სად ხართ რეალურად?

ს.ბ. — მე ვარ მუსიკაში! სამყაროში!! სამყაროში კი რაც არის, ყველაფერი ხომ ჩვენია? (იცინის) მუსიკას ხომ ისტორია არა აქვს?..

## 24 მაისი — ბათუმი

იოსებ (სოსო) ბარდანაშვილის საავტორო საღამო

ფესტივალის დასკვნითი დღე ბათუმში მთლიანად სოსო ბარდანაშვილის შემოქმედებას მიეძღვნა. ქუთაისში გაჟღერებულ კომპოზიტორის ნაწარმოებებს დაემატა საგუნდო ნაწარმოებები, რომლებსაც ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა ასრულებდა. დირიჟორი იყო დავით მუქერია. მიუხედავად დირიჟორის და მუსიკოსების საოცარი შემოქმედებითი მუხტისა,

პირველი განყოფილების მოსმენა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული იმის გამო, რომ დარბაზის ხმის რეჟისორს სცენაზე გედმეტი მიკროფონები დარჩა ჩართული. ამან კი კონდიციონერის ხმაური გააძლიერა, რამაც მთელ პირველ განყოფილებას უსიამოვნო ხმაურის ფონი შეუქმნა. ბათუმელი პუბლიკის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ განსაცდელს კარგად გაუძლეს; თუმცა კომპოზიტორის ბრწყინვალე ქმნილებებს: „ფსალმუნი 123“, „მეტამორფოზა“, „ფანტაზია“ და „ნერტილებს“, ქუთაისისოდენა ტაში არ მოჰყოლია. უსიამო ფონმა წაშალა ნაწარმოებების შინაგანი ემოცია!

შესვენების დროს საორგანიზაციო ჯგუფის გამოძიების შედეგად დადგინდა ხმაურის მიზეზი; ხმის რეჟისორმა შეცდომა გამოასწორა და მეორე განყოფილება, ღვთის წყალობით, ნორმალურად მოვისმინეთ. მითუმეტეს, რომ ძალიან საინტერესო, სრულიად ახალი ნაწარმოები, „ღვთის შვილები“, უნდა მოგვესმინა, რომლითაც დასრულდა ფესტივალი. სპეციალურად ამ ნაწარმოებისთვის, ლონდონიდან ბათუმში ჩამოფრინდა მსოფლიოში განთქმული ისრაელელი კონტრტენორი — იანი'ვ დორი.

„ღვთის შვილების“ შესრულების წინ სოსო ბარდანაშვილმა შემდეგი წინასტყვაობა წარმოსთქვა სცენიდან.

სოსო ბარდანაშვილი — „ღვთის შვილები“ დაწერილია სხვადასხვა რელიგიურ ტექსტებზე — ებრაულ, ლათინურ და არაბულ ენებზე. ამ რელიგიურ ტექსტებში ნათქვამია, რომ ბოროტება მხოლოდ ბოროტებას ამრავლებს; სიკეთეს კი შეუძლია სიკეთე გაამრავლოს — ამაზეა ეს ნაწარმოები! ამაზეა პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი ეძღვნება ძალიან მნიშვნელოვან დოქტრინას, არამარტო ებრაულს, საერთოდ რელიგიურ დოქტრინას: ურთიერთმოთმენის, ურთიერთგატანის დოქტრინას. იქ არის ბოლოს ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვები: „თუ 30 წმინდა ადამიანი ცხოვრობს აი ამ დიდ სამყაროში, აი ამ ურთულესი აგებულების კოსმოსში, აი ამ 30 ადამიანის წესიერებით ისარგებლებთ და იცხოვრებთო. 30-ზეა ლაპარაკი. თქვენ გახსოვთ, რომ როდესაც აბრაამი შევიდა სოდომ-გომორაში ღმერთს სთხოვა: „ღმერთო, იქნებ 10 ადამიანი მაინც ვნახო წე-




სიერო, რომ გადავარჩინო ეს ხალხი ამ საშინელ უბედურებას, ამ საშინელ სიკვდილს – ცეცხლში დანვას. ეძება და ერთივ ვერ მონახა, ერთივ კი! ერთი თავისი ძმა იყო იქ და ღმერთმა უთხრა, კარგი ის მაინც გამოიყვანო, რადგანაც შენი პატიოსნებით ისიც გაინმინდება. იქ არის ტექსტები ფსალმუნებიდან. მაგალითად: „აკურთხე ღმერთო სული ჩემი“ – ეს ფსალმუნიდან არის. „ალილუიაც“ ფსალმუნებიდან მოდის. ებრაულად იქნება – „გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც საკუთარი თავის შენი“, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ბოლოს, „გამჩენის ბეჭედი ჭეშმარიტება“, ე.ი. ბოლო სიტყვა მაინც ღმერთისაა. ეს არაბულად არის. „ემეთ-ემეთ“, რაც ნიშნავს ჭეშმარიტებას. ყველა რელიგია, ხომ ერთსა და იმავეს ამბობს...

კონტრტენორის საოცარმა შესრულებამ და ბარდნაშვილის მუსიკის რელიგიურმა პათოსმა სრულიად დავგავინყა პირველი განყოფილების უხერხულობანი. დარბაზმა ძალიან კარგად მიიღო ეს ურთულესი მუსიკალური ფრესკა (მოუსმინეთ „ღვთის შვილების“ ფრაგმენტს You Tub-ზე: “God’s Children” by Josif Bardanashvili Countertenor Ianiv D’or).

მართალია კომპოზიტორი სოსო ბარდნაშვილი რომელმაც გვითხრა, რომ „რაოდენ რთული და თანამედროვე არ უნდა იყოს აღსაქმელად ნაწარმოები, თუკი მუსიკაში დევს ის, რაც ავტორს ალელუებს, ის მსმენელსაც აუცილებლად აალელუებს“. ძალიან დიდი მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს ამ შესანიშნავი კომპოზიტორის, ჩვენი თანამემამულის საქართველოში მონვევისათვის.

საღამოს დასასრულს, სცენაზე ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის თავმჯდომარე, ლაშა ჟვანია ავიდა. მან ფესტივალი დახურულად გამოაცხადა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ ფესტივალში კიდევ უფრო მრავალმხრივ და საინტერესო პროგრამას შემოგვთავაზებს.

დაველოდოთ 2013 წლის ფესტივალს „ადგომიდან ამალღებამდე“. ჩვენთან ერთად მას თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქებიც ელიან. ელიან სულიერ ამალღებას, ახალ სახელებს, რეგიონების ზრდას და ბევრ, ბევრ სიკეთეს. მართალი იყო მარიამ დავითაშვილი, როდესაც თქვა, რომ როდესაც ფესტივალის შექ-



ღავით მამარია, იოსებ ბარდნაშვილი

მნის იდეაში აკაკი რამიშვილის პატრიოტული სურვილი და პატრიარქის ლოცვა-კურთხევა გაერთიანდა, ეს გახდა იმის საწინდარი, რომ დღეს ფესტივალს უკვე მთელი საქართველო ელოდება.





# ეროვნული მუსიკალური პარნასის მკვიდრი

პირველი! რამდენი ხელოვანისათვის სანუკვარი ამ სიტყვასთან წილნაყარობა! იყო პირველი, პირველმა თქვა სიტყვა შენს პროფესიაში, პირველმა გადადგა ნაბიჯი შენს ხელოვნებაში, პირველმა იტვირთო მშობლიურ კულტურაში ყამირის ვატეხვა! ეს პატივიცაა, გაბედულებასაც დიდს მოითხოვს და რამდენი უნდა გაილო, გასცე, ამ პატივის დამსახურებისათვის!

18

მარინე იაშვილმა ეს გაბედული ნაბიჯი 17 წლისამ გადადგა. იგი პირველი ქართველი მუსიკოსია, ვინც საერთაშორისო კონკურსის ლაურეატობის საპატიო,

ძნელად მოსაპოვებელი ტიტული დაიმსახურა და ამით სათავეში ჩაუდგა ქართველ ლაურეატთა სიას, ახლა ასე ვრცელი, ახლა უამრავი ლაურეატით ასე მდიდარი რომაა ჩვენი მცირერიცხოვანი ერი. მაშინ კი, 1949 წ., ახლად ომგადახდილმა ჩეხეთმა (იმხანად ჩეხოსლოვაკია ერქვა) თავისი სახელოვანი თანამემამულის, იან კუბელიკის სახელობის კონკურსი გამართა დედაქალაქში. ქ. პრაჰაში სხვადასხვა ერის მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა შორის ერთადერთი ქართველი გოგონა (და, მგონი, ყველაზე ახალგაზრდა) იყო.



მაგრამ ერთია ლაურეატის წოდების მოპოვება, ხოლო სხვაა ამ სახელის საკადრისი პროფესიული დონის შენარჩუნება. მარინე იაშვილმა არა მხოლოდ შეინარჩუნა, მუდმივი წინსვლის ნიმუშად დარჩა ბოლომდე. ი. კუბელიკის სახელობის ლაურეატობას მან კიდევ რამდენჯერმე შემატა სხვა კონკურსებზე გამარჯვებულის სახელი: 1955 – პოლონეთის ქ. პომზანში, ჰ. ვენიავსკის სახელობის, 1955 – ბელგიის ქ. ბრიუსელში დედოფალ ელისაბედის კონკურსთა ლაურეატობისა. მერეკი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის, საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს, ხოლო მოგვიანებით (ვფიქრობ, დავგვიანებით!) ქართველ ხელოვანთათვის საოცნებო და უადრესად საპატიო – რუსთაველის პრემია! და ამ ყველაფერთან ერთად ევროპისა და აზიის უამრავ ქალაქში საგასტროლო კონცერტებზე ოსტატობის აღიარება.

იქნებ არც იყო გასაკვირი ეგოდენ ადრეულ ასაკში გამარჯვება, რამეთუ მარინე იაშვილის ნიჭიერება დაფუძნებული იყო მკვიდრ, ჩინებულ ტრადიციებზე. მამა და მასწავლებელი – ლუარსაბ იაშვილი (შემდგომში ქართულ სავიოლინო სკოლას მთელი პლეადა რომ დაუტოვა) ხომ ანდრია ყარაშვილის აღზრდილი იყო, ქართული სავიოლინო სკოლის მესაძირკველისა, ქართული სავიოლინო საშემსრულებლო და სავიოლინო საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებლისა. ანდრია ყარაშვილის ცოდნას კი საუკეთესო ევროპული პროფესიული განათლება ასაზრდოებდა. თავად ლ. იაშვილი ა. ყარაშვილის შემდეგ, უკვე კონსერვატორიაში, საქართველოში მოღვაწე გერმანელი მუსიკოსის, ვ. ვილშაუს მონაფე იყო. ვილშაუსი, ვინც, თავის მხრივ, მთელს ევროპაში სახელგანთქმულმა იოზეფ იოახიმმა აზიარა სავიოლინო ხელოვნებას. ხოლო თავად მარინემ თბილისის „ნიჭიერთა ათწლედის“ დამთავრებისთანავე მოსკოვის კონსერვატორიას მიაშურა, იქ საუცხოო პედაგოგს კ. გ. მოსტრასს დაემონაფა (ცნობილი მუსიკოსების ფ. სტაჯის და ბ. სიბორის აღზრდილს!). ასეთ დიდებულ ტრადიციებზე დაფუძნებული ნიჭიერი მუსიკოსისათვის, იქნებ, ბუნებრივიც იყო წინსვლა-წარმატება. მაგრამ ვინც საშემსრულებლო ხელოვნებაში ჩახედულია, კარგად უნყის თუ რაოდენ დიდ შრომას, დღენიდაც მეცადინეობას, პროფესიული თვალსაწი-

ერის განუწყვეტელ გაფართოებას მოითხოვს მყარი აკადემიური დონის უზრუნველყოფა. მარინე იაშვილის მიერ განვლილი გზა ამის ჩინებული ნიმუშია!

ვახსენე ლ. იაშვილის მიერ აღზრდილი ქართველ მუსიკოსთა პლეადა. ამ სასახელო პლეადის გვირგვინია მისი ქალიშვილები, სახელოვანი მევიოლინეები ირინე და ნანა, ხოლო გვირგვინის ტემპარიტი მარგალიტი – მარინე.

მარინე იაშვილის ცხოვრებისეული გზა ისე წარიმართა, 17 წლის ასაკით დაწყებული, უმეტესწილად სამშობლოს მიღმა იცხოვრა (ჯერ რუსეთში, მოსკოვში, შემდეგ იუგოსლავიის ქ. ნოვი-სადში, ორივეგან კონსერვატორიის პროფესორის საქმიანობას ეწეოდა). გული კი ქართული რომ უძგერდა ეს ჩანდა არა მხოლოდ მის შესრულებაში, მგზნებარე ტემპერამენტსა და ცხოველყოფილ არტისტიზმში, არამედ მის საშემსრულებლო რეპერტუარშიც.

სხვადასხვა უცნაურობათა შორის, ქართველებს რომ გვჩვენებდა, ერთი ასეთად მესახება. ვეთაყვანებით ვარსკვლავ-ხელოვანს. ვავიხედოთ, გამობრწყინდება მეორე. უმაღლესი ალფრთოვანების სხივი უწინდელს დაჩრდილავს. თითქოს არ ვიცოდეთ ცაზე რაც მეტი ვარსკვლავი ბრწყინავს, მით უფრო მშვენიერი რომაა. ისეთ მცირე მიწაწყლის პატრონთათვის, ქართველები რომ ვართ, ვარსკვლავებით მოჭედილი ტატნობი სიამაყით უნდა გვაავსებდეს. ქართული სახელოვნებო ცის კამარა, საბედნიეროდ, უამრავ ვარსკვლავს იტევს (შეიმატებს კიდევაც!). მარინე იაშვილის ვარსკვლავი მარად იკაშკაშებს ქართულ ცაზე, დაე, ნუ ექნება ვარსკვლავი ერთ-ერთი დარბაზის წინ! იმასაც ვიტყვი, საქართველოში მუდამ ჰყავდა ერთგული თაყვანისმცემლები, ოსტატობის ტემპარიტი დამფასებლები. მისი ყოველი კონცერტი, კამერული იქნებოდა ეს, თუ ორკესტრით თანხლებული, მუდამ ბეიმი იყო, მუდამ მხურვალე ტაშით დასრულებული, ფერადოვანი თაიგულებით დამშვენებული.

ქართული მუსიკისმცოდნეობაც ვალშია ამ რჩეული ხელოვანის მიმართ (ნეტავ რომელი დიდი მუსიკოსის ვალში არ ვართ!). მე კი მცირე ნუგეშს ის მაძლევს, ორიოდ წერილით, სულ მცირედ მაინც, გამომიხატავს ალფრთოვანება, პატივისცემა, როგორც ბრწყინვა-

ლე მუსიკოსის, პატრიოტის, ხელოვანისა და სასახელო ტრადიციის ღირსეული გამგრძელებლისადმი. და მაინც გული მწყდება, მისი თითოეული კონცერტით დაბადებული მდიდარი ემოცია საგაბეთო წერილში რომ არ გამოძინატავს და ამით წრფელი მადლიერება არ გამოითქვამს იმ ესთეტიკური განცდისათვის მან, სხვებთან ერთად, მეც რომ დამასაჩუქრა.

რაში ვლინდებოდა მარინე იაშვილის, სამშობლოსგან მოშორებული მუსიკოსის პატრიოტიზმი? ქართული მუსიკის ერთგულებაში! მრავალი ქართული სავიოლინო კონცერტის (ნ. გაბუნიას, რ. გაბიჩვაძის, ნ. გუდიაშვილის, ს. ნასიძის, ა. შავერბაშვილის) პირველი შემსრულებელი მარინე იაშვილი გახლდათ. ტ. ბაქრაძის, ნ. გაბუნიას, რ. გაბიჩვაძის, ა. მაჭავარიანის, ს. ნასიძის, (იქნებ ყველა ვერც დავასახელებ) კამერული ნაწარმოებებისთვისაც ერთხელ და ორჯერ როდი გაუკვლევია გზა საკონცერტო ესტრადამდე. ქართული სავიოლინო კონცერტების საზღვარგარეთული პრემიერების მის სახელს დაკავშირებია რამდენჯერმე. ა. მაჭავარიანის სავიოლინო კონცერტის იაშვილისეული ჩანაწერი, აგერ უკვე ათწლეულებია, ეტალონურადაა მიჩნეული. არაჩვეულებრივი მგზნებარებით, ცეცხლოვანი ტემპერამენტით ახმიანებდა Bis-ზე მაჭავარიანისეულ „დოლურს“. ეს, მართლაც რომ პანია შედეგის მის თითებში თავბრუდამხვევი რიტმით იმსჯელებოდა, და, როგორც წესი, გულმხურვალე აპლოდისმენტებს იმკიდა. განა მრავლისმეტყველი არაა ეს ფაქტები?!

ისიც სათქმელია, რომ ცალკეულ ქართულ ნაწარმოებს საკუთარი ოსტატობით სძენდა ხიბლს. ალბათ, არასოდეს გაუწილებია ავტორი თხოვნაზე, პრემიერა მას ეტვირთა. და ყოველივე ამით ეროვნულ სამემსრულებლო კულტურაში უშურველად შეჭმონდა საკუთარი „სანევრო გადასახადი“.

ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ეროვნული ლიტერატურის (რავინდ მშვენიერიც არ უნდა იყოს იგი) შესრულებით ვერ შეძლებდა მარინე იაშვილი (და ვერც ნებისმიერი სხვა ერის წარმომადგენელი) საერთაშორისო სარბიელზე ფეხის მოკიდებას, მაღალპროფესიული არტისტის სტატუსის შენარჩუნებას. მსოფლიო და, უწინარეს ყოვლისა, ევროპული კლასიკური მუსიკალური ლიტერატურის ინტერპრეტაციით დაიმ-

სახურა აღიარება. ჩემთვის დაუვიწყარია იაშვილისეული ი.ს. ბახის სწორუპოვარი ჩაკონას შესრულება. პირველად რომ მოვისმინე, გავიფიქრე, უკეთესად ამ შედეგის დაკვრა ნეტავ თუა შესაძლებელი-მეთქი. მერეც ბევრჯერ დავსწრებივარ მის კონცერტებს, სადაც პროგრამაში ალმასივით გაბრწყინებულა ეს გენიალური ქმნილება. დიდი ორკესტრის ტემბრულ პალიტრას ეპაექრებოდა ხოლმე მისი ვიოლინო. მელოდიის უწყვედ დინებას ჰარმონიული თანხლება ჩუქურთმასავით გარს ეხვეოდა. მევიოლინეთა ეს საჯილდაო ქვა იაშვილისეული შესრულებით სანიშნოდ მიმაჩნდა ყოველჯერზე და რაოდენ გასახარი იყო, რომ ახალ-ახალი განმანებისას მუსიკა მეტად და მეტად მნუსხავდა. მჯერა, არა მარტო მე!

ვგონებ არ შევცდები თუ ვიტყვი, ბახის ჩაკონის საჯაროდ (ისევე, როგორც მრავალი ევროპული კლასიკური ნაწარმოების) შესრულებამაც, ქართველ მევიოლინეთა შორის, პირველობა ასევე მარინე იაშვილს ეკუთვნის.

დიდებული იყო ხოლმე, მაგალითად, ბეთჰოვენის, მენდელსონის, ჩაიკოვსკის კონცერტების, სავიოლინო მუსიკის ამ უზენაესი ნიმუშების, იაშვილისეული ინტერპრეტაცია. იმავე წამს ინადირებდა მსმენელთა გულს სენ-სანსის რონდო-კაპრიჩიოზოს, სარასატეს „ბოშური მონამღერების“, ბრამსის უნგრული ცეკვების საოცრად პოპულარული ჰანგებით და მათთან ერთად უფრო რთული — იზაის სონატა, შუმანი-კრეისლერის „ფანტაზია“... ან კიდევ ქალბატონი მარინეს მდიდარი რეპერტუარის სრულ ჩამოთვლას ხომ არ შევუდგები.

უდავოდ გასახსენებელია 1967-1973 წწ. თარიღები. ეს საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის აყვავების ხანაა და უშუალოდ მარინე იაშვილის (მათან ერთად მისი მეუღლის, გამოჩენილი მევიოლინის, იგორ პოლიტოვსკის) სახელს უკავშირდება, ისინი იყვნენ ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელები. ქართული ორკესტრის სრული შემადგენლობა მაშინ პირველად გასცდა საქართველოს საზღვრებს. მოწონება დაიმსახურა ევროპული მუსიკის იმგვარი ტემპარითი და მომთხონი დამფასებლის ქვეყნებში, გერმანია, ავსტრია, ლიხტენშტაინი რომაა. იქაც გამოვლინდა მშობლიური მუსიკისადმი იაშვილისეული პატრიოტუ-





მარინა იაშვილი

ლი სულისკვეთება. პრესა იუნყებოდა: „დარბაზი, გეგონებოდათ ააფეთქაო მხურვალე აპლოდისმენტებმა“, მათთვის სრულიად უცნობი კომპოზიტორების სულხან ნასიძის „კამერული სიმფონიისა“ და ოთარ თაქთაქიშვილის მახვილგონიერებით გაჟღერებულ „იუმორესკა“-ს ევროპულ პრემიერას რომ მოჰყვა. კლასიკური მუსიკის საყოველთაოდ აღიარებულ თხზულებათა გვერდიგვერდ ევროპელთათვის ერთობ უცხო კომპოზიტორების ნაწარმოებთა გაჟღერება, ცხადია, გაბედულებას მოითხოვდა. მაგრამ პატრიოტული გრძნობა ავალებდა უცხოელებისათვის გაეცნო საკუთარი ქვეყნის მხატვრულ-შემოქმედებითი ღირებულებანი და აკი არც შემცდარა გამოცდილი მუსიკოსის აღლო!

ამრიგად, ქ-ნი მარინე იაშვილი თავისი შემოქმედებით ქართული სამემსრულებლო კულტურის ისტორიასაც ქმნიდა. შესაძლოა თავად არც უფიქრია ამაზე. ხოლო რაკი პირველი ინტერპრეტატორი იყო, თითოეული საპრემიერო გამოსვლით, პირველი შესრულებით, ეროვნული სამემსრულებლო ისტორიის ევოლუციურ გზაზე გარკვეულ ნიშანსვეტებსაც აღმართავდა.

მუსიკოსი, რაგინდ დიდუც იყოს, ჩვეულებრივი მოკვდავია. ხანი, ასაკი, თავისას შვრება. მარინე იაშვილი,

შვიდ ათეულსაც გადაცილებული, ესტრადაზე ჭაბუკურად შემართული, მგზნებარე, ცეცხლოვანი ტემპერამენტით იღვწოდა. წლები ვერაფერს აკლებდა, არტისტიზმს ვერ უნებლდა ცხოველმყოფელობას. იქნებ მარად მზარდი ოსტატობა აპირობებდა ამას. იქნებ კი თავად მისი ადამიანური ბუნება, ანთებული, არტისტული (ოღონდ მოჩვენებითობას სრულიად მოკლებული), აკადემიური, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით. დარბაზს უმაღლესხაზდა ცეცხლოვანი განცდით. პასუხად კი ხელოვანის უმენაეს ჯილდოს, ტაშს მიიზღავდა, როგორც წესი, უკანასკნელი ბგერის გაჟღერებისთანავე, ბობოქარ ტალღასავით რომ აგორდებოდა ხოლმე.

სიცოცხლეშივე მსმენელთა მხურვალე აპლოდისმენტების გარდა, სხვაგვარი დაფასებაც ჰქონია. საქართველოში მოღვაწე შესანიშნავმა რუსმა მსოცვანმა მხატვარმა, ვასილი შუხაევმა, ნორჩი მარინეს საუცხოო ფერწერული პორტრეტი, მოქანდაკე ფ. მზარეულაშვილმა კი მარმარილოს ბიუსტი, შექმნეს. ფერწერული პორტრეტი, როგორც ხელოვანის შემოქმედებითი დანატოვარის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, ხოლო მარმარილოს ბიუსტი – თბილისის კონსერვატორიაშია დაცული.

2012 წლის 8 ივლისს დასრულდა შესანიშნავი ქართველი შემოქმედის ბიოგრაფია. მან 17 წლისამ გაიმარჯვა რა საერთაშორისო კონკურსზე, არა მხოლოდ ლაურეატის სახელი მოიპოვა, არამედ პარნასისკენ მიმავალ გზაზე გადადგა პირველი ნაბიჯი. შემდეგ და შემდეგ კი მთელი ვრცელი სასიცოცხლო გზა ღირსეულად განვლო. პროფესიას ერთგულად, თავდადებით ემსახურა. სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის, უმაღლესი პროფესიონალიზმის მაგალითივც დატოვა და ამით ოქროს ასოებით ჩანერა მარინე იაშვილის სახელი ქართული მუსიკალური კულტურის მათიანეში.

თხემით ტერფამდე ქართველ მუსიკოსს მაშ სად, თუ არა სამშობლოს მიწაში უნდა ეპოვა უკანასკნელი საგანე, როგორც მის წინაშე ვალმოხდილ, ღირსეულსა და საამაყო შვილს. მან სამარადისოდ დაიმკვიდრა ადგილი სხეულით – ქართულ კურთხეულ მიწაზე – დიდუბის პანთეონში, თავისი ხელოვნებით – ეროვნული მუსიკის პარნასზე.

რუსუდან ქუთათელაძე

მეტეორივით გაიფლავა დიდი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის ცხოვრებამ. მისმა ხანმოკლე მოღვაწეობამ წარმოუდგენელი შედეგი მოახდინა საქართველოში როგორც საოპერო, ისე სიმფონიური მუსიკის სფეროში. მისი სახელი ლეგენდად დარჩა შთამომავლობას.

სამოგადოება დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდა თბილისში ევგენი მიქელაძის ძეგლის აღმართვას. საბედნიეროდ, ეს საყოველთაო სურვილი ახდა და 2000 წელს აღიმართა მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას შთამბეჭდავი ბიუსტი. თუმცა ერთგვარი უკმარისობის განცდა გამოიწვია მისმა ადგილ-მდებარეობამ. მართალია, მას შემდეგ საკმაოდ ხანი გავიდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ საკითხს აქტუალობა არ დაუკარგავს.

# ფიქრები ევგენი მიქელაძის კეზლის გარშემო

გიგა ლორთქიფანიძე

რატომ მიჩქმალული?

ევგენი მიქელაძე, გენიალური დირიჟორი, ლეგენდარული პიროვნება, შეინირა ულმოებულმა დრომ, ჩვენს ახლო წარსულის პოლიტიკურმა ვითარებამ. საბედნიეროდ, შექმნილია მისი ნამდვილი სახე — გიორგი შხვაცაბაიას მიერ ბრინჯაოში ჩამოსხმული ბიუსტი. რაც, ჩემი აზრით, ბრწყინვალე ნაწარმოებია. სამწუხაროდ, მისი ადგილ-მდებარეობა, მართალია, რუსთაველის გამზირია, მაგრამ ვინაიდან არის ოპერის თეატრის უკან, მას ვერ დანახავს ოპერის თეატრში მომსვლელიც, რომ აღარაფერი ვთქვათ, გამზირზე მოსიარულე ადამიანზე.

რატომ უნდა იყოს ასე, რატომ უნდა იყოს მიქელაძის ძეგლი მიმაღული, მიჩქმალული, ადამიანების თვალს მოფარებული? იქნებ როგორმე გამოსწორდეს ეს შეცდომა და სათანადო ადგილი მიეჩინოს დიდი ხელოვანის ბრინჯაოს გამოსახულებას.

ნოდარ ანდლულაძე  
სიმბოლური საფლავი

ერთხელ ოდისეი დიმიტრიადიმ ოპერის თეატრში სასწაულებრივად იდირიჟორა „აბესალომ და ეთერი“ და

საქეტაკლის შემდეგ გამართული მოლოცვების დროს გაიხსენა ევგენი მიქელაძე, როგორც ეტალონი ყველა დროის დირიჟორთა შორის და ასეთი რამ თქვა: ხომ ცნობილია, რომ მოცარტის საფლავი დაკარგულია, მაგრამ ვენაში მას გაუხსნეს პირობითი საფლავი, ასე უნდა არსებობდეს თბილისშიც ევგენი მიქელაძის საფლავიც.

ჩემი აზრით, ეს იყო დიდებული ნათქვამი, მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდეგ ეს აღარავის გახსენებია და ცხადია, შედეგიც აღარ მოჰყოლია.

მიქელაძის ძეგლი დგას კუთხეში თეატრის საღაროებთან, იქ, საიდანაც მიქელაძე ყოველდღიურად შედიოდა ოპერის შენობაში.

მიქელაძის ბიუსტი გამომსახველია, შთამბეჭდავი, უდავოდ ნიჭიერი ნამუშევარია, მაგრამ მას წინ, შუა სკვერში უდგას აკაკის ძეგლი, თან მცენარეებიც ფარავს მას...

ამ დროს, იცით, მიქელაძე ვინ იყო? მან სულ მოკლე ხანში მოახერხა ქართული მუსიკალური კულტურა აყვანა არა საკავშირო, არამედ მსოფლიო დონეზე, ეს გმირობის ტოლფასი იყო. მისი შესრულებული შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონია“ დღესაც ახსოვთ



პეტერბურგში. მრავინსკის აქვს ნთქვამი (მან და მიქელაძემ ერთი სკოლა გაიარეს): ჩვენში ყველაზე ნიჭიერი მიქელაძე იყო. მან, მართლაც გადატრიალება მოახდინა მუსიკალურ ამროვნებაში, შოსტაკოვიჩთან, პროკოფიევთან, აგრეთვე სხვა კომპოზიტორებთან ურთიერთობით, იმ რეპერტუარით, რომელიც არ გააჩნდათ სსრკ-ს სხვა ორკესტრებს. მან თბილისის სიმფონიური ორკესტრი საჩვენებელი გახადა. ჩვენში არსებული ყველა დიდი მუსიკალური ტრადიცია მიქელაძისგან მოდის.

ვაფასებთ ყოველივე ამას? მართო მიქელაძე არა გვყავს დაუფასებელი, მიქელაძის შემდეგაც იყო დიდი მოვლენები ქართულ სადირიჟორო სფეროში. მაგალითად, ჯანსუღ კახიძე ლა სკალას კონცერტის შემდეგ დასახელდა მსოფლიოს ათ საუკეთესო დირიჟორთა შორის, მაგრამ ჩვენ, მგონი, არც მას ვაფასებთ ისე, როგორც საჭიროა. ამ დროს ამ დიდი პიროვნებების დაფასება მათზე მეტად თავად ჩვენ ვვჭირდება.

თუკი არსებობს ოპერის ბაღში ზაქარია ფალიაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, ოდისეი დიმიტრიადის საფლავები, იქვე უნდა არსებობდეს ეგვანი მიქელაძის საფლავიც და იქ უნდა დაიდგას მისი ძეგლიც.

### ქრიზანთემების თაიგულით გიორგი შხვასაზაია

ჩემთვის მოულოდნელია ის ფაქტი, რომ დღეს ისევ მიქელაძის ძეგლი გაახსენდათ და მეტიც, რომ მან ისევ ააღელვა ვინმე. თავის დროზე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მისი დადგმის საკითხის გადწყვეტას. რაც შეეხება ადგილს, სადაც უნდა დადგმულიყო, ამბავს თავიდანვე დიდი დავა იყო. ჟიურის წევრთაგან ერთი მოქანდაკე იჩივებდა – აღმაშენებელზე, ფილარმონიის ეზოში დაიდგასო. მეორემ აზრი გამოთქვა – მარმარილოში გაკეთდეს და კონსერვატორიის ვესტიბიულში მიეჩინოს ადგილი. ამ დროს თავდაპირველი ჩანაფიქრი იყო ოპერასთან დადგმულიყო, მეც ასეთი გამოსავალი ვნახე და იდეა მივანოდე – დაიდგას იქ, საიდანაც ის ბოლოს გაიყვანეს – ოპერის უკან, სამუშაო გასასვლელთან. ეს აზრი ჭკუაში დაუჯდათ, თო-



რემ სხვა შემთხვევაში ოპერის ტერიტორიაზე მის გატანებას არავინ აპირებდა.

მიქელაძე მართლაც ბოლოს აქედან გაიყვანეს. მანამდე წინა საღამოს მეუღლისათვის – ულამაზესი ქეთევან ორახელაშვილისათვის ქრიზანთემების თაიგული მიურთმევია, ძეგლის ბრინჯაოს ბარელიეფის მარცხენა მხარეს სიმბოლურად ქრიზანთემები გამოვსახე.

რაც შეეხება ძეგლის გადატანას, ვფიქრობ რთული საკითხია. ამ მხარეს ბაღში აკაკის ძეგლთან ჩავარდება წინააღმდეგობაში, მეორე მხარეს ფალიაშვილის ძეგლი იმდენად მასშტაბურია, რომ მის სიახლოვეს რამდენად შეეგუება არ ვიცი.

მე მინდა მჯეროდეს, რომ დადგება ის დრო, ხალხი საგანგებოდ მოვა ამ სკვერში მიქელაძის ძეგლის საჩვენებლად.

# სიმღერა, როგორცაა უკვდავება უნერია

სიმღერით აღიარებულ ისეთ ქვეყანაში, რომელმაც უნიკალური მრავალხმიანობა შექმნა, ქვეყანაში, სადაც ამ ჟანრის უამრავი სახელმძღვანელო ავტორი დაბადებულია, არც ისე იოლია მხატვრულად ღირებული სიმღერის შექმნა. ტრადიციას შორს რომ არ გავხედოთ ამ გაბედულებისათვის ისეთი დიდი ავტორიტეტის გვერდით ცხოვრებაც კმარა, როგორც რევამ ლალიძეა.

ნუნუ დულაშვილს ბედმა გაუღიმა და პროფესიული განათლება ქართული საკომპოზიტორო სკოლის ისეთ მეტრთან მიიღო, როგორც ანდრია ბალანჩივაძე ბრძანდებოდა. საფიქრებელია, რომ ანდრია ბალანჩივაძის აღზრდილი კომპოზიტორების – რ.ლალიძის, ა.ჩიმაკაძის, შ.მილორაფას, ბ.კვერნაძის გატაცებამ სიმღერის ჟანრით /სხვა ჟანრებზე რომ არაფერი ვთქვათ/

ერთგვარი სტიმული მისცა ნუნუსაც. დღეს თამამად შეიძლება ითქვას – სიმღერის ჟანრი ნუნუ დულაშვილის ჭეშმარიტი მონოდებაა. თუმცა მისი ნიჭი და მონაცემები სხვა ჟანრებშიც იტყოდა თავის სიტყვას, მისი ინტერესი რომ გატოლებოდა სიმღერისას.

ნუნუ დულაშვილის ფენომენი ხალხური მუსიკის სათავეებთან სიახლოვემ შექმნა, მაგრამ არა მხოლოდ. იშვიათად შემხვედრია ესოდენ წიგნიერი, ფართო ინტერესების მქონე ქალბატონი, ღრმად ჩახედული თავისი ქვეყნის ისტორიაში, ასე ძლიერ რომ ეტრფოდეს პოეზიას, ლიტერატურას, ხელოვნებას. ილია, ვაჟა, გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, ფიროსმანი, ლადო

ასათიანი, მიხეილ ქვლივიძე, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ანა კალანდაძე, მისა ხელაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი მისი სულიერი მეგობრები არიან.

ნუნუს სიმღერები ქართლ-კახური მუსიკალური ფოლკლორის წიაღში დაბადებული ხელოვნებაა. ეს ის ფუძეა, საიდანაც ავტორის ცნობიერებაში შემოდის თემატიკა, სახეები, ინტონაციური მიმოქცევები, ემოციური წყობა და, რაც ესოდენ გათვალსაზიროებელია, ხალხური პროფესიონალიზმის ნიშნები. აქვე დავსძენ, რომ დულაშვილის სიმღერებში ერთ ხალხურ ციტატასაც ვერ შეხვდებით, რადგან ხალხური აქ ზოგადსტილური ნიშან-თვისებების გარდაქმნა-გათავისებებით მოიპოვება. ყველა სიმღერის მასალა საკუთრივ დულაშვილისეულია, მხოლოდ ხალხური აზროვნების ნიშნები და პროფესიული საკომპოზიტორო ხელოვნება ისეთ სინთეზს ქმნის, ისეთი ხალასი ნიჭითაა მოპოვებული, ოსტატობის ისეთ სიმალღებეა აზიდული, რომ ხალხურსა და პროფესიულ მუსიკას შორის ზღვარი ლამის იშლება. შემთხვევითი არ არის, რომ ზოგჯერ მსმენელს მისი ზოგიერთი სიმღერა ხალხური ჰგონია. ალბათ ამან ათქმევინა ბიძინა კვერნაძეს: „ნუნუ დულაშვილის ზოგიერთი სიმღერა ხალხში გავიდა და მათ, ალბათ, დღევარძელობა უწერიან. „ჰიმნი კახეთს“ ერთ-ერთი ასეთი სიმღერაა.“

ჭეშმარიტად. ამ „ჰიმნი“ მკაფიოდ იკითხება ხალხური და პროფესიული სანყისების გადაკვეთა და აქ





ნუნუ დვალაძე

დულაშვილის წინაპრად ნიკო სულხანიშვილი მესახება. ამ დიდ ხელოვანთან ნუნუ დულაშვილს მშობლიური მხარის ხალხური მუსიკის ღრმა ცოდნა და სიყვარული აახლოვებს. სულხანიშვილივით ნუნუს კავშირი მშობლიურ მხარესთან ე.წ. „ადგილის დედას“ საოცარი განცდაა, რომელშიც მარტო მუსიკა კი არა, ის სულიერი სანყისებია ჩაქსოვილი, კახელ ხალხს თავისი წარსულიდან და აწმყოდან რომ ამოუზიდა და ხელოვნებად გარდაუქმნია. ნუნუ დულაშვილი – კომპოზიტორი და პიროვნება „ადგილის დედას“ ამგვარმა განცდამ ჩამოაყალიბა და ეს გენეტიკა რომ არა, ალბათ, არც „ჰიმ-

ნი კახეთს“ შეიქმნებოდა. მართლაც საოცარია, ვერის უბანში დაბადებულ და გაზრდილ, ამ თავით ფეხებამდე თბილისელ ქალში როგორ იგრძნობა კახეთის იერსახე, ხასიათი, ალალი და ვაჟკაცური სული, მუსიკალური აზროვნების წყობა, სიმღერების შესრულების მანერა თუ ხმის ტემპრი. სიმღერა „ჰიმნი კახეთს“ სულხანიშვილთან სიახლოვის კიდევ ერთ ნიშანზე მიგვითითებს – ხალხური შემოქმედებიდან მომდინარე იმპროვიზაციულობაზე, რაც მელოდიკის წყობის, ფორმის ჩამოყალიბების და თვით ამ სიმღერის შესრულების თავისთავადობას განაპირობებს. კახური სიმღერების მრ-

ვალხმიანობასა და „ურმულის“ ტიპის ცალფა სიმღერებში იღებს დასაბამს ნუნუ დულაშვილის ამ სიმღერის დინჯი დინება, ამაღლებული წყობა და მელოდიკაში მოძალებული მღერადი რეჩიტატივები. ხალხური იმპროვიზაციის კანონზომიერებას ექვემდებარება ნანარმოების სტრუქტურაც: ცალფა ხმის გაშლილი დინების გადართვა ოთხხმიანი გუნდის კომპაქტურ ხმოვანებაზე, რიტმულად ლალი ერთხმიანობის დაპირისპირება მუსტრიტმულ სტრუქტურაში მოქცეულ ქორალურ წყობასთან. „ჰიმნი კახეთს“, ისევე როგორც დულაშვილის ყველა სხვა სიმღერა, ინსტრუმენტული თანხლებით სრულდება. არადა, ეს უკანასკნელი იმდენად ჩრდილში დგას, ვოკალურ მელოდიკას ისე ამოფარებია, რომ „ზედმეტიც“ გეჩვენება. ასე ნარმოჩნდება დულაშვილის შემოქმედებაში კახური ხალხური აკაპელა სიმღერების ბუნება.

„ადგილის დედაშ“ ნუნუ დულაშვილის სიმღერების ვაჟკაცური ხასიათი, მისი შინაგანი ენერჯია და ემოციური სიდარბაისლე განაპირობა. ამ სიმღერებში ერთგვარად იკითხება მამაკაცური ხელწერა. ამასთან სიმღერების ტესიტურას, მათ ვაჟკაცურ ტონს მამაკაცთა ხმები უფრო მიესადაგება, ვიდრე ქალთა. ნუნუს სიმღერებს ხმის იმგვარი „ფოლადი“ და ისეთი შემართული, მედგარი ინტონირება უხდება, როგორც თავად კომპოზიტორი ასრულებს თავის „ჰიმნს“, და ვიტყვოდი — უბადლოდ. მეორეს მხრივ დულაშვილის ლირიკას არ აკლია ქალური სინაზე, კდემა, სითბო. „ჰიმნი კახეთს“ სანიმუშოა არა მხოლოდ მაღალმხატვრული სახიერებით, ოსტატობით, არამედ იმითაც, რომ აქ თავს იყრის კომპოზიტორის სტილის განმსაზღვრელი ისეთი ნიშნები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, გაშლა-განვითარების ახალ სარბიელს ჰპოვებენ ნუნუს მომავალ სიმღერებში. მაგალითად, დულაშვილისთვის ესოდენ მახლობელმა ჰიმნურმა სანწყიმმა მოგვიანებით გამოანათა სიმღერებში „ქართულო მინავ“ /ლექსი მ.ქვლივიძის/ და „ჰიმნი საქართველოს“ /„საქართველო ერთია და იგი ჩვენი ღმერთია“ ლექსი ფ.ჩარკვიანის/. არაფერია გასაკვირი იმაში, თუ ქართული ხალხური მრავალხმიანობის ურთულეს იმპროვიზაციებში ნანართობმა სმენამ ნუნუ დულაშვილი გაიტაცა იმპროვიზაციული ჯაზით, ეს იმ დროს ხდება, როდესაც ეს დიდებული ხელოვნება

ჩვენში ის-ის იყო ფეხს იკიდებდა და თბილისში მისი ნამდვილი გამგები მუსიკოსი თითებზე ჩამოთვლებოდა. ნუნუმ ჩემი თაობის ყურადღება უმაღლ მიიზიდა ამ სტილის რამდენიმე სიმღერით და ინსტრუმენტული იმპროვიზაციებით. ამგვარი სტილის სიმღერების შექმნა შემთხვევითობას არ მიენერება, რადგან აქაც ავტორს ხალხურ სათავეებთან კავშირი ეხმარება, რაც სამართლიანად აღნიშნა ამერიკელმა ბანგმა მომღერალმა ნუნუს მიერ მისთვის საგანგებოდ დანერილი სიმღერის შესრულებისას და იმ ჟიურის წევრებმაც, რომლებმაც დულაშვილის სიმღერას პრაჰაში ჯაზ-ფესტივალის საერთაშორისო კონკურსზე უმაღლესი ჯილდო მიანიჭეს.

განსაკუთრებულია ნუნუს დამოკიდებულება ქართული ლექსისადმი. მისი ღრმა სიყვარული, ცოდნა, სათუთი მოპყრობა რომ არა, დულაშვილის სიმღერები დაკარგავდნენ იმ ხიბლს და ხატოვანებას, რითაც მათ ასეთი დიდი აღიარება მოიპოვეს. როდესაც ლექსიდან მოედინება შთაგონების პირველი იმპულსები, იმ მომენტიდან ნუნუს ფიქრი დღენიდაგ თავს დასტრიალებს ლექსის იმ სიტყვებს, რამაც მისი სემანტიკა და ემოციური ტონალობა უნდა განსაზღვროს. კომპოზიტორის სმენა ასევეა ჩართული ლექსის მუსიკალობაში, რაც მას საჭირო ინტონაციის მოძიებასა და მელოდიური სახის საბოლოო დახვეწაში ეხმარება. ასე დაიბადა დულაშვილის სიმღერების მელოდიური სახეები ი. ნონეშვილის, მ.ფოცხიშვილის, მ.ლენინიძის, ფ.ჩარკვიანის, მ.ქვლივიძის, პ.გრუზინსკის, დ.გვიშიანის, დ.კვიციანიძის ლექსებზე. ამ სიმღერებში ჩანს, რომ კომპოზიტორი სიმღერას არ აღიქვამს როგორც ლექსის ადეკვატს ან მუსიკალურ ტრანსკრიპციას, არამედ ლექსისა და მუსიკის სინთეზში ხედავს ახალი მხატვრული მოვლენის დაბადებას, სიმღერაში ის ცდილობს პოეტის მთელი სამყარო დაინახოს. ამიტომაც იგი ლექსს პასიურად არ მისდევს. მას სიმღერა ლექსის „მორგების“ გარეშე არ შეუქმნია, მისი პოზიციასთან დამოკიდებულება ყოველთვის შემოქმედებითია. სანიმუშოა „ჰიმნი კახეთს“, რომელშიც ნონეშვილის ლექსსა და ნუნუ დულაშვილის ვარიანტს შორის სხვაობა საოცრად მეტყველმა მუსიკალურმა ინტონაციამ — „კახეთო, ჩემო კახეთო“ მოითხოვა, ნაცვლად ნონეშვილისეული — „კახეთი, ჩემი კახეთი“ —სა. ამ ცვლილებამ სიმღერას უფრო ამაღ-



ლებული, ჰიმნური ჟღერადობა მისცა, უნდა ითქვას, რომ პოეტმა ნუნუს სიმღერისათვის ლექსში არა მარტო შეცვალა ზოგიერთი სიტყვა, არამედ სტროფიც გაზარდა და ტაქტიც დაუმატა. ამ წერილის დაწერა ბატონ იოსებ ნონეშვილის სიცოცხლეში რომ მომესწრო, ალბათ მისგან ბევრ საინტერესო დეტალს გავიგებდით იმ იდუმალ შემოქმედებით პროცესზე, როცა ორი სხვადასხვა სამყაროს ხელოვანის — პოეტისა და კომპოზიტორის ნიჭი ასე ერთსულ ინვის მშობლიური კუთხის სიყვარულში.

იოსებ ნონეშვილის პოეზიის საფუძველზე ნუნუ დულაშვილის ბრწყინვალე სიმღერები შეიქმნა: „ჰიმნი კახეთს“, „ღმერთი სიყვარულისა“, „გვიყვარდეს საქართველო!“. ეს უკანასკნელი კომპოზიტორმა ერთიანი საქართველოს დიდებისათვის შეწირულ მეფე ერეკლეს უძღვნა. სიმღერის სათაური — „გვიყვარდეს საქართველო!“ — ერეკლეს მოწოდებაა, მისი უკვდავი ხმა „რომელსაც უერთდება მამულისათვის უდროოდ დაღუპული ყველა გმირი, ყველა ატირებული დედა, საქართველოს ბედნიერებისთვის შემოკრული ყველა ზარი.

ნონეშვილის პოეზიის საფუძველზე ნუნუ დულაშვილმა თავისი ერის შემოქმედებითი ენერჯია უფრო ძლიერ განიცადა. აქ ჰჰოვა სიყვარული ამალღებული, მზურვალე, ჰიმნად დამღერებული. კახეთის ამ მეხოტბესთან ნუნუს სულიერი სიახლოვე ერთი უბრალო ეპიზოდითაც მინდა ავხსნა: ერთ ზაფხულს ნუნუ სტუმრად მენვია ქართლის ერთ-ერთ მომხიბლავ კუთხეში — სხალტბაში, ერთ დროს ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია რომ ყოფილა. ვისაც ფეხი დაუდგამს სხალტბის გადასახედზე, თვალი შეუვლია ძირს მერცხლის ბუდედავით შეყუჟულ შიომღვიმის მონასტრისათვის და უგრძვნია მათა იდუმალი მდუმარება, დამეთანხმება, რა დიდებულია ქართლის ეს კუთხე. ნუნუ მოხიბლა ამ სილამაზემ, წამით გახედა სივრცეს... და უნებლიედ ჩაილიღინა მელოდია, რომელსაც ყველა ჩვენგანი ააყოლებდა ნაცნობ სტრიქონებს:

ორმების გადასახედო  
კახეთო, ჩემო კახეთო!

ინონეშვილის პოეტურ სამყაროში ნუნუ დულაშვილმა მოიძია სხვა წყობის სიყვარულიც — სადა, ჩუმი, ქალური კდემით, რწმენით, ბედნიერებით აღსავსე და როდესაც ყოველივე მელოდიურ სახედ ჩამოყალიბდა, დაიბადა დიდებული სიმღერა „ღმერთი სიყვარულისა“. ამ სიმღერაში გამობრწყინდა ის ნიუანსები, ნუნუს ლირიკულ სამყაროში სინატიფე, თრთოლვა და მგზნებარება რომ შემოაქვს. უფრო გაბედული რომ ვიყო იოსებ ნონეშვილის ამ ლექსებზე შექმნილ ნუნუ დულაშვილის სიმღერებს შედეგებს ვუნოდებდი. თუმცა ეს დრომ უკვე დაადასტურა და ქართული პოეზიის ამ მაღლიანი სიტყვებით მოპოვებულმა აღიარებამ ნუნუ დულაშვილს საპატიო ადგილი დაუმკვიდრა თანამედროვე ქართული ვოკალური ლირიკის ჭეშმარიტ ხელოვანთა შორის.

არც ისე ხშირია ლოკალური კოლორიტის შეგრძნების ისეთი უნარი, ნუნუ დულაშვილს რომ აქვს. მართლაც საოცრად განსხვავდებიან მის მიერ შექმნილი საქართველოს სხვადასხვა კუთხისადმი თუ ძველი თბილისისადმი მიძღვნილი სიმღერები. ნუნუ ინტუიციით გრძნობს ამ კუთხეების ხალხთა სულიერ სამყაროს, მის განსაკუთრებით გამორჩეულ ნიშანთვისებებს, მათ განიცის და შესაბამის მელოდიურ ნახაზში აღბეჭდავს. ამაში მას ეხმარება ბუნება, ხალხის ყოფაცხოვრება, მათი ადათ-წესები, ისტორიული ძეგლები, პოეზია, ყოველივე ის, რაც შემოქმედებით იმპულსად იქცევა და სიმღერად ჩამოიქნება. ასე დაიბადა „იმერეთის ნიავო“ /ლექსი პეტრე გრუზინსკის/ და „სიმღერა ქუთაისზე“ /ლექსი დავით კვიციანიძისა და ნ.დულაშვილის/. ეს რბილი, აკვარელის საღებავებით შესრულებული ვოკალური მინიატურებია, რომლებიც იმერული ქალაქური სიმღერის მელოდიკისათვის დამახასიათებელ ნება-ნება დუდუნს მოგვავონებს. სიმღერას მოალერსე იმერული ტონი, ქუთაისური ეშხი და სალონური ინტიმი ახლავს, რასაც ხაზგასმულად ათვალსაჩინოებს გიტარის თანხლები. ცნობილია, როგორ მოხიბლა ნუნუ დულაშვილის იმერული სიმღერების თვითმყოფადობით რევან ლაღიძე. როდესაც მან „ჰიმნი კახეთს“ მოისმინა, ნუნუს ხალასი ნიჭისადმი თავისი წრფელი დამოკიდებულება ასე გამოხატა: „სილამაზეს მხოლოდ სილამაზე ბადებს, შეხედეთ, მხოლოდ ამას შეეძლო ასეთი დიდ-

ბული სიმღერის შექმნა, — და იქვე ხუმრობით დასძინა, — დალოცვილო, ეს კახელი გოგო რას დაგვერიე ამ მშვენიერი იმერული სიმღერებით, რას გვერჩი, ჩვენც დავგიტოვე რამე!”

სხვა კოლორიტი და მელოდიური სახეები ამშვენებს დულაშვილისეულ ძველი თბილისის სიმღერებს. განა შეიძლება ძველ თბილისს უმღერო და თვალნინ პოეზიასა და ხელოვნებაში ამ თემაზე შექმნილი შედეგები არ დაგიდგეს?! — იეთიმ გურჯის, საიათნოვას, გრიშაშვილის სტრიქონები, ფიროსმანის, გუდიაშვილის, ახვლედიანის, ივანტოვის ტილოები, ლალიძის, კერესელიძის, ცაბაძის სიმღერები და მაინც, ნუნუ დულაშვილმა თბილისის ამ „სიყვარულის ოდაში“ საკუთარი ხმის ჩართვა მოახერხა... მართო გალაკტიონის ლექსზე შექმნილი სიმღერა „კიდევ ერთი სადღეგრძელო“ რად ღირს! აღსანიშნავია, რომ ძველი თბილისის ცხოვრების ატმოსფეროს შესაქმნელად ნუნუ დულაშვილმა სტილიზაციას გვერდი აუარა. ის ამ კოლორიტს თბილისური ფოლკლორისათვის დამახასიათებელი რომელიმე მუსიკალური ჟანრის ელემენტების გამოყენების გზით განაზოგადებს: მუხამბაზის, სუფრულის, ელეგის, ძველი ქალაქის ყოფაში დამკვიდრებული ცეკვების ან აღმოსავლურ საკრავთა იმიტირებით, ხოლო სიმღერაში „მე თბილისის მოტრფიალე ვარ“ ძველი თბილისის სახე შენდობის მოტივითაა გახსნილი, ამ სიმღერის მელოდიას ლექსი ისეთმა თბილისელმა მიუსადაგა, რომელიც თვითონ იყო სახე შენდობისა, გულში დაატარებდა ფიროსმანისა და ძველი ქალაქის წმინდა სიყვარულს, შერჩენოდა ყარაჩოხელის პოეტური სული, ეტრფოდა დუდუკის კვნესას და იმ ბანიანი სახლების ხიბლს, რომლებიც მასთან ერთად უხმაუროდ გაქრა... ნიაზ დიასამიძე... მან ლექსი დანერგა ნუნუს უკვე არსებულ მელოდიაზე, რომელიც ლაიტმოტივად დაედო დოკუმენტურ ფილმს „ფიროსმანის ქალაქი“.

არაერთი საინტერესო სიმღერა შევიდა „თბილისურ ციკლში.“ რომელი ერთი დავასახელო: „თბილისის სიყვარულო, თბილისო-სიხარულო“ /მ.ფოცხიშვილის ლექსზე/, „აღარ მიყვარხარ“ /ი.გრიშაშვილის ლექსზე/, „თათრის გოგონა“ და „არაბი ხარ? — იეზიდი“ /ანა კალანდაძის ლექსზე/, „სოლოლაკი, სოლოლაკი“ /ნათან ბააზოვის ლექსზე თ. ჯანგულაშვილის თარგმანით/,

„ორმოცდაათის მერე“ /მურმან ლებანიძის ლექსზე/ და სხვა. თითოეულ მათგანში ძველი თბილისის ის შტრიხები ცოცხლდება დღესაც რომ იწვევს ნოსტალგიას.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნუნუ დულაშვილის ჩვენ მიერ მოხაზულ შემოქმედებით პორტრეტს სრულს ვერ ვუნოდებ, რადგან შევეხე მის მხოლოდ ერთ სფეროს — სიმღერის ჟანრს და არაფერი მიტევამს მის ინსტრუმენტულ მუსიკაზე — საფორტეპიანო კონცერტსა და სონატაზე, მუსიკაზე ფილმებისათვის „სათაფლია“, „რიონის ხეობა“, „ქალაქი მთებში“, „ციმბირელი პაპა“. არ მისხენებია მელოდია, რომლითაც საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მომბე“ იწყებდა მაუნყებლობას, თავის გადაცემებს და სიმღერა „გადამრიე“, რომლის მოტივზეც რამდენიმე წელი იწყებოდა და მთავრდებოდა ჩვენი სატელევიზიო პროგრამა.

ნუნუ დულაშვილი მტკიცე რწმენისა და იმედის მქონე ხელოვანია, როგორც ხუმრობით აღნიშნავს, ას წელიწადს აპირებს სიცოცხლეს, რადგან უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ჩანაფიქრების განხორციელება სამერმისოდ აქვს გათვალისწინებული.



...როგორც თეიმურაზ კობახიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ახალგაზრდა დირექტორი, წლების მანძილზე, ვიძენდი გამოცდილებას და მოსკოვში, ჩემი ერთ-ერთი მივლინების დროს, „სოიუზკონცერტის“ (სსრკ რესპუბლიკების საკონცერტო გაერთიანება) საქართველოს განყოფილების უფროსი ათანხმებს ჩემთან: „გთხოვთ, თქვენს საგასტროლო გეგმაში ჩასვთ უნიჭიერესი დირიჟორი ვლადიმერ ბოგორადი, რომლის სახელი ჯერ არ ქუხს, მაგრამ, დამერწმუნებით, რომ იგი თავისი ხელოვნებით უდიდეს სიამოვნებას მინიჭებს თქვენს კოლექტივსა და შემდგომ თქვენს მაღალინტელექტუალურ მსმენელს. მას უკვე დიდი დამსახურება აქვს თქვენი რესპუბლიკის წინაშე — ვლადიმერი დავით თორაძის ბალეტის „მწირი“ ტელეფილმად გადაღების ინიციატორი და დამდგმელი დირიჟორი ვახლავთ, მწირი განასახიერა სსრკ სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ვლადი-



## ვლადიმერ ბოგორადი

მერ ლავროვსკიმ — დამდგმელი რეჟისორი ვახლავთ თქვენი თანამემამულე, უნიჭიერესი (მაშინ მე არ ვიცნობდი, შედგომში ყველასათვის კარგად ცნობილი), საქართველოს სახალხო არტისტი, ბატონი ზაალ კაკაბაძე. ამ ფილმმა 1978 წელს ნიუ-იორკის საბალეტო ტელეფილმების საერთაშორისო კონკურსზე გრან-პრი მოიპოვა (შემდგომ წლებში ამ შესანიშნავმა სამეულმა, ვლადიმერის მუსიკალური ხელმძღვანელობით და დირიჟორობით, მრავალი ფილმი შექმნა: „ქორეოგრაფიული მინიატურები“, „პრომეთე“, „ალიბაბა და 40 ყაჩაღი“ და სხვა). ვლადიმერ ბოგორადი თქვენი მაცხროს, სსრკ სახალხო არტისტის, პროფესორ ოდისეი დიმიტრიადის საოპერო და სიმფონიური დირიჟორობის ასპირანტურის კურსდამთავრებულია და იმავე წელს (1977 წ.) სსრკ დიდი თეატრის სტაჟიორ-დირიჟორადაც დაინიშნა. იქვე იგი არის (1962 წლიდან 1983 წლამდე) ფაგოტების ფგუფის კონცერტმასტერი —

თეატრში და სსრკ კრემლის ყრილობათა სასახლეში. ინსტრუმენტ ფაგოტზე 1963, 1965, 1968 წლების საერთაშორისო კონკურსების გრან-პრის მფლობელია (პრალა, ბუდაპეშტი, ლენინგრადი)“.

ვუსმენდი ამ ქალბატონს და ვერ ვიფიქრებდი რომ ასეთ ფენომენალურ მუსიკოსთან მექნებოდა ურთიერთობა. დადგა ის დღეც, როდესაც იგი ჩვენთან უნდა ჩამოფრენილიყო, მაგრამ ორმასობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოძახებული ვიყავი თათბირზე მაშინდელ პირველ მდივანთან. გაცდენა შეუძლებელი იყო. ვლადიმერთან ტელეფონით ყველაფერი დაზუსტებული და შეთანხმებული მქონდა, მაგრამ დახვედრას ვერ ვახერხებდი. გამახსენდა ორკესტრის მსახიობი მურთაზ ნარჩემაშვილი და ვუთხარი: მურთაზ, გიყვარს ჩემი დახმარება, მოდი დახვდი დირიჟორს, მაგრამ იქვე შევცბი და ვეკითხები, როგორ უნდა იცნო? მიპასუხა: თითქმის სულმოუთქმელად — მაგაზე ნუ იდარდებო...

სალამოს ორივენი მოდიან, უკვე დამეგობრებული ჩანან. ისეთი ხალისიანები არიან, მივხვდი, რომ რალაც ქართული იუმორის ხელოვნებასთან გვეჭონდა საქმე:

– „ბატონო დიმიტრი, – მომმართავს და მიხსნის ვლადიმერი – მუდამ მსურს ცხოვრებაში მოვლენებს გავუსწრო და... თვითმფრინავის დაფრენისას მის კარებთან ვდგავარ, გაიღო თუ არა, ვხედავ, ტრაპთან ხელუბანეულ პიროვნებას, რომელსაც უჭირავს ინსტრუმენტი – ზარი, რომლის ხმაც მთელ არემარეს ლამაზად ეფინებოდა... მივხვდი რა „გასაჭირშიც“ იყო ჩემი დამხვდური... მივედი, გადავხევი და ჩვენ უკვე მეგობრები ვართ – ეს გახლავთ უკვე ჩემი, ჩემი მურთაზ ნარჩემაშვილი, რომელმაც ასეთი ორიგინალური ხერხით მიპოვა“...

უპირველესად მაინც ის მინდა გავიხსენო, რომ ვლადიმერმა დამასწრო და ქუთაისში პირველად მან დამირეკა და თითქმის მკაცრად მეუბნება: „ბატონო დიმიტრი, თუ მე არ მომცემთ უფლებას თქვენს ორკესტრთან გავაყდერო ძალზე ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის მერაბ გაგნიძის (მე, უკვე გულში ვინყებ ფიქრს: „ნეტა იცოდეთ, რომ მე მისი თანაკურსელი ვარ თბილისის კონსერვატორიიდან, ისიც ვიცი, რომ იგი 27 წლის ასაკში სსრკ კომპოზიტორთა კავშირის წევრი გახდა, დიდი დიმიტრი შოსტაკოვიჩის რეკომენდაციით; ან, რა დამავინყებს მის სირანო დე ბერჟერაკის ცხვირს...) სიმფონიები (თანაც მრავლობით რიცხვში მთავაზობს), იცოდეთ მე თქვენთან არასდროს არ ჩამოვალ...“

...დაბოლოს, ერთ-ერთი ორკესტრანტი, ოდესაში აღზრდილი ებრაელი, რომელიც ვილონჩელისტი იყო და სანამ ისრაელში გაემგზავრებოდა ჩვენ მუდამ ერთ პულტზე ვიჯექით, ეშმაკურნარევი ღიმილით მიღმის და მეუბნება: „დიმიტრი! მე ვიცი, რომ სიმფონიური ორკესტრები ასრულებენ ბეთჰოვენის ყველა სიმფონიებს, ჩაიკოვსკის, მაღერის, შოსტაკოვიჩის და ა. შ., მაგრამ არასდროს გამიგონია, რომ უკრავდნენ მერაბ გაგნიძის ყველა სიმფონიას“...

ყოველდღიურ რეპეტიციებზეც ნათლად ჩანდა, რომ ვლადიმერი იუმორის ნიჭით იყო დაჯილდოებული. იგივე მურთაზთან იყო ასეთი კურიოზი: დასარტყამ ინსტრუმენტებზე გვყავს ერთი მურთაზი, გვჭირდება

რამდენიმე. უნდა შესრულდეს ლეონარდ ბერნსტაინის მიუზიკლი „ვესტსაიდური ისტორია“, შედეგრი, რომელსაც დღესაც გადმოსცემენ ტელეარხები და დევს მსოფლიოს ნამყვან ვებ-გვერდებზე. ორკესტრში მურთაზი დგას თავის ადგილზე, წინ უდევს შვიდი ინსტრუმენტი შვიდ პულტზე განლაგებული პარტიებით და ვერ ასწრებს ამდენ ინსტრუმენტს გასწვდეს... შეცდა ერთხელ, მეორედ, მესამედ, უსწორებს დირიჟორი, ორკესტრანტებმაც მოინდომეს საქმეში ჩართვა და ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა ვლადიმერმა ამოიგმინა: „დაანებეთ თავი, კაცი რადიაციის გავლენის ქვეშაა“ (მაშინ ჩერნობილის ტრაგედია სულ ახალი მომხდარი იყო)...

პარტიტურის მთლიანობას გვერდს ხომ ვერ ავუვლიდით, და ბუნებრივია, მრავალი დასარტყამი ინსტრუმენტის ჩამოტანა მოგვიხდა თბილისის სხვადასხვა ორკესტრებიდან. ამავე ინსტრუმენტებზე დასაკრავად ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელი, მაგრამ ძალზე იმედის მომცემი ნიჭიერი ახალგაზრდები: ვია სალადიშვილი და თემურ მურღულია მივინვიეთ.

კვლავ ვლადიმერის იუმორის შესახებ: კონცერტის დაწყებას სულ თხუთმეტიოდე წუთი აკლდა და ორკესტრის წევრების მიერ „ბაგრატად“ წოდებული ვლადიმერი სადირიჟოროში მიხმობს და მეუბნება: „დიმიტრი ის „გაბლენძილი“ მილიციონერი, დღედაღამ სასტუმროს წინ რომ დგას, „ჩიტანად“ რომ მოიხსენიებთ – ყველა გამვლელ-გამომვლელს რომ უბღვერს, სასტვენით დასჩხავის და შენ რომ მეგობრულად გესალმება, მიდი, ის სასტვენი გამოართვი და მომიტანე“.

იქვე გამახსენდა კინოსცენები – ახალგაზრდობასთან მილიციელების დაპირისპირებები – და მისი სურვილიც მყისვე შევასრულე. დირიჟორმა კი, კონცერტის მსვლელობის დროს (პარტიტურის მიხედვით), თავადვე მრავალჯერ გააყდერა „ჩიტანის“ „ინსტრუმენტი“ ბერნსტაინის გენიალურ ქმნილებაში. აქედან რეზიუმე: ყველა ადამიანი მხოლოდ სიკეთისთვის არის დაბადებული...

ვლადიმერი თითქმის ყოველ მეორე დღეს დადიოდა გელათში, მონაშეთში – მეგობრობდა ბატონ გვი მოსეშვილთან. განსაკუთრებით უყვარდა ბაგრატზე ასვლა (იმ დროს იქ ძალიან მნიშვნელოვანი არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა). მიდიოდა და იქ



მომუშავე პერსონალს ამხნევებდა და თავისი ჩვეული იუმორით უმეორებდა: „ნუ ეძებთ ბაგრატის საფლავს, აგერ ვარ მე ბოგორადი ცოცხალი, იგივე ბაგრატი!!!... კაცო!!! ქართულად მიამატებდა“.

ემაყებოდა, რომ მთელი მოსკოვის ქართულ ელიტას შესანიშნავად იცნობდა. მრავალჯერ მივეყვანივარ მოსკოვში, ვლადიმერ ლავროვსკის ბინაზე, სადაც გავიცანი მისი დედა, წარსულში დიდი თეატრის წარმატებული ბალერინა ქალბატონი ელენე ჩიკვაიძე. ამ დიდი ხელოვანი ქალბატონის გაკეთებული ლობიოც კი მაქვს დაგემოვნებული.

„ბაგრატი“ მოსკოვში შემახვედრა და დამაკავშირა ძალიან ბევრ ლამაზი სულის ადამიანს. უხაროდა, რომ მოსკოვში არბატზე ერთად ვესირობდით, იგი იქვე ცხოვრობდა (სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს წინ), ხოლო მის მეზობლად, ერთი სართულით ქვემოთ ცხოვრობდა ლექსო თორაძე. ბოგორადმა უდიდესი ძალისხმევით შეანარჩუნებინა ქალბატონ ლიანას (ლექსოს დედა) ის ბინა — ლექსოს რომ ასახლებდნენ არალეგალურად საბჭოთა ქვეყნიდან გასვლის გამო.

ვლადიმერის ღრმა იუმორის და ემოციებით სავსე ბუნების წინაშე, მე და მთელი ორკესტრი მუდამ მზად უნდა ვყოფილიყავით, რომ სადღაც, სულ სხვა სივრცეში არ აღმოვჩენილიყავით, მისი აზროვნების ყველა შტრიხი რომ სრულფასოვნად აღგვექვა... ურთულესი რეპეტიციების შემდგომაც კი, უფრო მეტი სიმხნევე ემატებოდა და სურდა, ცხოვრების ყოველი წამი მთლიანად შთაენთქა ხელოვნებისა და ადამიანების სიყვარულისთვის... შენგან ის მხოლოდ უდიდეს სიყვარულს, მეტს არაფერს ითხოვდა...

მოვხვდებოდი რა, მისი ტიტულოვანი და ულამაზესი მეგობრების წრეში, იგი მაინც ყველაზე მაღლა ჩანდა: ბუნებით, იუმორით, სიმხნევით, შესაშური უბრალოებით, რომელიც მისი ლამაზი სულის ოლიმპიურ პიკს წარმოადგენდა.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ ორწლიანადში ერთხელ იმართებოდა დასავლეთ საქართველოს (სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი) სიმფონიურ ორკესტრებს შორის ფესტივალ-კონკურსები. ბათუმურ ფესტივალზე დირიჟორის მხრივ საქმე გავვირთულდა, მაგრამ მოსკოვიდან თითქმის ერთ დღეში (იმ დროს

ბილეთების შოვნა დროის მოკლე მონაკვეთში შეუძლებელი იყო), ვლადიმერი ჩამოფრინდა — ბრწყინვალედ იდირიჟორა. სამჯერ გამაყიდინა ბათუმში დიდი ვაივაგლახით შექნილი ბილეთი — თქვენთან მინდა ყოფნა, ნუ გამიშვებთო. მახსოვს, როგორ მძიმედ ავიდა თვითფრინავის ტრაპზე. წავიდა და შემდეგ აღარც შევხვედრივართ...

როდესაც სსრ კავშირის სათავეში „მისტერ“ გორბაჩოვი მოექცა თავისი „პერესტროიკით“ და ქვეყნის ყველა კარიბჭე გააღო, ჩვენი მასტრო ბოგორადი თავის ქვეყანაში, ისრაელში, მიინვიეს და მათი დღესასწაულის „ხანუკას“ სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნეს.

...იქიდან მირეკავდა, მთხოვდა, „დღესასწაულის მზადების სამი თვის მანძილზე ნუ გამომიძახებ და საბოლოოდ, ხომ იცი, რომ მე თქვენი ვარ!..“

დაბოლოს, ჩვენც რომ ვადმოგველო ის „პერესტროიკა“ და ბევრმა წყალმა რომ ჩაიარა, მასტრო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შემდეგ თვალითაც არ მინახავს. გავიგე, ვიღაც ბოროტ სულს, თავისი სიმართლისათვის გამოდავებია და ინფარქტით იქვე დაცემულა... იგი დაკრძალულია ავსტრიაში, ქალაქ ვენის სასაფლაოზე.

ასე დავგვტოვა ჩვენმა უსაყვარლესმა მასტრომ და დიდმა მუსიკოსმა (კვლავ ვიმეორებ, იმ დროს ოთხგზის საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი); ეს ყველა ჩვენი ორკესტრის წევრისთვის უდიდეს ტკივილად დარჩება მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე; მართლაცდა, მსუბუქი იყოს შენთვის ის მინა ჩვენო მეგობარო ვლადიმერ და ჩვენ ყველანი მუდამ ქედს მოვიხრით შენი ლამაზი სულის წინაშე...

აი, როგორი ულამაზესი ადამიანების შექმნა შეუძლია ბუნებას.

**ლიმისტი იაგანიძე**

**P.S.** წინამდებარე წერილი ვახლავთ ამონარიდი თეიმურაზ კობახიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნიდან „მეცხურ საჩუქარს თანაბარდ ვიყოფთ“.

თითქმის ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კომპოზიტორმა გერმან ჯაფარიძემ საქართველო დატოვა და ოჯახთან ერთად მოსკოვში გადასახლდა. ამ დროიდან მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მოსკოვის კომპოზიტორთა კავშირს დაუკავშირდა. მოსკოვში მოღვაწეობის 17-18 წლის მანძილზე მისი კონტაქტები ქართველ კოლეგებთან მხოლოდ ხანმოკლე სატელეფონო ზარებითა და ელექტრონული კავშირებით იფარგლებოდა, რაც ცხადია არ იძლეოდა მისი შემოქმედებითი განვითარების აქტიური თვალყურისდევნების საშუალებას.

წელს ზაფხულს გერმან ჯაფარიძემ თავის შვილიშვილთან – 19 წლის ტანისთან ერთად, რომელიც გატაცებულია ბაბუის მუსიკით და თანამშრომლობს მასთან, როგორც კომპოზიტორის საავტორო დისკების დიზაინერი, ხანგრძლივი განშორების შემდეგ სამშობლოს ეწვია. თბილისში ყოფნის პერიოდში მან მოინახულა თავისი მამის მამის – ალექსი მაჭავარიანის საფლავი დიდუბის პანთეონში, დაესწრო მისი ოპერის – „მედეას“ საკონცერტო პრემიერას, რომელსაც უდიროთორა ცნობილმა დირიჟორმა, ალექსი მაჭავარიანის ვაჟმა – ვახტანგ მაჭავარიანმა, უკანასკნელ გზაზე გააცვილა ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე, მოინახულა ადგილები, რომლებთანაც აკავშირებდა ღირსსახსოვარი მოგონებები და ცხადია, შეხვდა კოლეგებს, უახლოეს მეგობრებს, კომპოზიტორებსა და მუსიკისმცოდნეებს, რომელთაც გააცნო თავისი ახალი თხზულებები.

ვფიქრობთ, ჟურნალ „მუსიკის“ მკითხველებს დაინტერესებთ, თუ როგორ წარიმართა მოსკოვში ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებითი პროცესი.

ლალი კაკულია

# კომპოზიტორი გერმან ჯაფარიძე

## პორტრეტული ჩანახატის ესკიზები

### პრეამბულა

გერმან ჯაფარიძე ქართველ კომპოზიტორთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთაც მუსიკისმცოდნე გივი ორჯონიკიძემ „სამოცდაათიანელები“ უწოდა. ეს იყო ელვარე ნიჭიერებითა და თვითმყოფი ინდივიდუალობით აღბეჭდილი კომპოზიტორების მთელი პლეადა, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე 70-იან წლებში გამოვიდა, და რომელთა შემოქმედებითი პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციას ხელი შეუშალა: მათი ჩამოყალიბების პერიოდში სსრკ-ში გაბატონებულმა ორმაგი სტანდარტებით ამროვნებამ; „უძრავის“ ხა-

ნისათვის დამახასიათებელმა პასიურობა-ინერტულობამ; უნიჭიერესი წინა თაობის, ე.წ. „სამოციანელთა“ „შემტევმა“ შემოქმედებითმა ენერგიამ და მათ შორის შეფარულმა შულმა (იხ. კომპოზიტორთა კავშირის პლენუმების სტენოგრამები); აგრეთვე უფროსი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის რეაქციულმა დამოკიდებულებამ, მათმა ერთგვარმა მოუმზადებლობამ „სამოცდაათიანელთა“ შემოქმედებაში გამოვლენილი ახალი ტენდენციების გაგებისა და აღქმისადმი.

მიუხედავად ამისა, ეს თაობა შედგა. მათ მიალწიეს





გერმან ჯაფარიძე

მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებებს, სიმნიფს. მათი სახელები ცნობილია ქართული პროფესიული მუსიკით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

## ინტროდუქცია ანუ ინფორმაცია განსჯისათვის

გერმან ჯაფარიძე კომპოზიციაში საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდა. იგი ფლობდა საკმაო ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდილებას, ჰქონდა ინჟინრად და გიტარის მასწავლებლად მუშაობის სტაჟი, მიღწევები ჯაზური შემსრულებლობის სფეროში – როგორც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ორკესტრის კლარნეტისტი და საქსოფონისტი, იგი იყო მოსკოვში, 1959 წელს გამართული ახალგაზრდობისა და სტუდენტობის VI საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი.

განათლებული, ღრმა, ჩაფიქრებული ახალგაზრდა – გერმან ჯაფარიძე უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება

გახლდათ, თბილისის კონსერვატორიაში სახელმძღვანელო ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის კლასში კომპოზიციის დაუფლებას რომ შეუდგა. მისი სტუდენტური ნამუშევრები იმთავითვე ექვეოდნენ სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში. განსაკუთრებული ინტერესი კი პირველმა სიმებიანმა კვარტეტმა დაიმსახურა, რომელიც კონსერვატორიის მცირე დარბაზში არაერთხელ შესრულდა.

შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე იკვეთება კომპოზიტორის ინდივიდუალობის დამახასიათებელი ნიშნები: ჩანაფიქრის გააზრებულობა, კონცეფციური აზროვნება, დამყარებული თემისური მნიშვნელობის სახე-იდენტა თანდათანობით გაშლა-განვითარებაზე.

ერთი მეორის მიყოლებით იქმნება მისი ახალი, მსხვილი ფორმის ნაწარმოებებიც. შთამბეჭდავია კომპოზიტორის თხზულებათა ნუსხა: 5 სიმფონია, კონცერტები ფორტეპიანოს, ვიოლინოს, გიტარის (6, მათ შორის – ორი ორმაგი), ჰობოის და დასარტყამი ინსტრუმენტებისთვის („რიტმები და აბსტრაქცია“); კამერული ინსტრუმენტული მუსიკის მრავალი ნიმუში – სიმებიანი კვარტეტები, სონატები, სიუიტები, პიესები ცალკეული ინსტრუმენტებისათვის, ანსამბლები (მათ შორის – „რეკვიემი“), რომელთა უმრავლესობაც არასტანდარტული შემადგენლობებისათვისაა შექმნილი; აგრეთვე საგუნდო მუსიკა და სხვა.

ეს ზერელე ჩამონათვალიც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ – კომპოზიტორი უფრო ინსტრუმენტული მუსიკისაკენ ისწრაფვის, თუმც მათ შორის ბევრია პროგრამული თხზულება, რომელთა შინაარსსაც ავტორი სათაურებით მიგვანიშნებს. ასეთია: კამერული სიმფონია „ვარდასახვანი“, საკონცერტო სიმფონია „ადამ და ევა“ ორი ვიოლინოსა და კამერული ორკესტრისათვის, საკონცერტო სიმფონია „ხუთი ნოველა“ ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის, კვარტეტი №2 – „პასეჟის“ და სხვა. ამ თხზულებებში, პროგრამა კომპოზიტორისათვის მუსიკაში განსხვავებული ზოგადსაკაცობრიო იდეებისა და მაღალი სულიერი ღირებულებების რთული სისტემის გახსნის დამატებითი საშუალებაა.

აღნიშნულ ქმნილებებში კრისტალდება კომპოზიტორის სტილი. მისი ძიებები, მიმართული წერის სა-

კუთარი მანერის, შეთხზვის ტექნოლოგიებისა და მუსიკალური ქსოვილის ორგანიზაციის ორიგინალური ხერხების შემუშავებისაკენ, ჩამოყალიბებული სისტემის სახეს იძენს. იგი უყრდნობა განსხვავებული ინტერვალების (სეკუნდა, ტერცია, კვარტა, სექსტა) თანმიმდევრულ გადმოცემასა და მათ თანდათანობით დაშრეებას ვერტიკალში, რაც განსაზღვრავს მისი ჰარმონიული ამროვნების თავისებურებებსაც.

გერმან ჯაფარიძის მუსიკას არ ახასიათებს გარეგნული ეფექტები. იგი გზას იკვლევს უფრო გულისყურისანი, სულიერად დახვეწილი მსმენელისაკენ, რომელიც ფაქიზად გრძნობს სერიოზული და გულწრფელი ხელოვანის გულისცემას. ფასეულად მესახება მის შემოქმედებაში ადამიანებისა და მოვლენების საკუთარი თვალთ ხედვის უნარი, ცხოვრების ინდივიდუალური აღქმა.

დილოგი

**ლალი კაკულია** — მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრის! ქართული მუსიკის მოყვარულებს და ჩვენ ყველას გვაინტერესებს, როგორ შეხვედით მოსკოველი კომპოზიტორების ჟღერად სივრცეში? შეგხვდათ თუ არა წინააღმდეგობები, გაგიჭირდათ თუ არა იქ დამკვიდრება?

**გერმან ჯაფარიძე** — მოსკოვის კომპოზიტორთა კავშირი უზარმაზარი ორგანიზაციაა. მოსკოველი კომპოზიტორების მუსიკის გაცნობის ყველაზე უფრო მასშტაბური პროექტია „მოსკოვის შემოდგომა“, რომელიც მრავალი წელია ფუნქციონირებს. სწორედ ამ ფესტივალზე ხდება ხოლმე მოსკოველი კომპოზიტორების უმეტესობის თხზულებათა საკონცერტო ესტრადებზე გაჟღერება. აქ გაიღვავებს ხოლმე ახალი სახელები, სრულდებიან უკვე აპრობირებული კომპოზიტორები, როგორც ვეტერანები, ასევე შუა თაობისა და ახალგაზრდობის ნიჭიერი წარმომადგენლები. ისე მოხდა, რომ ამ პროცესში მეც ბუნებრივად ჩავერთე. ამაში დამსახურება საქართველოში გაზრდილსა და ჩამოყალიბებულ მუსიკოსს — გოგი ბუზოლდის მიუძღვის. ჩემი ჩასვლის დროს სწორედ იგი ხელმძღვანელობდა „მოსკოვის შემოდგომის“ საორგანიზაციო კომიტეტს. მან მიჩნია ფესტივალის

პროგრამაში კამერული მუსიკით შევსულიყავი, რათა მომეპოვებინა გარკვეული იმიჯი, ავტორიტეტი, შემგუებოდა და შემზადებულიყო მსმენელი და თავიდან ამცილებინა გაღიზიანება, რაც შეიძლება ახალ სახელს, მით უფრო არარუსულს, მუსიკალურ წრეებში გამოენვია. მეც დავთანხმდი და სიმებიანი კვარტეტის შესრულება შევთავაზე.

**ლ.კ.** — ეს თქვენი ცნობილი სტუდენტური კვარტეტი ხომ არ იყო, რომელიც აქაურ მსმენელს ასე მოსწონდა?

**გ.ჯ.** — არა, ამის შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში მე კიდევ ორი კვარტეტი დავწერე — №2 და №3. მოსკოვში ყოფნის პირველ წელს (1993) შესასრულებლად კი №2 — „პასექის“ კვარტეტი შევთავაზე და გავაფრთხილე, რომ ნაწარმოები რთულია პროფესიულად და სუსტი მუსიკოსები მის დაკვრას ვერ შეძლებენ-მეთქი. გოგი ბუზოლდი დამპირდა, კარგ კვარტეტს მოგცემო და მართლაც, შესანიშნავი კოლექტივი გამოიყო. ისინი პროფესიული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს, გულდასმით სწავლობდნენ ნაწარმოებს, და რეპეტიციებზე დიდხანს არ მიბარებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა ჩვენი შეხვედრა შედგა, რის შემდეგაც გოგომ მითხრა: ეს რა ჰქენი გერმან?! თავდაპირველად კვარტეტის წევრები შენი მუსიკით იყვნენ მოხიბლულები, ახლა კი, შენი პიროვნებითაც მოიხიბლნენო.

**ლ.კ.** — თქვენ ახსენეთ კვარტეტის სახელწოდება — „პასექი“, რაც ალბათ მიუთითებს მის კავშირზე ბიბლიურ თემატიკასთან. თუმც, ისიც უნდა ითქვას, რომ სიმებიანი კვარტეტის ჟანრს ყველაზე ნაკლებად ახასიათებს პროგრამულობა. ეს ჟანრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე უფრო ხელუხლებლად ინახავს წმინდა ინსტრუმენტული მუსიკის დამახასიათებლობასა და შეთხზვის პრინციპებს. ეს, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს იმასაც, რომ მუსიკალური იდეა ლიტერატურული პროგრამიდან აღმოცენდეს და მის გამოხატვაში ეწ. „ინსტრუმენტული თეატრის“ არსენალიც ჩაერთოს. რაიმე განმარტებას ხომ არ მოგვცემდით ამ მხრივ?

**გ.ჯ.** — კვარტეტის შინაარსი უკავშირდება სვლას გოლგოთაზე, ქრისტეს წამებასა და ამაღლებას. მუსიკა თითქოს ასახავს როგორ გროვდება ხალხი, ისმის ხმაური, ელოდებიან მაცხოვრის გამოჩენას. ნოტების ქვეშ





გიგან ჯაფარიძე, ლალი კაკულია

შემსრულებლებისათვის მიწერილი მაქვს ახალი ალტ-ქმის ვერბალური ტექსტი, უფრო სწორად, თავისუფალი ვერსიით გადმოცემული მაქვს მისი საკვანძო ადგილები, ძირითადი აზრები, რეპლიკები: „მითხარ, მართლა ღვთის შვილი ხარ?“, „სადაც მე გამიხსენებენ, იქ შენც მოგიხსენიებენ!“, „ვინ არიან მოსამართლენი?“ და სხვა.

ალტი და ჩელო გადმოგვცემენ პროკურატორისა და ქრისტეს დიალოგს. ინსტრუმენტები პერსონიფიცირებულია. ალტი ასოცირდება ქრისტესთან, ჩელო — პონტო-პილატესთან. ქრისტეს რეპლიკები მოკლეა, დინჯი, სიტყვატუნნი. თქვენ სამართლიანად შენიშნეთ „ინსტრუმენტული თეატრის“ შესახებ. „თეატრის იდეა“ ჩანს გამათრახების სცენაშიც — ორმოცი დარტყმა გადმოცემულია მოსხლეტილი გლისანდოებით, რასაც სდევს ალტის კვნესა. დეკაზე დარტყმები ასახავენ ლურსმნების დაჭედების ხმას, ჯვარზე გაკვრის მომენტს. „მიძიმე“

— მიწიერი ჰარმონიების ფონზე განფენილი | ვიოლინოს მოციმციიმე-მოფრთხილავ თემა ამაღლებას უკავშირდება, ლოცვის ქორალური თემა კოდაში კი, ახალი ერის დასაწყისზე მიგვანიშნებს.

„პასექის“ კვარტეტი 1993-94 წლების საკონცერტო სეზონზე, კომპოზიტორთა სახლის გაყინულ, ნახევრად ცარიელ დარბაზში შესრულდა. კონცერტს 40-მდე მსმენელი ესწრებოდა — მუსიკის ჭეშმარიტი დამფასებლები. ნაწარმოები აუდიტორიამ თბილად მიიღო, აღინიშნა პარტიტურის მიღწევები.

**ლ.კ.** — „თეატრის იდეამ“, ანუ კომპოზიტორული რეჟისურის ელემენტებმა, თუ არ ვცდები უფრო ადრე თავი საკონცერტო სიმფონია „ადამ და ევაში“ იჩინა. ეს ნაწარმოები დაწერილია ორი ვიოლინოსა და კამერული ორკესტრისათვის, სადაც ერთ ვიოლინოზე შემსრულებელი ქალი უნდა იყოს, ხოლო მეორეზე — მამაკაცი.

ამას ვიზუალური, სცენური დატვირთვა აქვს, რადგანაც ისინი ადამსა და ევას ანსახიერებენ.

მახსოვს, ეს ნაწარმოები თბილისიდან თქვენს გამგზავრებამდე ორიოდე წლით ადრე აუღერდა. სოლისტები იყვნენ მოსკოველი მევიოლინეები – ლევ ნოვიკოვი და ანა სტრელცოვა. საქართველოს მუსიკალურ-საგუნდო საზოგადოების კამერულ ორკესტრს დირიჟორობდა ვახტანგ მაჭავარიანი. შესრულება საკონცერტო სეზონის მიწურულს დაემთხვა, ივლისის ცხელ დღეებს. ამის გამო იგი მუსიკის მოყვარულთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოისმინა. მე მგონი, ეს თქვენი პირველი თხზულება იყო, რომელშიც აისახა გატაცება ბიბლიური თემებით. როგორია ამ ნაწარმოების მუსიკალური კონცეფცია?

**გ.ჯ.** — „ადამ და ევაზე“ საუბარი მიადვილდება. მისი შექმნის პროცესში მე მკაფიოდ მქონდა წარმოდგენილი გზა, საითაც მივემართებოდი. ადამისა და ევას ბიბლიური თქმულების მეშვეობით, მე კაცობრიობის ისტორიას ამ ორი სახე-პერსონაჟის, ანუ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის კუთხით შევხედე; ხოლო მათი სიყვარული მთელი ცხოვრების საძირკვლად გავიანზრე, როგორც საყრდენი ყველა განსაცდელში, თვით სამყაროს დაღუპვისა და კატასტროფის პირობებშიც კი. მართლაც, მჯერა, რომ რაც უნდა მოხდეს, კვლავ აღმოჩნდება ორი ადამიანი, რომელთა მეშვეობითაც სიცოცხლე აღორძინდება. სიყვარული ცხოვრების საძირკველია! — ასეთია ჩემი კონცეფცია. ადამიანის მიმართებას ღმერთისადმი და ღმერთისას ადამიანისადმიც ხომ სიყვარული განსაზღვრავს?!

ორი სოლო ვიოლინო, ანუ ორი პერსონაჟი თან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თანაც გარკვეულ მომენტებში (განსაკუთრებით IV ნაწილში) „ერწყმიან“ ერთმანეთს. როგორც სათაურში, ასევე მუსიკაში გამოვლენილია „სცენური საწყისი“.

პირველ ნაწილში მინდოდა გადმომეცა ბიბლიურ ისტორიაში აღწერილი სამყაროს შექმნის პროცესი, რასაც მე შემოქმედებით აქტად აღვიქვამ. ამიტომ ვილტვოდი ამ პროცესის იდუმალი საკრალურობის გამოვლენისაკენ. როგორც რაღაც უკიდევანო, კოსმიური — პირველი ნაწილი მოკლებულია ადამიანურ სითბოს და სახეობრივადაც და ჰარმონიითაც მკვეთრად განს-

ხვავდება დანარჩენი ნაწილებისაგან. თუმც, მოძრაობით, ანუ ტემპითა და რიტმით ეხმიანება ფინალს. II ნაწილიდან ბოლომდე მე შევეცადე წარმოემჩინა კაცობრიობის განვითარების ისტორია, ცივილიზაციის საშუალო მხარეები, რომელმაც სამყარო შეიძლება დაღუპვამდე მიიყვანოს და ის, რომ ორი ადამიანის სიყვარულს შეუძლია მისი აღორძინება.

რუსეთში „ადამ და ევა“ პირველად 1994 წელს, ქალაქ ომსკში შესრულდა. დირიჟორობდა ცნობილი ალტისტი და დირიჟორი იური ილიას-ძე ნიკოლაევსკი, სოფია გუზაიდულინასა და სხვა ავანგარდისტების შემოქმედების აქტიური პროპაგანდისტი.

მოსკოვური პრემიერა 2005 წელს შედგა ფრედი კადენას დირიჟორობით. კონცერტამდე ორი დღე რჩებოდა და აშკარა იყო, რომ დირიჟორისათვის ჩემი ჩანაფიქრი გაუგებარია, რაც მას არც დაუმაღავს. მაგრამ პროფესიულმა პასუხისმგებლობამ თავისი ქნა. დირიჟორმა ორკესტრს პრემიერის დღეს უჩვეულოდ ხანგრძლივი რეპეტიცია დაუნიშნა, რაც მხოლოდ ექტრემალურ პირობებში ხდება ხოლმე და კონცერტმა, რომელსაც „მრისხანე“ მუსიკისმკოდნეები ესწრებოდნენ, ნაწარმოებს წარმატება მოუტანა.

2008 წელს ეს თხზულება სამჯერ შესრულდა, ორჯერ ფილარმონიულსა და ერთხელ საგანმანათლებლო კონცერტზე. ნაწარმოები დისკზეც ჩაიწერა.

**ლ.კ.** — როგორც ჩემთვის ცნობილია, საკონცერტო სიმფონია „5 ნოველა“ ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის, 1994–95 წლების საკონცერტო სეზონზე, „მოსკოვის შემოდგომის“ გახსნის კონცერტზე შესრულდა. ამ ნაწარმოების შესახებ მუსიკისმკოდნე ლეონიდ რიმსკიმ თავის მარეზუმირებელ ნარკვევში დაახლოებით ასე დაწერა: წლევიანდელ „მოსკოვის შემოდგომაზე“ პირველ ნომრად გაუღერდა გერმან შალვას-ძე ჯაფარიძის უაღრესად საინტერესო თხზულება. ის იყო ფესტივალის პირველი ნომერი და ასეთად დარჩა მთელი ფესტივალის ოცდაათდღიანი მიმდინარეობის მანძილზე.

რა მახვილად და სხარტად არის ფორმულირებული მუსიკალური ექსპერტის აზრი? ვინ იყვნენ შემსრულებლები?

**გ.ჯ.** — დირიჟორი იყო შესანიშნავი მუსიკოსი ვლად-



დემირ პონკინი. ქართველი მსმენელები იცნობენ მას. ჯერ კიდევ ჩემი საქართველოში ცხოვრების პერიოდში, მან ორჯერ გამართა კონცერტი თბილისში. ვიოლინოს პარტიას ასრულებდა მოსკოველი მუსიკოსი ევგენი შულკოვი.

მესამე რეპეტიციაზე დირიჟორმა პონკინმა ორკესტრს მიმართა: — გთხოვთ გულისყურით მოეკიდოთ, ეს გამვლელი ნაწარმოები არ გეგონოთ, მას ისეთივე მიდგომა სჭირდება, როგორც ბერგის კონცერტს.

ამ ნაწარმოებში რთული სოლოები აქვთ ხის ჩასაბერებს, ბანის კლარნეტს, ორკესტრის ცალკეულ ინსტრუმენტებს. IV ნაწილში ვალტორნას აქვს რთული კონტრაპუნქტი ვიოლინოსთან. ვალტორნისტმა ქალმა — ნადიამ, რომელიც სხვათა შორის, იმხანად პონკინის მეუღლე იყო, თავისი გაღიზიანება რეპეტიციაზე ვერ დამალა და მომართა: — რა საშინელი პარტიაა, რა საშინელი ჰარმონია, ამის დაკვრა შეუძლებელია! მე ვუპასუხე, რომ ვერაფერს შევცვლიდი და ყველაფერი მის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. მეორე დღეს რეპეტიციაზე იგი მომიხლოვდა და დარცხვენილმა აღიარა, რომ ცდებოდა, რაც ამ ნაწარმოებზე გამოხმაურებამაც დაადასტურა.

**ლ.კ.** — საკონცერტო სიმფონია №2 დიდი სიმფონიური ორკესტრისა და სოლო გიტარისათვის საქართველოში აჟღერებული თქვენი ბოლო ოპუსია. ის 1991 წლის 20 დეკემბერს შესრულდა. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრს მაშინ მოსკოველი დირიჟორი, იური ნიკოლაევი უძღვებოდა. სოლისტიც მოსკოველი გიტარისტი იყო — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვლადიმირ ტერვო. ეს სამნაწილიანი კომპოზიციაა, ვრცელი კოდით. ნაწარმოებს არა აქვს პროგრამული სახელწოდება, მაგრამ თუ არ ვცდები, მუსიკაში იგრძნობა გარკვეული პროგრამული მინიშნებები. გიტარის პარტიაც, მისი ტემბრი ამ პროცესში მგონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

**გ.ჯ.** — სწორი ბრძანდებით. ნაწარმოებს არა აქვს სახელწოდება, მაგრამ მის თითოეულ ნაწილში ჩადებულია პროგრამული შინაარსი, რაც მათ სათაურებშია ასახული. კერძოდ, I ნაწილს ეწოდება „ქრისტეს ბავშვობა“. ქრისტეს ცხოვრების ამ პერიოდზე ცოტა რამ არის ცნობილი. ჩემს წარმოსახვაში ბავშვობა ცხოვ-

რების ყველაზე ბედნიერი ხანაა და ქრისტეს, როგორც ყველა ბავშვი, ბედნიერია. ამიტომაც, ამ ნაწილის მუსიკა ნათელი, მხიარულ ფერებშია შესრულებული. II ნაწილს ეწოდება „ქადაგება“, III-ს — „ვნებანი“. სოლო გიტარის ტემბრი მართლაც პერსონიფიცირებულია და ქრისტეს ანსახიერებს. კოდა გადმოსცემს ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომას და ანზოგადებს მთავარ იდეას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სიკვდილი გააზრებულია, როგორც ერთი ეპოქის დასასრული, ხოლო აღდგომა კი — ახალი ეპოქის დასაწყისი.

**ლ.კ.** — გიტარისათვის შეთხზული თქვენი ნაწარმოებების ჩამონათვალი მეტყველებს იმაზე, რომ ინტერესი ამ ინსტრუმენტისადმი კიდევ უფრო გამძაფრდა. აქ საოცარი ჟანრული მრავალფეროვნებაა: კონცერტები კამერულ და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, მათ შორის ორმაგიც; სრულიად განსხვავებული შემადგენლობის ანსამბლები; ხალხური სიმღერის დამუშავებები და ორიგინალური ნაწარმოებები სოლო გიტარისათვის (მათ შორის — სონატები, სიუიტები, ვარიაციები) და გიტარისტების ანსამბლისათვის დანერგილი ნაწარმოებები (ოთხი გიტარისათვის შექმნილი 3 კვარტეტი, საკონცერტო დუეტები, სიუიტები) და რაც ჩემი აზრით განსაკუთრებით აღსანიშნავია, 24 პრელუდია და ფუგა გიტარისათვის. მოდით, ამაზე ვისაუბროთ!

**გ.ჯ.** — გიტარის კონცერტებში სხვადასხვა ამოცანებს ვისახავდი. მე-3 კონცერტში ვცდილობდი გამომევილინა გიტარის „ვაჟაკური“ ბუნება, მინდოდა მეჩვენებინა, რომ მას ძლიერი, „მამაკაკური“ განცდების გადმოცემაც ხელეწიფება.

ორმაგი კონცერტი (რიგით მეოთხე) დანერგილია ჩელოს, გიტარისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (სამმაგი შემადგენლობა). სამნაწილიან კონსტრუქციაში ვირტუოზული სანყისია წინა პლანზე წამოწეული და ერთმანეთს უთავსდება ბაროკულობა (დამახასიათებელი ტრელებით, ტოკატურობით, რეჩიტატივებით), ლამაზი რომანტიკული ჰარმონიები და თანამედროვე მძაფრი ჟღერადობები, დასარტყამების ხაზგასმული, დაუოკებელი, თავნება რიტმით.

კონცერტი №5 — ღრმა, სევდიანი მუსიკაა. მისი II ნაწილის კაემნიანი, ნოსტალგიური განწყობა ჩემი მეუღლის გარდაცვალებით გამონგეულმა განცდამ შთა-

მაგონა. ის გიტარისა და ხის ჩასაბერთა კვინტეტისათვისაა შექმნილი.

გიტარების კვარტეტისთვის დაწერილი ციკლი „პატარა ცუვრიას სიმღერები“ ალეგორიულად გადმოგვცემს ადამიანის სწრაფვას ბედნიერებისკენ და იმ წინააღმდეგობებს, რასაც იგი ცხოვრების გზაზე აწყდება. აქ კვლავ „მოქმედებს“ „ინსტრუმენტული თეატრის“ პრინციპი.

**ლ.კ.** — გამიკვირდა, როდესაც თქვენს თხზულებებს შორის ისეთი პოლიფონიური ციკლი ვიხილე, როგორცაა 24 პრელუდია და ფუგა, თანაც ბახივით ქრომატიული გამის საფეხურებით განლაგებული — ერთსახელიან მაჟორსა და მინორში. მერე გავიგე, რომ ეს ციკლი ძლიან პოპულარულია გიტარისტებში და ე.წ. „გიტარის ქალაქებში“ — ვოლგოგრადსა და ბელგოროდში, სადაც სისტემატურად ეწყობა გიტარისტების კონკურსები და ფესტივალები, არაერთხელ იყო შეტანილი სავალდებულო პროგრამაში.

**გ.ფ.** — ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირი“ ჩემთვის მართლაც იყო შთაგონების წყარო. პოლიფონია იყო ის სტიქია, რომელიც მე და ჩემმა ძმამ ბავშვობიდან შევისისხლხორცეთ, საყვირებზე ვუკრავდით ბახის თემებს და ვხარობდით.

პოლიფონიურობა უპირველეს ყოვლისა ხმათა ფუნქციურ თანაბრობას გულისხმობს, რაც გიტარაზე, განსაკუთრებით ჩქარ ტემპში, ძნელი მისაღწევია. მე მიზნად დავისახე მეპოვნა ხერხები, რომელიც შუა ხმას შეუნარჩუნებდა წონასწორობას, განაპირა ხმებთან მიმართებაში. დავუშვი გარკვეული კომპრომისებიც. ეს თავისუფალ პოლიფონიურ სტილში შექმნილი მოკლე პიესებია. როგორც ჩანს, მიზანს მივაღწიე, რადგანაც ამ ციკლმა გიტარის სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო.

## ეპილოგის ნაცვლად

ავტორს მაღლობას ვუხედი და კვლავ ახალი ნაწარმოებების ჩანაწერებსა და პარტიტურებს ჩავკვირვებ. რამდენი რამ შეუქმნია კომპოზიტორს! — „პორტრეტების სიმფონია“, მრავალწინილიანი (შვიდი) კომპოზიცია ეგვიპტურ თემებზე, სადაც ოსირისის, იზიდას, სეტსა და

სხვა „პერსონაჟებთან“ ერთად ჩართულია კომპოზიტორის ავტოპორტრეტიც; კონცერტი ვიოლინოსა და გიტარისათვის „დიალოგები“ — კონტრასტულ-შედგენილი ფორმით დაწერილი ცხრანაწილიანი თხზულება; ბლოკის სიტყვებზე შექმნილი საგუნდო ციკლი; გიტარებისა და სხვა საკრავებისათვის დაწერილი ანსამბლები. ისინი აფრქვევენ იუმორს, გამოირჩევიან ორიგინალობით, ლირიზმით, დახვეწილობით. რა საინტერესოაა განაწილებული ფუნქციები ინსტრუმენტებს შორის? თვით ტრადიციულ შემადგენლობებშიც განსხვავებულადაა გააზრებული მათი თანაფარდობა.

სოლო გიტარისათვის დაწერილ ზოგიერთ თხზულებაში ამ ინსტრუმენტზე მუსიკირების კლასიკური ტრადიციები ვითარდება თანამედროვე მიღწევათა კონტექსტში.

თუკი ადრე ქართული ხალხური თემების დამუშავებისას ეროვნული კოლორიტის შესანარჩუნებლად (სამხმიანი სიმღერის ტემბრალური ეფექტი, ბურდონული ბანი და სხვა) ავტორი შესრულების არასტანდარტულ ხერხებს ეძებდა, ახლა მისთვის ქართული თემა დამოუკიდებელი შინაარსის პიესის, თავისებური პეიზაჟური ჩანახატის („უუუნა წვიმა“) შექმნის საფუძველი ხდება, ან სამყაროს განსხვავებული ხედვის, წარსულისა და თანამედროვეობის გააზრების საშუალებას წარმოადგენს („ციცინათელა“).

ბოლო წლებში შექმნილი თხზულებები გამოირჩევიან საკომპოზიტოროს ოსტატობით, შემოქმედებითი ამოცანების და მათი გადაწყვეტის მრავალმხრივობით, გამომსახველ საშუალებათა თავისუფლებითა და სიმდიდრით, ემოციურ განცდათა სიფართოვით, ჰარმონიული ენის თვითმყოფადობით.

გერმან ჯაფარიძის მუსიკის შინაგანი მუსიკა გვამცნობს, რომ ავტორი პიროვნებაა. იყო დამოუკიდებელი შენს აზრებსა და შეფასებებში — ეს თვისება გვესახება ყველაზე მნიშვნელოვნად კომპოზიტორის შემოქმედებაში.





ელენა ჰაპერგაჰილი

# ნორჩი პიანისტის წარმატება

საერთაშორისო არენაზე ქართველი მუსიკოსების, მათ შორის, ნორჩი მუსიკოსების წარმატებებით საკმაოდ გა-  
ნებივრებულნი ვართ. ამჟამად წარმატება მოიპოვა მუ-  
სიკოსთა ცნობილი, შავერზაშვილების გვარის პატარა  
წარმომადგენელმა ელენე შავერზაშვილმა, რომელსაც  
ნამდვილად რთულ მარათონში მოუწია კონკურენცია  
– 20-ზე მეტი ქვეყნის ახალგაზრდა პიანისტთან შერ-  
კინება არცთუ იოლი საქმეა. მით უფრო გასახარია, რომ  
სწორედ ქართველი პატარა მუსიკოსი აღმოჩნდა რჩე-  
ულთა შორის.

12 წლის ელენემ მონაწილეობა მიიღო საერთაშო-

რისო კონკურსში “The American Protégé Internatio-  
nal iano and Strings Competition 2012” (ნიუ-იორკი,  
აშშ), სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონაწილეობ-  
დნენ ახალგაზრდა მუსიკოსები მსოფლიოს 20-ზე მეტი  
ქვეყნიდან. კონკურსის გამარჯვებულთა გამოვლენა  
ვიდეო ჩანაწერების საშუალებით ხდებოდა. ელენემ  
კონკურსზე წარდგენილ ჩანაწერში შოპენის ეტიუ-  
დი თხზ. 10 №5, დებიუსის „ნელი ვალსი“ (“La Plus Que  
Lente”) და რახმანინოვის „პოლიშინელი“ შეასრულა  
და ჟიურის გადაწყვეტილებით II პრემია და ლაურე-  
ატის წოდება მოიპოვა, ხოლო შემდგომ მიიღო მო-



კარნეგი ჰოლი. ლაურეატთა ფაჯილღობა

ნაწილეობა კონკურსის ლაურეატთა დაჯილღობაში და საჩვენებელ კონცერტში, რომელიც ნიუ-იორკში, კარნეგი ჰოლის Weill Recital Hall-ში გაიმართა. უნდა აღინიშნოს, რომ ლაურეატთა კონცერტში მონაწილეობის მისაღებად ელენეს გამგზავრება ნიუ-იორკში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოხდა.

ელენე შავერზაშვილი გაქარია ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალურ სამუსიკო სკოლის „ნიქიტა ათნლედის“ მე-7 კლასის მოსწავლეა (პედაგოგი თამარ კეჩუაშვილი). იგი წარმატებით მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში (“WETTBEWERB MUSICA.SEPASHVILI” – II პრემია; ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის V საერთაშორისო კონკურსი – II პრემია და სპეციალური პრიზის მფლობელი; საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა V კონკურსის კონკურსგარეშე ასაკობრივი ფგუფის ფინალისტი), მუსიკალურ ფესტივალებში, სახელგანთქმულ ქართველ და უცხოელ მუსიკოსთა (მათ შორის ლექსო თორაძის, თე-

მური ახოხაძის, ჰანს იურგ შტრუბის და სხვათა) მასტერ-კლასებში, გამოდის თბილისის სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში, როგორც სოლო შემსრულებელი, ისე სიმფონიური ორკესტრის თანხლებით (შესრულებული აქვს ჰაიდნის D-dur, ბეთჰოვენის C-dur, მოცარტის B-dur, რაველის G-dur, საფორტეპიანო კონცერტები).

აღსანიშნავია, რომ ელენე შავერზაშვილი საკმაოდ ხშირად ასრულებს, ასევე, ქართულ საფორტეპიანო ნაწარმოებებს, მონაწილეობს ქართული მუსიკის კონცერტებში, აღსანიშნავია მისი გამოსვლები ქართველ კომპოზიტორთა, მათ შორის, შოთა მილორავას, ალექსანდრე შავერზაშვილის საიუბილეო, მერი დავითაშვილის საავტორო საღამოებზე. იგი პირველი შემსრულებელია მერი დავითაშვილის, კახა ცაბაძის, გიორგი შავერზაშვილის რიგი ნაწარმოებებისა.

ელენე შავერზაშვილი უდავოდ ღირსეულად აგრძელებს ოჯახურ ტრადიციებს და მისი წარმატებები იმედს იძლევა, რომ მისი სახით შავერზაშვილების გვარს კიდევ ერთი სახელოვანი მუსიკოსი შეემატება.



დავით ანდლულაძე, კოსტე ფირცხალავა

# კოსტე ფირცხალავა

## მივიწყებული საოპერო მომღერალი

*„შეირყვნა მთელი ქვეყანა  
ცოდვებით აღსავსე  
ღმერთო ძლიერო გვაცვილე  
შენს რისხვასა და განსაცდელს  
რომ გათენება დაგვცალდეს, დაგვცალდეს“.*

უკვე 35 წელი გავიდა რაც კოსტე ფირცხალავა ცოცხალი აღარ არის. რაც შეეხება ზემომოყვანილ ციტატას, ეს არის განდევლის პარტიის დასაწყისი სულხან ცინცაძის ოპერიდან „განდევლი“. ჩვენს ხელთ არის 1973

წლის ჩანაწერი, სადაც მწყემსი – ნათელა მკერვალიძეა (სოპრანო), დირიჟორი – ვახტანგ ფალიაშვილი და თავად განდევლი – კოსტე ფირცხალავა (ტენორი). მიუხედავად ამ პარტიის დიდი სირთულისა, საერთო შეფასებით ლირიკულ-დრამატული ტენორი კოსტე ფირცხალავა მას ძალიან კარგად ასრულებდა. სამწუხაროდ მასზე არქივებში ინფორმაცია ან არ არის, ანდა ფონდები დახურულია. რაც შეეხება პრესას მხოლოდ ნოდარ ანდლულაძემ გამოაქვეყნა წერილი „თეატრალურ მოამბეში“, თუმცა ჯერჯერობით ვერ მოიძებნა



აღნიშნული წერილი. ამიტომაც ვეცადე რომ სხვადასხვა პიროვნებებთან პირად საუბრებზე, მათ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით აღმედგინა მომღერლის სახე.

ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას ვუხდით ბატონებს, ნოდარ ანდლულაძეს და ელდარ გენაძეს, რომლებმაც მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, არ დაიზარეს და ბევრი რამ მიაძებს კოტე ფირცხალავას შესახებ. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო იმ პიროვნებებს, რომლებმაც მხოლოდ მწირი ინფორმაციის მონოდება შესძლეს (თენგიზ ზაალიშვილი, თამაზ ლაფერაშვილი, თემურ გუგუშვილი, მედეა ამირანაშვილი, ცისანა ტატიშვილი, შავლეგ შილაკაძე, ვაჟა აზარაშვილი, გულბათ ტორაძე, რუსუდან წურნუშია). სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო გივი ნულუკიძეც. მან დამაკავშირა ასია კლდიაშვილთან, რომელმაც მეტად საგულისხმო ცნობები მომანოდა.

კოტე ფირცხალავას ხმას ჩემთან საუბრებში ნოდარ ანდლულაძე და ელდარ გენაძე შემდეგნაირად ახასიათებენ:

**ნოდარ ანდლულაძე:** „იგი იყო ლირიკულ-დრამატული ტენორი ულამაზესი ტემბრით. მე მას იტალიელ ტენორს ფანი რაიმონდის ვადარებდი.“

კოტე მამაჩემთან 50-60-იანი წლების მიჯნაზე მოვიდა. მან, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მრავალი წარმატება მოიპოვა. მახსოვს ერთხელ როცა „ლა სკალაში“ მოვისმინე ესპანელი ტენორი ლუიჯი ალბა, მამას მივწერე რომ ისეთივე ლამაზი ხმა აქვს, როგორც კოტე ფირცხალავას-მეთქი.

1963 წელს, აპრილში, მამაჩემი მიიწვიეს მოსკოვის საკავშირო მეთოდისტთა კომფერენციაზე, მან თან წაიყვანა ღია გაკვეთილებზე ზურაბ სოტკილავა და კოტე ფირცხალავა. ეს იყო მოსკოვის კონსერვატორიის საოპერო კლასის დარბაზში. ისე დამთავრდა ეს გაკვეთილი რომ ყველა ფეხზე იდგა. იქ იყვნენ დიდი მუსიკოსები ...

ჩემი აზრით, „ლუჩია დი ლამერმური“, „დონ პასკუალე“ და „აბესალომი“ კოტეს შედეგები იყო ნამდვილად. რახმანინოვის „ტენნი რაინდი“, ეს ურთულესი ოპერა, ბრწყინვალედ იმღერა და ამან განაპირობა რომ კოტეს „განდევლის“ პრემიერა ჩააბარეს. მე არ ვიცი რომ კოტეს განდევილი ჩანერილი იყო, და განვიცდიდი რომ „განდევილი“ ჩემი შესრულებით იყო

ჩანერილი და კოტეს შესრულებით კი არა.

კოტესნაირი ხმა ძალიან ცოტას ჰქონდა. მას სჯობდა ვალოდია კეკელია (დრამატული ტენორი), მაგრამ თვალები ჰქონდა სუსტი, გვიან დაიწყო სიმღერა. ვლადიმერი ვალერიან ქაშაკაშვილის მონაფე იყო (ადრე ხალხურ ანსამბლებში მღეროდა). მაგას ჩვენ ვბაძავდით მალელებში. ის აბესალომს და რადამეს მღეროდა.

1974 ან 1975 წელს პრალაში დაიდგა „დაისი“, სადაც კოტე ფირცხალავა გაგზავნეს — მალხაზს ასრულებდა. შემდეგ პრალის საოპერო თეატრის შემსრულებლები უნდა ჩამოსულიყვნენ ჩვენთან. პრალის თეატრის გასტროლებსას თბილისში მალხაზის პარტიის შემსრულებელი არ ჩამოიყვანეს — „თქვენ ისეთი მალხაზი გამოგზავნეთ, უხერხული იყო ჩვენი მალხაზის ჩამოსვლა“.

ჩვენი საოპერო თეატრის გასტროლებსას ვარშავაში და ლოძში კოტე მალხაზის პარტიას მღეროდა უდიდესი წარმატებით“.

**ელდარ გენაძე:** „დავით ანდლულაძეს იმ პერიოდში მიაჩნდა, რომ კოტიკო ერთ-ერთი საუკეთესო აბესალომი იყო. ერნესტოს პარტიასაც შესანიშნავად მღეროდა, განსაკუთრებით ბარკაროლას. ამ ნომერს საოცარი, წარმოუდგენელი სილამაზის პიანოთი, ტიტო სკაპასავით მღეროდა“.

კოტე ფირცხალავას რეპერტუარი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საოპერო მუსიკით, არამედ მასში ვოკალურ-კამერული მუსიკაც უხვად იყო. იგი მღეროდა: აზარაშვილს, თაქთაქიშვილს, ჩაიკოვსკის, გლინკას, რახმანინოვს, შუმანს.

რაც შეეხება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების საეტაპო თარიღებს, იგი მეტ-ნაკლებად დაზუსტებულია. თარიღების მონოდებისათვის დიდ მადლობას ვუხდით თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კადრების განყოფილების უფროსს, ქ-ნ ასია კლდიაშვილს.

კოტეს ნამდვილი სახელი იყო აბრეკი. აბრეკ ალექსის ძე დაიბადა 12 მაისს, 1934 წელს, ქალაქ სოხუმში. ჯერ დაამთავრა სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი მოსკოვში, 1957 წელს. 1964 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

1966 წლის პირველი თებერვლიდან გარდაცვალებამდე მღეროდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. ამ პერიოდში განსახიერებულ როლებს შორისაა: თანდარუხი და აბესალომი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), მალხაზი (ფალიაშვილის „დაისი“), განდევილი (სულხან ცინცაძის „განდევილი“), ედგარი (დონიკეტის „ლუჩია დი ლამერმური“), ერნესტო (დონიკეტის „დონ პასკუალე“), მონოსტატოსი (მოცარტის „ფადოსნური ფლეიტა“), ანდრეი (ლისენკოს „ტარას ბულბა“). მას ასევე ნამღერი აქვს რახმანინოვის „ძენნი რაინდი“ და გლინკას „რუსლან და ლუდმილა“. ერნესტო კოტეს სადებიუტო როლი იყო.

ტრაგიკულია 1975 წლის 29 დეკემბერი (ბოლო დრომდე რატომღაც მისი გარდაცვალების თარიღად 1976 წელს მიიჩნევდნენ). ჩემთან საუბარში ნოდარ ანდლულაძემ გაიხსენა, რომ თურმე იმ ავბედით დღეს კოტეს მალხაზი უნდა ემღერა, მაგრამ ვინაიდან ქორწილი ჰქონდა, იგი ბ-ნი ნოდარს შეუცვლია, მეორე დღეს კი გაუგიათ კოტე ფირცხალავას უეცარი, ტრაგიკული გარდაცვალების ამბავი.

კოტე ფირცხალავა საკუთარ ქორწილში გარდაიცვალა. დაკრძალულია სოხუმში, საგვარეულო სასაფლაოზე. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად მისი სუსტი გულ-სისხლძარღვთა სისტემა სახელდება.

საინტერესოა მიზეზი, თუ რატომ ვერ გახდა კოტე ფირცხალავა ცნობილი მომღერალი. ზოგი ამის მიზეზად მის კომპლექციას ასახელებს, ზოგი არტისტიზმის ნაკლებობას, ზოგი სცენაზე ხანმოკლე ცხოვრებას, ზოგი მის თავმდაბლობას, ზოგიც იმ დროს, რა დროშიც უხდებოდა მას მოღვაწეობა... ამას ემატება ისიც, რომ, სამწუხაროდ, კოტეს არ ჰქონდა გამართული ბევრი კონცერტი და კონკურსებშიც არ იღებდა მონაწილეობას.

კოტე ფირცხალავა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი 1965 წლიდან გარდაცვალებამდე დავით ანდლულაძის ასისტენტი იყო. ცნობილია რომ კონსერვატორიაში ჩაბარებამდე აღიარებული ქართველი მომღერალი ელდარ გენაძე გარკვეული პერიოდი სწორედ მასთან მეცადინეობდა. როგორც ბ-ნი ელდარი ამბობს, დავით ანდლულაძე თავის მონაწილეს სამეცადინოდ პირდაპირ ანდლულაძე კოტე ფირცხალავას,

რაც გამოწვევის შემთხვევა იყო.

რაც შეეხება კოტეს პიროვნებას, აქ ერთი ფაქტის მოშველიებაც კმარა, რომელსაც **ნოდარ ანდლულაძე იგონებს**:

„როდესაც 1971 წელს მამა ავად გახდა, საჭირო შეიქნა ექიმის ჩამოყვანა მოსკოვიდან. მე უნდა წავსულიყავი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემს მაგივრად კოტე წავიდა მოსკოვში. მივიდა აღიარებულ ექიმ მარიმბახთან, მაგრამ მას უარი უთქვამს, ვერ წამოვალ. კოტე არ წასულა და უცდიდა მანამ, ვიდრე მარიმბახმა სამუშაოდ არ დაამთავრა. ამ საქციელით აღფრთოვანებულმა მარიმბახმა გადაწყვიტა კოტეს წამოჰყოლოდა თბილისში. ეს მართლაც ასე მოხდა...“.

რაც შეეხება კოტე ფირცხალავას ჩანაწერებს, როგორც უკვე აღვნიშნე, ის მწირი რაოდენობით მოგვეპოვება (ისიც მხოლოდ აუდიო სახით). ჩვენთვის ცნობილია შემდეგი ჩანაწერები: სულხან ცინცაძის „განდევილი“, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ (თანდარუხი), ლისენკოს „ტარას ბულბა“. კამერული რეპერტუარიდან კი ვაჟა აზარაშვილის 5 რომანსი.

ვაჟა აზარაშვილი იგონებს, რომ როდესაც კოტე ფირცხალავას გარდაცვალება გაუგია, მაშინვე არქივისთვის შეუტყობინებია, რათა მისი შესრულებით არსებული მასალები არ წაეშალათ. ბატონი ვაჟას ეს რეაქცია აიხსნება იმით, რომ ზოგჯერ, როდესაც რადიო-ტელევიზიაში არ ყოფნიდათ ჩასაწერი საშუალებები, ძველ ჩანაწერებს შლიდნენ და მასზე სხვას გადააწერდნენ ხოლმე. სამწუხაროდ, ასე იკარგებოდა მრავალი ძვირფასი მასალა.

ამგვარად, კოტე ფირცხალავას სახელი თანდათანობით დავიწყებას მიეცა. ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ გაიმართება მისი სახელობის საღამო და გამოიყვამ კომპაქტ-დისკი, რითაც მომღერლის სახელი მივიწყებას გადაურჩება.



ფირიქური ფრეაფია ბინკაშვილი. მუზეუმის ფირიქური, კომპოზიტორი კახა საგაძე

## პოპულარული სტუმრები

44

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველი საზოგადოება ძალზე გაახარა ერთმა დიდად მნიშვნელოვანმა ცნობამ: ამერიკაში, ვაშინგტონში პრესვიტერიანულ ტაძარში შესრულდა ზაქარია ფალიაშვილის ქართული ლიტურგია. ეს ფაქტი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი იყო ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური მუზეუმის კოლექციისათვის, რომელიც ბუნებრივად დიდ კომპოზიტორთან დაკავშირებულ ვერანაირ მოვ-


ლენასთან ვერ იქნება გულგრილი; მეტადრე ამგვარი ფაქტი – ზ. ფალიაშვილის ჰანგებისა და სახელის გაქვლეტა ოკეანის გაღმა.

ამ სასიხარულო ცნობასთან ერთად იმხანად მასმედიდან წამდაუნუმ გაისმოდა – თითქოს აღმოჩენილი იქნა ფალიაშვილის დღემდე უცნობი ნაწარმოები. საქმე ის არის, რომ, როგორც უკვე დავწერეთ ამავე ჟურნალის



ფურცლებზე, ლიტურგიის ნოტებს ამერიკელებმა მიაკვლიეს აღმოსავლეთ ევროპის საეკლესიო მუსიკის კალიფორნიელი მკვლევარის – ვლადიმერ მოროსანის პირად არქივში. თავად მოროსანმა ლიტურგიას რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მიაგნო და ასლი დაამზადებინა. ამის შესახებაც მაშინ აღვნიშნეთ („მუსიკა“ 1, 2010), რომ ეს არ გახლავთ ახალი აღმოჩენილი ნაწარმოები. ლიტურგიის დედანი ინახება თბილისში ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში, ხოლო დაბეჭდილი ეგზემპლარები მუზეუმის და საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში (საერთოდ, სენსაციების მოყვარული ჟურნალისტების მიერ „აღმოჩენის“ კონტექსტში ახლაც გაიჟღერა ზ. ფალიაშვილის სახელმა: ამას წინათ ტელევიზიით საზოგადოებას აუწყეს მუსიკისმცოდნე ნინო ქორიძის ძალზე საინტერესო კონცეფციის შესახებ: მან მუზეუმში არსებული „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურისა და კლავირის პირველი ხელნაწერი ეგზემპლარების საშუალებით განიხილა ოპერის თავის დროზე დანუნებული მესამე აქტი და თავისი ორიგინალური მოსაზრებები გამოთქვა. მაგრამ მასმედიაში ეს კვლავ გაიგეს და გამოაცხადეს, ფაქტობრივად, როგორც დაკარგული მესამე აქტის „აღმოჩენა“, რაც ნამდვილად აბსურდია. ასე, ფალიაშვილის მუზეუმის ფონდებში კიდევ სხვა საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა ინახება, რაც ჯერ უცნობია „აღმოჩენების“ მოყვარულ ჟურნალისტთათვის.

დავუბრუნდებით საკითხს – კვლავ ორი წლის წინ აქლერებულ ქართულ ლიტურგიას. მაშინ ჩვენ ამ ჟურნალის ფურცლებიდან დიდი მადლიერება გამოვხატეთ ამ საქმის მესვეურების მიმართ. ელექტრონული წყაროების საშუალებით მივაკვლიეთ ცნობებს მათ შესახებ. ეს პიროვნებები გახლდნენ: პროექტის ინიციატორი და კაპიტალ-ჰოლის დამფუძნებელი – **პარკერ ჯინი**, ტაძრის ქოროს ხელმძღვანელი – **ფრედერიკ ბინკჰოლდერი**. მაშინ ისიც შევიტყვეთ, რომ ფრედერიკ ბინკჰოლდერს გეგმაში ჰქონდა საქართველოში ჩამოსვლა და ლიტურგიის შესრულება. გულდასაწყვეტი ის იყო, რომ მათ დიდი გარჯა დასჭირვებიათ ლიტურგიის ტექსტის ცალკეული დეტალების დასაზუსტებლად, მაშინ, რო-



პავისალ - ქოროს ღამთაშენი პარკერ ჯინი

დედაც მუზეუმი სიამოვნებით დაეხმარებოდა ამ ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვან საქმეში.

\*\*\*

ამას წინათ ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს მოულოდნელად ამერიკელი სტუმრები ეწვივნენ (მათ ახლდათ რადიო „მუზას“ წარმომადგენელი, მუსიკისმცოდნე – ბაია ჟუჟუნაძე). ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის შესახებ საუბრისას გამოჩნდა, რომ ისინი გათვითცნობიერებული იყვნენ მთელ რიგ საკითხებში. შემდეგ დაუმატეს, – ფალიაშვილის ლიტურგია ამერიკაში შესრულებული გვაქვსო, ახლა ამის ხელნაწერის ნახვაზე ვოცნებობთო. გვარები ვკითხეთ და... პარკერ

ჯეინი, ფრედერიკ ბინკჰოლდერი...

დღევანდელ დღეს, ალბათ, წარმოუდგენელია ვინმეს ნახვით გაკვირვება, დაუფერებლობა, მაგრამ ორი წლის წინანდელმა სასიხარულო ცნობამ ეს ადამიანები ჩვენს წარმოსახვაში იმდენად მიუწვდომელ გმირებად აქცია, რომ მათი სტუმრობა ასე უბრალოდ, ჩვეულებრივად დაუფერებლადაც გვეჩვენა. სტუმრები კი ალფრთოვანა ლიტურგიის ხელნაწერი ტექსტის ნახვამ, ფალიაშვილისეულ ხელნაწერებთან შეხებამ. ხელნაწერის ნახვა მათი მხრიდან კონკრეტულ მიზანსაც ისახავდა – განზრახული აქვთ ლიტურგიის აუდიო-ჩანაწერის გაკეთება და ამიტომაც ცდილობენ შესრულების სრულყოფისათვის კომპოზიტორისეული ნიუანსების გაცნობას. კაპიტალქოროს დირიჟორს – ფრედერიკ ბინკჰოლდერს მართლაც ბევრი რამ შეუსწავლია ფალიაშვილის შესახებ, საქართველოში ჩამოსვლის მიზანსაც მიაღწია – ეწვია კომპოზიტორის სახლ-მუზეუმს თბილისსა და ქუთაისში. მუზეუმში მოსულმა შემდეგი წარწერა დატოვა: „ჩემი თბილისში ჩამოსვლა – ეს არის სიზმრის ახდენა. მე შემიძლია ვთქვა, რომ ვცხოვრობ ფალიაშვილით, ამ ბოლო წლების განმავლობაში მისი მუსიკა ღრმად შემოიჭრა ჩემს გულსა და გონებაში. მე ამჯერად დიდი პატივით ვსარგებლობ, ვიმყოფები რა იმ გარემოში, რომლის მკვიდრიც იყო დიდი კომპოზიტორი, აქ ეწვეოდა მას შთაგონება. დიდად მადლობელი ვარ თბილისში ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის – სასიამოვნო ურთიერთობისთვის, ასევე განუული დახმარებისთვის, რაც მთავარია, ფალიაშვილის ნაწარმოების ხელნაწერთან შეხებისათვის. მე შეყვარებული ვარ საქართველოზე, მის ხალხზე, და მის მუსიკაზე. დაე, ჩვენი მეგობრობა იყოს მარადიული. სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გადმოსაცემად“. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ვაშინგტონში ლიტურგიის შესრულების ინიციატორის პარკერ ჯეინის სიტყვებიც: „2010წ. ვაშინგტონში ჩემმა გუნდმა კაპიტალქორომ შეასრულა ფალიაშვილის ლიტურგია. ამან საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ჩვენ ყველანი აღვფრთოვანდით ამ მუსიკის მშვენიერებით, სულიერებით. აშშ-ში გაღვივდა ინტერესი ამგვარი მუსიკისადმი, საერთოდ ქართული

მუსიკისადმი (ვაშინგტონში 2 გუნდი მღერის ამ ლიტურგიას). ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანი და სასიხარულო იყო ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში მოსვლა, მაგრამ ვერ ვადმოვცემ იმ განცდას, რაც გამოიწვია კომპოზიტორის ხელნაწერის ხილვამ... დიდ მადლობას მოვასხენებთ მუზეუმს დიდი კომპოზიტორის ხსოვნისადმი და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალისადმი სათუთი დამოკიდებულებისათვის, ასევე დიდი მადლობა მათ აშშ-დან ჩამოსული სტუმრების ასეთი გულმხურვალე მიღებისათვის“.

ჩვენ ადრეც გამოვთქვით სწორედ ამ შესანიშნავი ადამიანების მიმართ მადლიერების სიტყვები. მათმა სტუმრობამ ჩვენზეც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. კვლავ მადლობას მოვასხენებთ მათ საქართველოში ჩამოსვლისათვის, ამ მუზეუმის სტუმრობისათვის; რაც მთავარია, ფალიაშვილის მუსიკისადმი დიდი ინტერესისათვის, განსაკუთრებული დამოკიდებულებისათვის, სიყვარულისთვის...



ოთარ მორავსკი

დეც, და შემდგომაც...

სულ ახლახანს, უნიჭიერესმა პიანისტმა, პროფესორ ნინო ჭირაქაძის მოწაფემ, — ანი ყიფიანმა, დასავლეთის ცნობილ სამუსიკო სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას, დღესაც მსოფლიო ლიდერ კონსერვატორიად აღიარებულ მოსკოვის კონსერვატორიაში, ელისო ვირსალაძის კლასში სწავლა ამჯობინა! საქართველოდან ჩასულს, ეშხიან, ვერცხლისწყალივით მოძრავ გოგონას კონსერვატორიაში შემოსვლისთანავე დიდი სიმპათიით შეხვდნენ პედაგოგებიც და აბიტურიენტებიც, მან სამივე საგანში უმაღლესი ქულები მიიღო (ჩვენს „ნიჭიერთა ათწლედში“ თეორიულ საგნებში დაბალ ქულებს რომ უწერდნენ). — **Анька, Анька** უკვე პოპულარულია მოსკოვის კონსერვატორიაში და თავსაც შესანიშნავად გრძნობს.

ამ სრულიად გააზრებული მცირე „გადახვევის შედეგ“ ისევ 50-60-იან წლებს ვუბრუნდები. ყოველი მოსკოვის კონსერვატორიაში ჩასული ქართველი თავისი გენეტიკური ნიჭიერებიდან გამომდინარე და ისტორიულ პიროვნებებთან ურთიერთობის წყალობით დიდ შემოქმედებით წარმატებებს აღწევდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ იმდროინდელი მოსკოვი „მუსიკის აღთქმული ქვეყანა იყო!“ წერილის ფორმატი არ მალევს საშუალებას ჩამოვთვალო ყველა ჩამოსული გე-

## ოთარ მორავსკი და მისი საფორსტეპიანო სონატა

სულში სითბო მეღვრება, როდესაც ვუყურებ ოთარ მორავსკის წარწერას ჩემს ნოტებზე (იხ. გვ.48).

50-60-იანი წლები... მოსკოვის კონსერვატორია... არაერთი ქართველი მუსიკოსი ამ კედლებში ეუფლება უმაღლესი აკადემიკოსის საფუძვლებს... ასე იყო მანამ-

ნიალური კოლექტივი, შემსრულებელი, თვითრუსეთის გენიალური შემსრულებლები (კონცერტებზე, ღია რეპეტიციებზე დასწრება, აგრეთვე მუდმივი ადგილები სტუდენტებისათვის დიდ თეატრში, რომლებსაც ხანდახან მე, როგორც სტუდენტთა პროფკომის წარმომად-




გენელი ვარიგებდი — პრობლემა არ იყო).

რაც ყველაზე მთავარია, მემკვიდრეობითი კავშირი დღევანდლამდე რუსეთში არ განწყვეტილა (ან მთლიანად არ განწყვეტილა). შორიდანაც ნათლად ჩანს, როგორ უფრთხილდებიან ისინი თავის ძვირფას წარსულს, როგორ ცდილობენ დავინყებას არ მიეცეს წარსულის დიდება. ხშირად ბევრი რამ, რასაც ჩემი მასწავლებელი ალექსანდრე გოლდენვეიზერი მასწავლიდა, უფრო მოგვიანებით ამოვიკითხე მოგონებებში ლისტის შესახებ. გოლდენვეიზერი ხომ ზილოტის მოწაფე იყო, ხოლო „ზილოტისიმუსი“ ლისტის უსაყვარლესი მოწაფე!

ამ თემაზე განუსაზღვრელად ბევრი შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ისევე, როგორც თბილისის ოდესღაც უაღრესად საინტერესო მუსიკალურ ცხოვრებაზე, იმ დიდ პიროვნებებზე, რომლებიც აქ რაღაც პერიოდი ცხოვრობდნენ, რათა პროფესიული სკოლა შეექმნათ, გასტროლებზე ხომ ვინ არ ჩამოდიოდა! სამწუხაროდ არაერთი დიდი მუსიკოსის სევდანარევი მოსაზრებაც შემიძლია მოვიშველიო იმის დასტურად, რომ მემკვიდრეობითი კავშირი ჩვენში თითქმის განყდა — რა თქმა უნდა ეს ყველას არ ეხება! ამას მრავალი მიზეზი გააჩნია და თუ ვინმე „ფობიაში“ დამდებს ბრალს, დიდი ილიას სიტყვებით ვუპასუხებ: „კარგი გული კი მაშინვე გრძნობს ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!“

ჩემი ღრმა მოსაზრებაა, რომ მოსკოვიდან ჩამოსულმა ქართველმა მუსიკოსებმა თავისი ცოდნა და პოტენცია ბოლომდე ვერ განავითარეს. ამას მრავალი მიზეზი აქვს... თუ გნებავთ სხვა დროს ვისაუბროთ...

დავუბრუნდეთ 50-60 წლებს, საიდანაც თხრობა დავიწყეთ. იმ დროს მოსკოვის კონსერვატორიაში სამი უნიჭიერესი ქართველი კომპოზიტორი სწავლობდა, სამივე ცნობილი პედაგოგისა და მკვლევარის სემიონ ბოგატირიოვის მოწაფე იყო: მერაბ ფარცხალაძე, სულხან ცინცაძე და ოთარ გორდელი, რომლის გახსენებამაც წინამდებარე წერილი დამანერინა. იმ პერიოდში მეც მოსკოვის კონსერვატორიაში ვსწავლობდი ალექსანდრე გოლდენვეიზერის კლასში და ხშირად ვხვდებოდი მერაბს, სულხანს, ოთარს... სამივე ძალზე ნიჭიერი იყო, თვითმყოფადი, განუყოფელი ინდივიდი. რატომღაც უფრო მერაბ ფარცხალაძეს დავუმეგობრდი, შესაძლოა იმიტომაც, რომ ის ჩემი მეგობრის საქმროდ მესახებო-



და. როგორი პოპულარობით სარგებლობდა მერაბის საფორტეპიანო პიესა „ფანდურული“! მერაბი ძალიან გულდია, რბილი ადამიანი იყო. ის ბოლოს რუსეთში დარჩა, ნაყოფიერ საკომპოზიციო და საორგანიზაციო სამუშაოს ასრულებდა, საუკეთესო ავტორიტეტითაც სარგებლობდა. არ დამავინყდება, როგორი გულისტკივილი ვიგრძენი მის ნათქვამში: თითქოს გავრუსდი, მაგრამ მუსიკაში ქართველი ვარო.

როგორც კომპოზიტორს, რუსეთში მყისიერი წარმატება სულხან ცინცაძეს ხვდა წილად. მისი უზადო ნიჭიერების გარდა აქ იმანაც ითამაშა როლი, რომ სულხანი ჩელისტი იყო (მოსკოვის კონსერვატორია ჩელოს კლასით სემიონ კობოლუპოვთან დაამთავრა). სულხანი დაუმეგობრდა გენიალურ ჩელისტს დანიელ შაფრანს (არ მეშინია ამ ეპითეტის ხმარება, იგივე სხვებისგანაც მსმენია, და თვით შაფრანმა მითხრა, რომ მისი ერთ-ერთი გრამფირფიტა პაბლო კაზალსს მუდმივად პიუპიტრზე ედოო). თვალწინ მიდგას: მოდის სულხანი შაფრანის ჩელოთი... სულხანმა მისთვის ხუთი ქართული მინიატურა დანერა, რომლებმაც ყველა ადფრთოვანებაში მოიყვანა და კომპოზიტორმა სტალინური (1950) პრემიაც მიიღო. სულხანი მაშინ სწავლობდა და ეს ფაქტი დიდ მოვლენად იქცა იმდროინდელ მუსიკალურ ცხოვრებაში.

ახალგაზრდა კომპოზიტორებს შორის მეტად დაფასებული იყო ბოგატირიოვის ასპირანტი ოთარ გორ-

დელი — ძალზე ნიჭიერი, გამორჩეული პიროვნება — ყოველთვის მოკრებილი, ორგანიზებული, ენერგიული, უაღრესად კეთილგანწყობილი სხვების მიმართ.

ოთარ გორდელი დაიბადა თბილისში 1928 წლის 18 ნოემბერს, გარდაიცვალა 1994წ. იზრდებოდა მუსიკალურ გარემოში — დედა — ნადეჟდა ბუზ-ოლლი, ღირსეული ინტელიგენტი, სანდომიანი მანდილოსანი, თბილისის კონსერვატორიაში ვოკალს ასწავლიდა. ზაქარია ფალიაშვილმა თავის დიდებულ ოპერა „დაისის“ ასეთი სიტყვები წარუშეძგარა: „Посвящается Надежде Ивановне Буз-Оглы“. ოთარ გორდელმა თბილისის კონსერვატორია ფორტეპიანოს კლასით ანასტასია ვირსალაძესთან დაამთავრა, ხოლო კომპოზიციაში იონა ტუსკიას მონაფე იყო. შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურაში კომპოზიციის განხრით.

ოთარ გორდელი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი თავდაჭერილობით. რა თქმა უნდა ეს არ გახლავთ კარიერის გზაზე სწრაფი წინსვლისათვის საუკეთესო თვისება. მაგრამ ოთარს გაუმართლა! 1957 წელს კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში მან დაწერა კონცერტი ფლეიტისათვის ორკესტრის თანხლებით. ეს კონცერტი პირველი ქართული პარტიტურაა, რომელიც აჟღერდა საზღვარგარეთ და ბრწყინვალე აღიარებაც ჰპოვა. კონცერტი შეასრულა უბადლო ფლეიტისტმა „რუსეთის ოქროს ფლეიტად“ აღიარებულმა, ამ ცოტა ხნის წინ გარდაცვლილმა ალექსანდრე კორნეევმა ეგგენი სვეტლანოვის დირიჟორობით. უკეთეს პრეზენტაციამე ოცნებაც ძნელი იყო! პარტიტურა გამოსცა 1960, 1962, 1972 წ. „Советский композитор“-მა. ჩანერეს გრამფირფიტების ჩამწერმა ფირმებმა: რუსეთში „Мелодия“-მ, აშშ-ში „Monitor“ და „Mark Custon records“-მა. ფლეიტის კონცერტი დიდი წარმატებით სრულდება რუსეთში, აშშ-ში, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

აშშ-ში თითქმის ყველა შტატის უმაღლეს სასწავლებელში ოთარ გორდელის ფლეიტის კონცერტი აუცილებელ პროგრამაში შედის, ყველა კონკურსზე ჟღერს... ჩიკაგოს ორკესტრის რეპერტუარში ოთარ გორდელის ფლეიტის კონცერტი 30 წელი შედიოდა — სოლისტი ვილფრიდ კუჯალა. ვაშინგტონში სიეტლის



ოთარ გორდელი დაჯიანასთან, ნადეჟდა ბუზ-ოლლისთან ერთად

ორკესტრთან ერთად შეასრულა რეციდ პეტერმა, სულ ახლახან კი ქენდი ჩანგმა და დაიმონ ბერიმ.

დიდი წარმატებით სრულდებოდა რუსეთში (ალექსანდრე იოხელესი და ა. გაუკი) და ამერიკაშიც ოთარ გორდელის საფორტეპიანო კონცერტი.

1960წ. თბილისში ოთარ გორდელმა საფორტეპიანო სონატინა შექმნა, ნოტები სახლში მომიტანა და მე გახლდით ამ სონატინის პირველი შემსრულებელი. სო-



ნატინა მალევე შევასრულე ქართველ კომპოზიტორთა პლენუმზე.

მოსკოვიდან ჩამოვიდა ხმის ჩამწერი ბრიგადა იმ დროის დიდოსტატის ვ. გროსმანის მეთაურობით, რათა „ოქროს“ ფონდისთვის ჩაენერათ ქართული კლასიკური მუსიკის არაერთი საუკეთესო ნიმუში (იმ დროს ხომ რუსეთის უპირველეს მიზანს ყოველივე ქართულის განადგურება წარმოადგენდა!). ჩავწერე ოთარ გორდელის სონატინა (ოთარმა უცხოეთის ერთ-ერთ ქვეყანაში რადიოთივ მოისმინა ეს ჩანაწერი).

სონატინა ძალიან შემეყვარდა და ხშირად ვუკრავდი გასტროლების დროს დედამინის 1/6 მასშტაბით. ყველას ძალიან მოსწონდა ეს მუსიკა, ისევე როგორც ნოდარ მამისაშვილის, სულხან ნასიძის, ალექსი მაჭავარიანის, ანდრია პალანჩივაძის ნაწარმოებები და ყველგან მთხოვდნენ ნოტების გაგზავნას.

ამ ცოტა ხნის წინ ოთარ გორდელის სონატინა გერმანიის ერთ-ერთ ფესტივალზე გერმანიაში მოღვაწე ჩემმა მოწაფემ თამარ კლაიუსმა წარმატებით შეასრულა.

სონატინა მასშტაბებით არ არის დიდი, თუმცა მასში აღბეჭდილი გრძნობების, განცდების, ხასიათების სფერო მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია. ნაწარმოებში ნათლად ჩანს, რომ კომპოზიტორი მშვენივრად ფლობდა ინსტრუმენტს. ფაქტურა ძალზე ფაქიზი, დახვეწილია, პოლიფონიური. გვხვდება ეპიზოდები, რომლებიც იმპრესიონიზმთან რაღაც პარალელურებზე მეტყველებენ, მაგრამ არავითარი მიბაძვა, მხედველობაში მაქვს გორდელის ფერადოვანი, ჰაერით გაჟღერებული ფაქტურა. ფრაზირება, ჰარმონიული წყობა უბადო გემოვნებაზე მეტყველებს, და რაც ყველაზე მთავარია, სონატინა დრამატურგიული განვითარების თვალსაზრისით უწყვეტ ხაზს წარმოაჩენს. საინტერესოა კომპოზიტორის ჩანაფიქრი: I ნაწილი ახალგაზრდა ადამიანის მიერ მოულოდნელობებით აღსავსე მომენტების დაფიქსირების მცდელობაა – სიცოცხლის სიხარული, ნაზი ლირიზმი, იუმორი. II ნაწილი გვხიბლავს გულწრფელი გრძნობით, სულიერი სითბო იღვრება, კოლორიტი ქართულია, თუმცა ციტატების გარეშე. მაგრამ, ისევე, როგორც ცხოვრებაში, აქაც სინაზეს სევდაც თან ახლავს – დასაწყისში ნათელი სევ-

დაა, რომელიც უკვე მძაფრ გრძნობებში გადადის და ის-ის არის დაგაფიქრებს რაღაც მნიშვნელოვანზე, რომ უცებ... სულ ორიოდე ტაქტი – განმუხტვა... ქართული საცეკვაო-სასიმღერო ინტონაციები ცვლიან განწყობას. ფინალში ორჯერ გვხვდება ლირიკული გადახვევებიც, მაგრამ ბოლოს სიცოცხლის, სიხარულის ნაკადი ყოველივეს შთანთქავს...

სონატინა საინტერესოა იმიტომაც, რომ ნაწარმოებში არ არის მთელი აქცენტი გადატანილი ნაციონალურ ხასიათზე, არამედ გემოვნებით არის შეფერებული ქართული კოლორიტი და ევროპული საფორტეპიანო სტილი.

სამწუხაროა, რომ ეს ნიჭიერი, თავმდაბალი და ამიტომაც თავის სამშობლოში რეგალიებს მოკლებული ადამიანი ადრე წავიდა ამა სოფლიდან – მას კიდევ ბევრი ღირებული რამ შეეძლო შეექმნა!

P.S. მსურს მადლობა გადავუხადო ქალბატონებს რუსუდან ქუთათელაძეს და ია ბაგრატიონ-მუხრანელს, რომელთა წერილებში მოწოდებული ინფორმაციით ვისარგებლე.





ღრისა ძირითისა  
თა ქმრთა თისა  
აჲთაძეჲთაი რაჲთა  
ერყდით აჲმისა  
თაჲ ოსოქიჲ და  
ერთა მძღუთაიქი

და ჰმ რამითა და  
ძესა მძღ. და რა  
აჲთა და მძღუთა  
რესა რაჲთა და



ერთ ოსოქი რაჲთა და  
თა ოსოქი ოსოქ  
იჲთა რაჲთა ოსოქ



# „პირველად ღმერთი ვახსენოთ“

(ქრისტიანობა ქართულ ტრადიციული მუსიკაში)

ქართული ტრადიციული მუსიკალური კულტურა ძნელია, ერთსახოვნად, მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანულად ინოდოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ რელიგიურ-მითოლოგიური ასპექტით, მასში ქრისტიანული იდეა წამყვანია. წარმართული მოტივები ქართულ ხალხურ

სიმღერაში უმეტესად ჩვევის სახითაა შენარჩუნებული, მაშინ, როდესაც ქრისტიანული პერსონალებსადმი მიმართვა და ქრისტიანული თემატიკა-ატრიბუტიკა უმეტესად გააზრებულია. მართალია, საქართველოში დღემდეა შემორჩენილი აშკარად წარმართული რიტუ-

ალეხი, მაგრამ ბევრი ასეთი წეს-ჩვეულება მაგალითია ძველი (წარმართული) ფორმის ახალი (ქრისტიანული) შინაარსით დატვირთვისა.

ცნებაში „ქართული ტრადიციული მუსიკა“ მოვიამბრებთ ქართულ ხალხურ მუსიკას (ვოკალურსა და ინსტრუმენტულს) და ქართულ საეკლესიო საგალობელს. სიტყვა „ტრადიცია“ აქ არა მხოლოდ ზეპირი ტრადიციის მნიშვნელობით იხმარება, არამედ – ეთნიკური ტრადიციული სტილისტური ნორმების აღმნიშვნელად. ქართულმა საგალობელმა, მიუხედავად მისი პროფესიული კულტურისადმი კუთვნილებისა (სპეციალური ცოდნით აღჭურვილი და განსაზღვრული მსახურებით დაკავებული პირები, მუსიკალურ-თეორიული ცოდნის შექმნისა და გადაცემის სპეციალიზირებული, მონესრიგებული სისტემა, გარკვეულწილად დამწერლობითი ტრადიცია), გარკვეულწილად ხალხური მუსიკისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც შეიძინა: მგალობლის, როგორც პროფესიისა და გალობის თეორიული ცოდნის ნიველირება და გადაცემის ზეპირი ხერხი. ეს პროცესი ძირითადად ისტორიული ძეგლებდობის მიზნს უნდა მიენეროს.

ასეა თუ ისე, ქართული სიმღერა და გალობა დღეს ხშირად ერთ სიბრტყეში განიხილება. და ეს ჩვენთვის უკვე ჩვეული მოვლენაა. საქართველოს გასაბჭოებამდე ხალხში გამორჩეული ხალხური მომღერლები, ამავე დროს, მგალობლებიც იყვნენ (რაც ფაქტობრივად ძირითადად დასავლეთ საქართველოში დასტურდება). ცხადია, ეს ორი პარალელური მოვლენა ურთიერთგეგავლენას განიცდიდა. მაგრამ საგულისხმოა, რომ დღემდე მათ ორ მკაფიოდ ჩამონაკვთულ, დამოუკიდებელ სტილისტურ პლასტად მოაღწიეს.

დიდ დროს არ დავუთმობ ქართული სიმღერა-საგალობლის სტილისტურ-ესთეტიკური განსხვავებების შესახებ საუბარს და აღვნიშნავ იმ საერთოს, რაც მათ ახასიათებს. უპირველესად, ესაა სამხმიანობა. ის, რომ ამ რეგლამენტს დიდი ისტორია აქვს, გვიდასტურებს XI–XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მიერ ყოვლადწმინდა სამების ერთიანობის ამქვეყნიურ ხატად სამი ხმის – მზახრის, ჟირისა და ბამის ერთიანობის მოხმობას. სწავლული, ცხადია, მაგალითად იღებს მაშინდელ პრაქტიკაში ცნობილ მოვლენას

– სამხმიანობას. მართალია, ქართული სამხმიანობის, როგორც ყოვლადწმინდა სამების სიმბოლოს მინიშნება სხვა წყაროებში არ გვხვდება, მაგრამ ძნელია, არ იგულისხმოდ, რომ ქართველი მგალობლები ამ ასოციაციას აუცილებლად გაიზიარებდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ხალხური მუსიკის ვოკალურ ხასიათს გარკვეულწილად ქრისტიანული მართლმადიდებლური საღვთისმსახურო ტრადიციაც განსაზღვრავს. საკრავი არათუ ეკლესიაში, არამედ მის გარეთაც ნაკლებად იყო პატივდებული. ამასთან, ქართული ხასიათი უკვე შეეჩვია სუფრაზე თუ რომელიმე სხვა რიტუალში თანამუსიციერებას და არა – მოსმენას ერთი მომღერლისა, ან დამკვრელისა (თუნდაც დამკვრელთა ანსამბლისა).

შეიძლება ითქვას, რომ ქართული საგალობელი და ქართული სიმღერა ერთმანეთთან ისეთივე მიმართებაშია, როგორც ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა. აქაც ორივე მოვლენა ერთ ქართულ მუსიკალურ ენაში ერთიანდება. ხმების პოზიცია, ფრაზების დაბოლოებები – კადანსები, კიდურა ხმების პარალელური მოძრაობა, აღმოსავლეთში – შუა ხმის მიდრეკილება მოძრაობისადმი, დასავლეთში – ხმების შედარებით თანაბარი ამოძრავება, ზოგიერთი სახასიათო მელოდირი მოდელი, ჰარმონიული ვერტიკალი – აი, არასრული ჩამონათვალი იმ ფაქტორებისა, რომლებშიც თავს იჩენს ქართული სიმღერისა და საგალობლის ერთი ფუძე.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოს გურული სამხმიან-სამკაცვიანი სიმღერის (რა შემადგენლობასაც უკვე გურიაშიც „ტრიოს“ უწოდებენ) აღნაგობის განსაკუთრებული მსგავსება საგალობელთან. აქ მქლავნდება „ფრაზების აკინძვის“ დრამატურგიული პრინციპი, რაც სწორედ საგალობლისთვისაა დამახასიათებელი („ჩვენ მშვიდობა“, „წამოკრული“, „ხელხვა“ და სხვა). საინტერესოა, რომ აჭარულ სასიმღერო შემოქმედებაში, რომელიც ზოგ შემთხვევაში გურული სიმღერის „ცოცხალ წინაპრად“ აღიქმება, მსგავსი ორიგინალური პლასტი არ გვხვდება, რაც ორნახევარი საუკუნის განმავლობაში თურქეთის უღლის ქვეშ ქრისტიანული მოტივების კარგვითაა გამონვეული.

მაგრამ ქრისტიანული ძირებისაკენ ლტოლვას აჭა-



რელი თურქეთის ბატონობის დროსაც ამჟღავნებდა. მაგალითად, საშობაო ჩამოლოცვისათვის — „ალილოს“ შესასრულებლად აჭარლები ხშირად მალულად გურიაში ჩადიოდნენ.

„ალილო“, როგორც საშობაო ტრადიცია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული რიტუალი იყო. დიდი დღესასწაულის გარდა ამ პოპულარობის მიზეზი, შესაძლოა, გლეხისათვის თავად ზამთრის შედარებით ნაკლებად შრომატევადი პერიოდიც ყოფილიყო. სიტყვა „ალილოს“ ღმრთის სადიდებელ „ალილუიდან“ მომდინარედ ხსნიან. ის, რომ ეს სიმღერა სწორედ რელიგიური მოტივიდანაა ამობრდილი, მიუთითებს კახეთში „ალილოს“ არა მარტო ქრისტიანობისას, არამედ მიცვალებულთან დაკავშირებულ რიტუალში მღერაც.

„ალილო“ იმღერებოდა როგორც მისალოცი, კარდაკარ ჩამოვლისას შესასრულებელი ნიმუში, ასევე სუფრაზე — საზეიმოდ სამღერი. მაგალითად, რაჭაში ჩანერილია მოკლე საბავშვო „ალილოც“, რომელიც სულ ორ-სამ ბგერას მოიცავს და განვითარებული სახის სუფრული „ალილოც“, რომელიც რაჭაში ყველაზე რთულ სიმღერად ითვლება. განსაკუთრებით პოპულარულია გრძელი კახური სუფრული „ალილო“, ასევე — უფრო სხარტი გურული, მეგრული და იმერული „ალილოები“.

არ არის გამორიცხული, „ალილუიას“ უკავშირდებოდეს სვანური „ლილეც“ („ო ლილე“, შეადარეთ რაჭული მისამღერი „ო-ლე-ლილე“), რომლის ტექსტშიც სხვა ქრისტიანული მოტივიც — მთავარანგელოზი („თარინგებლარ“) ფიგურირებს. ასევე საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს სვანური „კვირისა“ ქრისტიანული ღმერთისადმი მიძღვნის ვერსია (ბერძნულად — „კირიე“ — უფალი). ცნობილია, რომ კვირია ზოგადად ქართული ჰანთეონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირია და მას უზენაესი ღმერთის თვისებები ახასიათებს. ხოლო მისი „ღვთისშვილად“ დამცრობა, შეიძლება, დროთა განმავლობაში ამ მოტივის პაგანიზაციის პროცესის შედეგი იყოს. ამ მოსაზრებაზე ისიც მიუთითებს, რომ ხშირად კვირიას საპატრიკეპულოდ ეწყობოდა დღესასწაული კვირიცხოვლობა, რომლის ქრისტიანული წარმომავლობა ეჭვს აღარ იწვევს. „კვირია“ სვა-

ნეთში იმღერებოდა როგორც ღვთის სადიდებელი (თან სიმღერისას პირს აღმოსავლეთისაკენ იბრუნებდნენ), როგორც კარგი ამინდის გამოთხოვნის სიმღერა და — როგორც „ბედნიერი მიცვალებულისადმი“ (ასაკოვანი კაცისადმი, ვისაც გვარში თავისზე უმცროსის სიკვდილი არ უნახავს) მიძღვნილი სიმღერა-ჰიმნი.

ბერძნულ პირველწყაროსთან უფრო აშკარა კავშირს ამჟღავნებს დასავლეთქართული სიმღერა „კირიალესა“, სხვა ვარიანტით — „კირიალესო“ (ბერძნულად — „კირიე ელეისონ“ — „უფალო შეგვიწყალო“). რომელიც უმეტესად აღდგომის დღესასწაულს უკავშირდება. თუმცა სამეგრელოში მას ახალი წლის მილოცვის დროსაც უმღეროდნენ მასპინძელს.

სამეგრელოში „კირიალესა“ სრულდებოდა ასევე „ჭვენიერობის“ დროს. იგი ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების აღმნიშვნელი დღესასწაულია. იგი, გადმოცემით, ანდრია მოციქულის მიერ საკულტო მუხის („დიდი ჭყონის“) ამოთხრას, მასზე დავანებული კერპ „კაპუნისა“ ჩამოგდებას და იქვე ჯვრის აღმართვას უკავშირდება. ჭვენიერობა აღდგომიდან მერვე დღეს მარტვილში იმართებოდა და ზემოაღნიშნული სიმღერა მუხის რიტუალურად ამოთხრას და მსვლელობას სდევდა თან. ზოგიერთი მკვლევარი ხის ტარებისას „კირიალესას“ შესრულებას მორების გამოთრევისას შესრულებად ცნობილ სიმღერა „ელესასაც“ უკავშირებს.

მაგრამ ქრისტეს აღდგომას ძირითადად მაინც ქრისტეს ტროპარი ეძღვნებოდა — „ქრისტე აღდგა მკვდრეთით“, რომელიც უმეტესად ინდივიდუალური გამღერების სახითაა დღემდე მოღწეული (ამ მხრივ საინტერესოა სვანური და ლეჩხუმური სამხმინი ვარიანტები) — ძირითადად იმ მიზეზით, რომ საბჭოურ პერიოდში მის გამომზეურებას ერიდებოდნენ (შედარებით ნაკლებ ეჭვს ბადებდა საბჭოთა აქტივისტებში მაგალითად, საგალობელი „მოვედით და ვსვათ“). სამაგიეროდ, რაჭაში „ქრისტე აღდგას“ ხალხურ ვარიანტებს დღესაც მოისმენთ. აქ ეს სიმღერა ფერხულად (ერთობლივი ცეკვით) სრულდებოდა. თუმცა ზოგიერთები მაინც მორიდებიან ამ „სახიფათო“ თემატიკას და მოგვიანებით „ქრისტე აღდგა, გიხაროდენის“ მელოდიანზე სახუმარო სიმღერა „ტყეში ქალები წასულან, აბა გიხაროდენ“ ვისმენთ.



ქრისტიანულ თემატიკას შედარებით შორდება ქართლში, იმერეთში, მესხეთში, ხევში გავრცელებული „ჭონას“ ტრადიცია და სიმღერა. თავად „ჭონა“, როგორც ფიქრობენ, ტყავის ქედს, ტანსაცმელს აღნიშნავს, რომლითაც მომლოცველები ატარებდნენ (რითაც სახალხო თეატრალიზებულ ნიღბოსანთა დღეობა „ბერიკაობასთან“ მონიშნება ანალოგია). ეს რიტუალი ძირითადად წითელ პარასკევს იწყებოდა და უმეტესად კვერცხების შეგროვებაზე აკეთებდა აქცენტს.

ქრისტიანული საგალობლებიდან ხალხში იმდერეობდა ასევე „წმინდაო ღმერთო“, რომლის გახალხურებული ვარიანტები დღეს სვანეთში და სამეგრელოში გვაქვს შემორჩენილი. ცხადია, როგორც ეკლესიაში, ასევე მის გარეთ, ლიტანიობაზე შესასრულებელი ეს საგალობელი საქართველოს სხვა კუთხეებშიც იმდერებოდა, მაგრამ დღეს მათი ვერსიები დაკარგულია, ისევე, როგორც სხვა უამრავი ქართული ხალხური სიმღერა.

საგალობელი სრულდებოდა მიცვალებულის წესის აგების დროსაც. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ რიტუალის გამოძახილია ძირითადად დასავლეთ საქართველოში გავრცელებული „ზარი“, რომელშიც მოგვიანებით სიტყვები წაიშალა და მხოლოდ გლოვის შორისდებული „ვაი“ ან „ვოი“ დარჩა (სახელიც შესაბამისი მიმართებით შეეცვალა, თუმცა ემოციური მოტივი აშკარად ჰიმნური და არა — გლოვის მიმანიშნებელია). საგალობელის აღნაგობასთან სიახლოვეს ამჟღავნებს მედიდური სვანური „ზარიც“, და განსაკუთრებით — გურული „ზარი“, რომელშიც პირდაპირ შეინიშნება წირვის შესვლადის მელოდიური ციტატები.

საინტერესოა საქართველოში ქრისტიანული მოტივის ვენახთან და სუფრასთან კავშირში მიმოხილვა. ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი, რომელიც საქართველოს მე-17 საუკუნეში სტუმრობდა, აღნიშნავს, რომ აქ გლეხები ვენახში მუშაობისას საეკლესიო ძღვისპირებს გალობდნენ. სამწუხაროა, რომ ამ ტრადიციამ ჩვენამდე ვერ მოატანა.

სამაგიეროდ შემოგვრჩა დემეტრე-დამიანეს „შენ ხარ ვენახი“ — საგალობელი, რომელსაც ეკლესიის ლიტურგიკულ განგებაში ადგილი არ აქვს, მაგრამ ქართველმა ხალხმა დღემდე სიყვარულით შეინახა,

როგორც საგალობელიც (გავისხენოთ არტემ ერქომაივილისეული გურული ვარიანტი) და როგორც სიმღერაც (მულალაშვილისეული კახური ვარიანტი).

ვენახის, ღვინისა და პურისადმი პატივისცემა რომ ქართველ კაცს ძვალ-რბილში ჰქონდა გამჟღადარი, ქრისტიანული ტრადიციის — ზიარების მადლმოსილი პურისა და ღვინისადმი თავყვანისცემის მაჩვენებელია. გავისხენოთ სიტყვები მოხეური სიმღერიდან „სმური“: „პირმან დავლოცოს ღვთისამან, ნაწილმან ბარძიმისამან“. გავისხენოთ აჭარული სიმღერა „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, სადაც აჭარული გლეხი თავისი ძველი სარწმუნოების სიმბოლოს, აჩეხილ ვენახს მისტირის.

თავად ქართული სუფრაც — ტრაპეზი ხომ წირვის ერთგვარი გაგრძელებაა, ერთგვარი დიდი კვერქსია, სადაც უფლისადმი თხოვნასა და „უფალო შეგვწყალებინს“ მონაცვლეობას სადღეგრძელო და მისი თანამდევნი სიმღერა-საგალობელი ანაცვლებდა.

სუფრა იწყებოდა ღვთის დიდებით. „ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა“ — ამ სიტყვებს, რომელიც ქრისტეს შობისას ანგელოზთა გალობის ასოციაციაა („დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“), როგორც ჩანს, ზოგ შემთხვევაში პირველი ფრაზა მოაკლდა და დღეს ყველაზე განვითარებულ-„გამშვენებული“ გურული სიმღერა „ჩვენ მშვიდობას“ სახით ჩამოყალიბდა.

სუფრის დასაწყისში ასევე იგალობებოდა საგალობელი „დღეს საღვთომან მადლმან“. შემდგომში სრულდებოდა „მრავალჟამიერ“, „სადღეგრძელო“, „მადლობელი ვარ“, „ამინ“, სუფრა მთავრდებოდა ღვთისმშობლისადმი ლოცვით, რაც ასევე საეკლესიო ტრადიციის ერში გადმოტანის ნიმუშია.

ქართულ სუფრაზე ყველაზე ხშირად მაინც „მრავალჟამიერი“ ისმოდა. ეს საგალობელიც წირვის ლიტურგიკულ განგებაში იღებს სათავეს. საინტერესოა, რომ ამ საგალობლით (ბერძნულად — „პოლიქრონიონ“) ლიტურგიაში ცოცხალ რეალურ პირებს — საეკლესიო და საერო იერარქიას მოიხსენიებენ. შესაძლოა, ეს მოტივიც ილბლიანად მიესადაგა ქართული სუფრის ტრადიციებს. ეს სიმღერა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ოდნავ ცვალებადი დასახელებით გვხვდება: გურიამი — „ბრევალო“, კახეთში — „მრავალუი“, სა-

მეგრელოსა და აჭარაში — „ჟამიელი“ და ა.შ.

ისევე, როგორც ეკლესიაში, სუფრაზეც სიტყვა „მრავალჟამიერი“ სამგზის გაიმღერება. გამონაკლისა ზოგიერთი გრძელი სუფრული „მრავალჟამიერი“ (ძირითადად — კახური), სადაც პოეტური ტექსტებიც უხვად გამოიყენება. არსებობს მოკლე, მისაღმების, დღევგრძელობის ფუნქციის „მრავალჟამიერები“: ციციანური, ერეკლე მეფის და ა.შ.

ღვთის დიდებით საქართველოში არა მარტო სუფრა იწყებოდა. „პირველად ღმერთი ვახსენოთ“ — ამ სიტყვებს დაამღერებდა გლეხი მუშაობის დანწყების წინ („ოროველა“), ასევე სხვადასხვა დღესასწაულის დროს ფერხულის ჩაბმისას. „დიდებას“ მღეროდნენ როგორც კაცები ხევში, ასევე ქალები კახეთში (ადრე კი ცხადია, მთელ საქართველოში). მსგავსი ფერხულები ადრე მამაკაცთა და დედაკაცთა მიერ ერთობლივად სრულდებოდა. საინტერესოა მოხეური „დიდება წმინდა სამებას“, რომლის მოტივზე შემდგომში ნაკლებად საპატიო ტექსტი „ქიზი ბოლოზე“ გაამღერეს.

ღვთის დიდების გარეშე არ შესრულდებოდა ეკლესიის ეზოში მოხეური ორსართულიანი ფერხული „გერგეტულა“, მეგრული „ხუჯიშ ოსხაპური“ (მხარული ცეკვა); ლაშარის წმინდა გიორგის ხატთან — თუშური ასევე სართულიანი ფერხული „ქორბეღელა“.

სუფრის დასაწყისში სვანეთში სრულდებოდა სიმღერა „ჯგრაგ“, რომელიც წმინდა გიორგის ეძღვნება. თუმცა მასში ასევე სულწმინდას მიმართავენ. მთიულეთში ყველაზე პოპულარულ სიმღერად ითვლება „ლომისური“, სადაც ასევე წმინდა გიორგისადმია მიმართვა. საქართველოს მფარველ ამ წმიდანს ეძღვნება მეგრული ხალხური სავედრებელი პარაკლისი, რომელიც, სხვათა შორის, ჯერ არ გამოქვეყნებულა. სამეგრელოშივე ბნელით დაავადებულებს ილორის წმინდა გიორგის ხატთან მიიყვანდნენ ხოლმე და ძალით აცეკვებდნენ ცეკვა-სიმღერა „ატლეჩოპას“ ფონზე.

ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებული მონივნება ჩანს კახეთში შრომის წინ მისდამი თხოვნით მიმართვის ჩვეულებაში, ლეჩხუმში, ხატარეშობის დღესასწაულზე „ღვთისმშობლის საგალობლის“ შესრულებაში (რაც დღეს აღარაა შემორჩენილი). იგივე ლეჩხუმში, უამინდობის დროს ცაგერის ღვთისმშობლის ხატს გამოაბრ-

ძანებდნენ და მდინარეში განაბანდნენ.

აქვე, კარგი დარის გამოთხოვის მიზნით წმინდა მაქსიმე აღმსარებელსაც მიმართავდნენ, რომელიც, გადმოცემით, ცაგერთანაა დაკრძალული.

ქრისტიანული სახელები გაისმის სიმღერებში „ლაზარე“, „ლაზარია“, „ელია“ (კარგი დარის გამოთხოვნა), „ბრძანა სოლომან მეფემან“ (ქართლკახური დიდაქტიკური ჟანრი), „ბარბალ დოლაშ“, „თარინგებლარ“, „ცხაუ ქრისდემი“ (სვანური ჰიმნები), „მთავარანგელოზის სიმღერა“ (რაჭის სოფელ ღარში), გურული „კალოს ხელხავი“ (მიქელ-გაბრიელის, წმინდა გრიგოლის, როგორც ბარაქას მომტანთა ხსენება) და სხვა. აღსანიშნია აღმოსავლურქართული „ჯვარის წინასა“ (ფშავში, მთიულეთში, თიანეთში, ქართლში, კახეთში), რომელიც განსაკუთრებული ინტენსიობით ბოლო დრომდე ფშავში სრულდებოდა. მას მაყრები ოჯახის კერიას ირგვლივ შემოტარებულ ნეფე-პატარძალს უმღეროდნენ სიტყვებით: „შენ ქრისტე ღმერთო, დასწერე ჯვარი“. სამწუხაროა, რომ არ შემოგვინახა შესაბამისი სადიდებელი სიმღერები დღესასწაულებმა მარიობამ (მარიამობა), თერდობამ (წმ. თეოდორე), ათენგენობამ (წმ. ათენოგენი) და ა.შ.

კაცს გული გტკივა, როდესაც ეცნობი ეთნოგრაფიულ მონაცემებს და ხედავ, თუ სხვადასხვა რიტუალის თანამდევნი რამდენი მუსიკალური ფაქტია დაკარგული საქართველოში. რას ვიზამთ, ისლა დაგვრჩენია, რომ სათუთად შევინახოთ დღემდე მოღწეული მუსიკალური ტრადიციები და კარგად გავიზაროთ მათი წარმომავლობა, ფუნქცია, მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობა და კეთილისმყოფელი თვისებები.

ჟურნალი „მუსიკა“ ამ პუბლიკაციით იწყებს რუბრიკას „გარდასახვები“, სადაც წარმოვაჩინთ ქართველი მუსიკოსების სხვა სფეროებში მოღვაწეობას, მათ ვატყობთ და ინტერესებს მუსიკის მიღმა. ეს რუბრიკა ჯერ კიდევ გვქონდა გაზეთ „მუსიკაში“, რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა. შეგახსენებთ რომ ამ რუბრიკით გამოქვეყნდა დირიჟორ რებო ტაკიძის პუშკინის პოეზიის თარგმანები, პიანისტისა და კომპოზიტორის მერაბ ჯაიანის მანდელშტამის თარგმანები, ანსამბლ „ორერას“ ნევრის ვახტანგ კუციას კარიკატურები და სხვ. ვფიქრობთ, ამ რუბრიკის აღდგენა საინტერესო იქნება ჟურნალის მკითხველისთვისაც.

ამჯერად ვთავაზობთ მუსიკისმცოდნის რუსუდან ქუთათელაძის თარგმანს ჩინურიდან (ლიუ-ყანდარელი კუანგვენთან ერთად), კერძოდ, ფუ სუნგლინის, ანუ ლიაოჭაის (1622-1715) მოთხრობას ნიგნიდან „ლიაოჭაი. მოთხრობები“ (2010). მოთხრობა შეირჩა მუსიკასთან დაკავშირებული თემატიკის გათვალისწინებით. ვთავაზობთ აგრეთვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის მანანა ტაბიძის რეცენზიას „დიდი კედლის გადაღმა“ ნიგნის შესახებ.

# ლიაოჭაი

## ბაყაყთა მღერა

ვანგ ძ'სიუან-სი\* უამბნია: „დედაქალაქს მინახავს კაცი ერთი. ზედ ქუჩაში აჩვენებდა საკვირველებათა, ოინებსა. თვალთმაქცობასა მართავდა. დაარონინებდა გვადრუს<sup>2\*</sup>: იყო გვადრუსში გალიაკი მრავალი. ჰქონდა თორმეტი ფოსო. თითო ფოსოში ჯდა ბაყაყი თითო-თითო. ოინბაზს ხელთ ეპყრა წკებლა. წკებლას მალიმალ ბაყაყთ თავს ჩაპყრავდა და იგინიც ხალისით მოჰყვებოდნენ ყიყინს. გააბამდნენ ბაყაყურს კილოზედ, ყვა-ყვა და ყვა-ყვა! ხოლო თუ მავანი და მავანი ფულს გარდუხდიდა, მიმოსი იგი მოუხშირებდა ბაყაყთ თავში ჩაკაკუნებას. და მყისეულად საკრავები დააგუგუნებდნენ, ვითარცა გონგი ღრუბელთ<sup>3\*</sup>: გაისმოდა ხმა, ვითარცა მემუსიკეთა დასისა, დასისა მესაკრავეთა. ჰანგი

ესე ჰგავდა არათუ ყიყინს ბაყაყურს, არამედ მუსიკას, ბგერათა მწყობრ ჟღერას. ხუთივე ბგერა<sup>4\*</sup> ხმიანობდა, ჟღერდა წმინდად. ბგერა თითოეული, კუნ-იც და შან-იც<sup>5\*</sup> იყო იმგვარად სუფთა, იმგვარად ანკარა, წმინდა, ვითარცა მუსიკა ტემპარითი.

განმარტებანი:

- 1\* ვანგ ძ'სიუან-ი — მწერლის შეთხზული პიროვნება
- 2\* გვადრუსი — ყუთი ხისა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
- 3\* გონგი ღრუბელთა — ჩინური საკრავი. გამოიყენებოდა რიტუალურ ცერემონიებში. აქვს ხის ჩარჩო,





ან თვითრეკლამას, არ საუბრობენ თავიანთ გეგმებზე, მიგრაციის მოტივაციაზე, უბრალოდ ცხოვრობენ და ჩუმი ფუსფუსებენ თავისი სპეციფიკური, მეტაფიზიკური სიღინჯით, სოციოკულტურული იზოლაციონიზმით... ჩვენ ვგრძნობთ, რომ გვინდა ვიცნობდეთ ამ ხალხს, ამ ქვეყანას, მასთან ურთიერთობის პერსპექტივებს. და აი, ამ ნაცნობობის გზაზე ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც გამოქვეყნდა „მერიდიანმა“ 2010 წელს გამოსცა წიგნი, რომელიც ამ სტატიის დანერის სტიმული და ობიექტი გახდა. ამ გამოცემაში ჩინური ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის ფუ სუნგლინის, ანუ ლიაოჭაის (1622-1715) შემოქმედების გარკვეული ნაწილია თავმოყრილი.

ჩინურ ლიტერატურას, და საერთოდ კულტურას, ასე თუ ისე ვიცნობთ, მაგრამ ეს ნაცნობობა აქამდე მეტისმეტად „ტრანზიტული“ იყო, ჩინური ლიტერატურა ქართველ მკითხველთან მოღწევამდე სხვადასხვა ენობრივ მასალაში გაივლიდა, იქ ადაპტირდებოდა და ჩვენთან მხოლოდ სხვის ნიადაგზე გადანერგილი, პირველწყაროსთან კავშირდაკარგული, სხვა გარემოსთვის ადაპტირებული სახეცვლილი ნაყოფი აღწევდა ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ ჩვენთვის სახელებისა და ამა თუ იმ ტრადიციის უცნაურობის გარდა, ძნელი გასარჩევი იყო, რა იყო საკუთრივ ჩინური და რა სხვაენოვანი სამყაროს კუთვნილება (მაგ., რუსულის, ინგლისურის...). და აი, პირველად მოხდა, რომ ჩინური მწერლობა ჩვენ პირდაპირ ჩინური და ქართული ენობრივ-კულტურული შეხვედრის შედეგად გავიცანით. ეს პირდაპირი შეხვედრა თბილისში შედგა, ორი მშვენიერი და ნიჭიერი ქალბატონის, დეიდაშვილების, რუსუდან ქუთათელაძისა და ლიუ-ყანდარელი კუანგვენის ლიტერატურულ სალონში; ქალბატონი ლიუ-ყანდარელი კუანგვენი ქართველიცაა და ჩინელიც, ის არა მარტო ენობრივად იგებს სათარგმნ ტექსტს, არამედ გრძნობს კიდევ მას, ხოლო მხატვარ-მუსიკოსთა რჩეული გენეტიკის მატარებელი ქალბატონის – რუსუდან ქუთათელაძის ქართულ გულსა და გონებას ჩვენი ენის ყველა ნიუანსი ესმის და სიტყვის საღაროდან ყველაზე ზუსტი გემოსა და ელფერის მასალის არჩევის უნარი გააჩნია; აი, ასეთი ადამიანების ღვნითა და შთავგონებით იშვა ეს არაჩვეულებრივი თარგმანი.

უკვე წიგნის გარეკანიდან გრძნობ, რომ ყველაფერი, რასაც წაიკითხავ ნატიფი სტილით იქნება გადმოცემული, იქნება წარსული, ეგზოტიკური, არქაული, უცხო, მაგრამ თავისი ზოგადკაცობრიული არსით ესოდენ ახლობელი...

XVII საუკუნის ჩინელი მწერალი ფუ სუნგლინი საუკეთესო ნოველისტი, მეზღაპრე და მეიგავა, რომლის შემოქმედებამ გავლენა მოახდინა მის თანამედროვეებზე, გაუძლო დროსაც და თანამედროვე ჩინეთისთვისაც უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ სიმდიდრედ დაჩნდა. ფუ სუნგლინის, ანუ ლიაოჭაის ნაწარმოებების ქართულად თარგმნას უდავოდ აქვს მნიშვნელობა ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვისაც, რამდენადაც იგავური მწერლობა ჩვენშიც ამ დროს განიცდის განსაკუთრებულ აღმავლობას სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში (1658–1725) და შეიძლება ამითაც იხელმძღვანელებს მთარგმნელებმა, როდესაც ლიაოჭაის იგავების მოსაქართულებლად და ეპოქის სულის გადმოსაცემად სწორედ სულხან-საბას ლექსიკონი მოიმარჯვეს. საერთოდაც, მთარგმნელთა კონცეფცია არა მხოლოდ ადეკვატური თარგმანის განხორციელებას ისახავს მიზნად, არამედ მთელი დისკურსის დაცვასაც. მაგალითისათვის თუნდაც მხოლოდ რუსუდან ქუთათელაძისა და ლიუ-ყანდარელი კუანგვენის მიერ საკუთარი სახელების ტრანსკრიპცია-ტრანსლიტერირების პრინციპი უნდა დავასახელოთ: მონასტერი წინა (ტოპონიმი), ბატონი ჭაო, იანგკოუ, ძანიუის სიმღერა და ა.შ. ქართული აბრუპტივების (ე.წ. კავკასიური მკვეთრების) მოსმენა-დანახვა ჩინურ კონტექსტში ქვეცნობიერად სოლიდარულობის განცდას იწვევს. თვით ფუ სუნგლინის ფსევდონიმი ლიაოჭაი „ჭ“ ბგერის წყალობით თავისებურად მომშობლიურდა და ამ ერთმა ფონემამ შორეული ჩინეთი საგრძნობლად მოახლოვა ჩვენთან არა ფიზიკურად, რაც დღეს, ტექნიკური პროგრესის არნახული განვითარების პირობებში პრობლემას არ წარმოადგენს, არამედ კულტურულად, რაც ყველა ეპოქისათვის, მათ შორის ამჟამინდელისთვისაც, ურთულესი საქმეა.

ლიაოჭაის 500-მდე ნაწარმოებიდან ჩვენ წინაშე მხოლოდ 36. როგორც მთარგმნელები მიუთითებენ, მათ არჩევანი ძირითადად შეაჩერეს ქრესტომათიულად

მიჩნეულ ეგზეგეზარებზე, რომელთა რაოდენობაც ჩინურ რიცხვით საკრალიზაციას მიუსადაგეს. როგორია ეს ნოველები და იგავები? ძირითადად სხარტი, ხალხური ინტონაციისა, სადა, მორალის შემცველი...

მაგალითისათვის ერთს დავასახელებთ – „დანინაურებისათვის ბოძებული წლები“, ამ პანია იგავში იმ კაცის ამბავია გადმოცემული, რომელმაც ავკაცობით მოიპოვა წარმატება, და რამდენადაც წარმატებისაკენ მის დაუცხრომელ ლტოლვას საზღვარი არ ჰქონდა, მისანს მიაკითხა, დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობის დასადგენად. მისანმა აუხსნა, რომ მანამ იცოცხლებდა, ვიდრე გარკვეული რაოდენობით ბრინჯსა და ფქვილს არ შეჭამდა. გამოთვალა ავკაცმა ამ პროდუქტების ჭამას რამდენ დროს მოანდომებდა და გულმშვიდად განაგრძო ბოროტი საქმეების კეთებით „დანინაურების ძიება“. მისი გამოთვლებით, წინ ხომ დიდი სიცოცხლე ელოდა. მაგრამ სულ მალე გაუმადლობის სენი მოერია, ჭამდა და ვერ ნაყრდებოდა, სულ მოკლე ხანში ამონურა მთელი სასიცოცხლო ულუფა და მოკვდა კიდევ... როგორი აქტუალური, გონივრული იგავია, დამეთანხმებით, მართლაც ქრესტომათიულობითაა აღბეჭდილი. ასეთი ადვილად აღსაქმელი, ბრძნული და მორალისტურია მთელი კრებული. ახლა იმასაც თუ ვა ვითვალისწინებთ, რომ მთარგმნელთა წყალობით XVII საუკუნის ქართველის თვალთაც დავხედავთ XVII საუკუნის ჩინეთს და მისნის წინასწარმეტყველებასაც მივაყურადებთ, როდესაც ის იტყვის: „შენ კიდევ შეძლებ შეჭამო ბრინჯი ოცი ტან-ი, იქელი ორმოცი ტან-ი...“ (დიახ, იქელიო!), განსაკუთრებით ვიგრძნობთ, რომ დრო და სივრცე პირობითობაა. აზრს, თუკი იგი გონივრულია, ვერ დააკავებ ვერც დიდი კედლის გადაღმა და ვერც ისტორიის წიაღში.

თარგმანს, ჩვეულებრივ, დიდი და ძნელი მისია აკისრია:

- ა) მოიტანოს ინფორმაცია;
- ბ) მოიტანოს განწყობა;
- გ) მოიტანოს ესთეტიკა;
- დ) „მოამინაუროს“, მიმღებისთვის გასაგები გახადოს უცხო სამყაროსა და ენის თავისებურებები;
- ე) უცხო მასალას შეუნარჩუნოს ეკვოტიკურობა;
- ვ) შეინარჩუნოს დედნის ეპოქის სულიკვეთება



„მიმღებ“ გარემოში;

ზ) გაითვალისწინოს „მიმღების“ ლინგვოკულტურული ნორმები;

თ) მოძებნოს ოქროს საზღვარი „მოსულისა“ და „მიმღების“ კავშირში...

ამ ამოცანას ლიაოჭაის მთარგმნელებმა საუკეთესოდ გაართვეს თავი. ეს წიგნი ამიერიდან ქართულ-ჩინური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს, როგორც უშუალოდ ჩინურიდან ქართულად თარგმნის პირველი ნიმუში. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ქრონოლოგიურად გამორჩეული ნამუშევარი. აქ მთარგმნელობითი აზროვნების კონცეპტუალური მიდგომაა შემოთავაზებული; ამ კონცეფციის მიხედვით, თარგმანმა უნდა გაიმეოროს დედნის ეპოქა, ამ ეპოქის საზოგადოების სოციალური კლასებისა და ფენების საყოფაცხოვრებო, ასაკობრივი, ტრადიციული თავისებურებები, ენობრივი ფაქტურა უნდა გამოირჩეოდეს დისკურსული მგრძნობიარობით და სტილის გრძნობით. მთარგმნელები პირველივე სიტყ-



ვებიდან იწყებენ ეპოქასთან მიახლოებას და ეს თავს იჩენს არა მარტო თარგმნილ ტექსტში, არამედ წინასიტყვაობაშიც, სარედაქციო ჯგუფზე საუბარშიც, უშუალოდ მთარგმნელთა კომენტარებშიც... (ამ რიგისაა თუნდაც შემდეგი მაგალითები: „...აღვნიშნოთ ღვანლი ბ-ნი როსტომ ჩხეიძისა, ვინც დედანში წაიკითხა თარგმანი...“ ან: სასიამოვნო ვალდებულებად მიგვაჩნია გულწრფელი მაღლიერებით აღვნიშნოთ: „მხატვარ-კალიგრაფი ..., ქალბატონი მარიამ ნიკლაური-ძიძიგური – პოეტურ პნკართა რედაქტირებისათვის... თითოეული აქ დასახელებული პიროვნების წინაშე თავს მდაბლად ვხრით...“ და სხვ.).

ეს სტილი, ესოდენ შესაფერისი თვით თარგმანის საგნისათვის, წიგნის თანამდევნი აღმოჩნდა თავიდან ბოლომდე.

თარგმანი მუდმივი არჩევანის წინაშე გვაყენებს, სიტყვათა, ფრაზათა, ფორმათა მრავალფეროვნებიდან ყველაზე ზუსტის, ყველაზე შესაფერისის, მიმღებისათვის ყველაზე მორგებულისა და სათანადო ექსპრესიულობის შემცველის შერჩევას მხრივ.

თავად მთარგმნელები მსჯელობენ ენობრივ საკითხებზე, რამდენადაც ესოდენ განსხვავებული კულტურული სივრციდან მხატვრული ტექსტის გადმოტანა უბრალო ტრანსპორტირება ვერ იქნება, ეს დიდი მოგზაურობაა, ბევრ ფიქრთან, ყოყმანთან, ემოციურ ქვეტექსტებთან დაკავშირებული... ამ მსჯელობიდან კარგად ჩანს, რამდენი სიტყვა და ფრაზა მოსინჯეს, რამდენ ლექსიკონში ჩაიხედეს, რამდენ ენაში შეამოწმეს თავიანთი არჩევანის ოპტიმალურობა. და თუმცა რ. ქუთათელაძე და ლიუ-ყანდარელი კუანგვენი პროფესიონალი ლიტერატორები და მთარგმნელები არ არიან (ჩვენ საქართველოში ჯერ არც გვყავს ჩინური მხატვრული ლიტერატურის დედნიდან პროფესიონალი მთარგმნელები), მაგრამ ისინი კულტურის სფეროს ემსახურებიან და მნიშვნობარი ადამიანები არიან, ამიტომაც მიაღწიეს თარგმნისას ასეთ ხარისხს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიაოჭაის ამ კრებულის მთარგმნელ-შემდგენლებს თარგმნის დიდი ალღო და ნიჭი გამოაჩნდათ, თუმცა მარტო ამ ალღოს ხარჯზე არ უმუშავიათ; მათ შეისწავლეს ლიაოჭაის მოღვაწეობის ეპოქა, დეტალურად გაიაზრეს იმავე დროის ქართული

სინამდვილე (ამიტომაცაა, რომ ყველაზე ხშირად საბას მიმართავენ) და ჩვენც შევყავართ იქ, სადაც „დიდი კედლის გადაღმა მრავლადა გვარობს ირემი“, სადაც „დასავლეთის ნიავ-ქარი ცივ-ცივ ნაკადს მომიქროლებს“ და სადაც სტუმარ-მასპინძლობა, უფროს-უმცროსობის წესი, ბუნებასთან ადამიანის უმჭიდროესი კავშირი ისევე მყარი და თვალსაჩინოა, როგორც იმავე საუკუნეების საქართველოში. ამიტომაც ირგებს XVII-XVIII საუკუნეების ქართული ლიაოჭაის ენაში გადმოცემულ ფრაზოლოგიასა და სიმბოლოებს (მაგ.: „იმრიგად ხშირი, ისე უხვია ღვარი ცრემლთა ჩემთა“, ან: „ხედავს ჭარმაგი მოხუცი გამოეგება, ჭალარამერთული, თავსაბურავი, ტანსაცმელი ფრიად სუფთაა“, ან: „შეყოვნდა, გაიარ-გამოიარა, ჭოჭმანობს, არ უწყის რარივ მოიქცეს.“, „ერთი ეს მიბრძანეთ, საიდან მობრძანებულხართ, სტუმარო ჩემო“ და სხვ.).

თანამედროვე მსოფლიო ადამიანთა უდიდესი მიგრაციებით ხასიათდება. ჩინელებიც დაძრულნი არიან სამოძრაოდ... ოდესღაც საქართველოში ასეთი გამოთქმა არსებობდა „ჩემთვის ჩინურივითაა“ ანუ სრულიად უცხოა, გაუგებარია, შორეულიაო... ახლა ეს მანძილი დამოკლდა, შეხვედრა გარდაუვალი გახდა, ამ გარდაუვლობას ჩვენ მომზდებულნი უნდა შევხვდეთ, სამოქმედო ორიენტირად კი რუსთველის მიერ ჩინეთში („ჩინს“) ქვაზე ამოკითხული სიბრძნე უნდა მოვიმარჯვოთ: „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:/ ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“; ლიაოჭაის ქართული თარგმანი ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მოყვრის ძეხვის გზაზე.



დიდი მომღერლის ხსოვნის საღამო, რომელიც აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის დარბაზში გაიმართა, დაიწყო სიმღერის „სანაპიროზე“ ვიდეოჩანაწერით (მუსიკა ა. კერესელიძის, ტექსტი მ. ქვლივიძის): ტალღებში მოცურავე ნავში დგას ჭაბუკი ზურაბ ანჯაფარიძე და მღერის დუეტს ნავში მჯდომ ზურაბ რცხილაძესთან ერთად. აქ აგრეთვე ზის მაშინ ასევე სრულიად ახალგაზრდა გოგონა, ცნობილი სოხუმელი ექიმების ოჯახის წარმომადგენელი – ლამარა შუბითიძე. სწორედ ამ სიმღერის პირველი სტრიქონები – „სოხუმის ნაპირს მოადგა ტალღა“ – მიუსადაგეს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მესვეურებმა 2012 წლის 12 აპრილს შემდგარ საღამოს.

დრო ჭეშმარიტ ფასეულობებს და ხალხის სიყვარულს ვერაფერს დააკლებს. ეს საღამო ამის დასტური გახლდათ. ვიდეოჩანაწერებმა, პერიოდულად რომ გასდევდა მოვლენათა განვითარებას, კიდევ ერთხელ გვაზიარა ზურაბ ანჯაფარიძის განუმეორებელი შემოქმედების მადლს. მისი ხმის ტემბრი, დიაპაზონის სივრცე,

# განუგებორობები

ზურაბ ანჯაფარიძის დაბადებაც და გარდაცვალებაც ბედისწერის შეუქცევად გარემოებებთან არის წილნაყარი. 12 აპრილს დაიბადა და 12 აპრილსვე აღესრულა! ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება, ეს საკრალური ნიშანია – განგებამ კაცობრიობას მოუვლინა სიმღერის ფენომენი, ყველასაგან გამორჩეული ხელოვანი, რომელმაც გამოანათა, გაიბრწყინა, განაცვიფრა სამყარო და ასეთივე გაელვებით გადაინაცვლა სამარადქამო სასუფეველში. მას ვერავინ შეცვლის, იგი განუმეორებელია.

აპრილის იმ დღეებში თბილისის ქუჩებს ამშვენებდა გემოვნებით შედგენილი აფიშები, საიდანაც ზურაბ ანჯაფარიძის არა მხოლოდ გარეგნული, არამედ შინაგანი სილამაზის მოჭარბებული სიბლი გვაკვებდა ბოლომდე.

ფრაზის მოქნილობა და მუსიკალურ ქსოვილში იმდაგვარად შეღწევა, რომ უმნიშვნელო ნიუნსიკ კი არასდროს იყო უგულებელყოფილი, ჩანაწერების შებლდულ დროშიც კი მთელი თავისი სრულყოფილებით გამოვლინდა.

აბესალომი ზურაბ ანჯაფარიძის მიღწევათა ნუსხაში უცილობელი ფავორიტია. ეს მით უფრო საგულისხმოა, ვინაიდან აღიარებულია, რომ აბესალომის პარტია ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილის შემოქმედების მწვერვალია. თითქმის შეუძლებელია, ასეთ დროს გენიალური წინამორბედის ჩრდილქვეშ არ აღმოჩნდე ან მისი ზეგავლენისაგან გათავისუფლდე. ეს არათუ მოახერხა ზურაბ ანჯაფარიძემ, არამედ თვისობრივად განსხვავებული, მის ინდივიდუალობიდან აღმოცენებული აბესალომის ტრაგიკულ-რომანტიკული ვოკა-



ზურაბ ანჯაფარიძე ბერმანის როლში

ლურ-სცენური სახე შექმნა. თუ როგორ „მეტოქესთან“ უწევდა „პაექრობა“ ზურაბ ანჯაფარიძეს, ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამონარიდი 1989 წელს მოსკოვში გამოცემული ა. მელიქ-ფაშაევის წიგნიდან, რომელიც ეძღვნება მამამისს, მსოფლიო სახელის მქონე გამოჩენილ დირიჟორს ალექსანდრე მელიქ-ფაშაევს, რომლის შემოქმედებითი კარიერა დაიწყო თბილისის საოპერო თეატრში, 1920-იან წლებში: „თეატრში მამაჩემის უფროსი მეგობარი იყო განთქმული მომღერალი ვანო სარაჯიშვილი. ვანო დაჯილდოებული იყო ამაღლევებელი სილამაზის ტენორით, დახვეწილი მუსიკალურობითა და იმდენად მომაჯადოებელი სცენური ხიბლით, რომ თავისი ცხოვრების ბოლოსაც კი, როდესაც მას მოსმენილი ჰყავდა მსოფლიო მასშტაბის არაერთი მომღერალი, მამაჩემს უხელოდებოდა დაეყენებინა ვინმე მის გვერდით.“ ეს პუბლიკაცია ჩვენმა სახელოვანმა მუსიკისმცოდნემ გულბათ ტორა-

ძემ გამოაქვეყნა ახლახან გამოცემულ მრავალმხრივ საინტერესო წიგნში – „მუსიკის სამყაროში“. ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნის საღამოზე ბატონმა გულბათმა ხატოვანდ, როგორც მას საერთოდ სჩვევია, მოგვითხრო მისი თანაკლასელისა და ბავშვობის მეგობრის „ფათერაკებით“ აღსავსე ეპიზოდებზე, თუ როგორ რთულად შემოაღწია მან მუსიკის სფეროში და იმ გამაოგნებელ შთაბეჭდილებებზე, შემდგომ უკვე სახელგანთქმული მომღერლის თავბრუდამხვევ კარიერას რომ ახლდა თან.

ქართველ კომპოზიტორთა საოპერო ქმნილებებში ზურაბ ანჯაფარიძის მონაწილეობა მუდამ სადღესასწაულო განწყობას ბადებდა. მათ შორის, აბესალომთან და მალხაზთან ერთად, გამოირჩეოდა მინდია ოთარ თაქთაქიშვილის ამავე სახელწოდების ოპერაში. ამ ბრწყინვალე ნაწარმოების განსაკუთრებული წარმატება და მისი სამოღვაწეო არეალის გაფართოება ზურაბ ანჯაფარიძის უბადლო სიმღერასა და აქტიურულ შესრულებასაც უნდა დავუკავშიროთ. აქ კიდევ ერთხელ მინდა მივმართო გ. ტორაძის წიგნიდან ოთარ თაქთაქიშვილის ფრაზის ციტირებას: „ზურიკო მღერის უფრო კარგ მუსიკას, ვიდრე მე დავწერე“. მომღერლის უკეთესი შეფასება წარმოუდგენელია.

გარდა იმისა, რომ ზურაბ ანჯაფარიძე სრულიად განსხვავებული მანერის მომღერალი იყო, იგი უჩვეულოდ არტისტული ნატურა გახლდათ. საღამოზე წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერებიდან, ამის შესახებ აუდიტორიას ხაზგასმით განუცხადა თანამედროვეობის გამორჩეულმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ: „ჩემთვის ზურაბ ანჯაფარიძე დარჩება, როგორც დიდი მსახიობი“ — ბრძანა მან და ვინც იცნობს ბატონ გიგას, დამეთანხმება, რომ შეფასებაში, ისევე როგორც როლების განაწილებაში, მას ბადალი არ ჰყავს.

ისე არ გამომივიდეს, თითქოს ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედების ქვაკუთხედი მხოლოდ ქართული მუსიკა და ქართული ხასიათებია. მისი სიდიადე მომღერლის რეპერტუარის უკიდევანო მრავალფეროვნებაშია. ძნელი წარმოსადგენია, რომ აბესალომს, მალხაზს, მინდიას, ბერდოს, ბერუჩას და ქართველ კომპოზიტორთა სხვა პარტიებს რომელიმე ქვეყნის მომღერალი უკეთესად გაართმევს თავს. ასევე სკაპტიკურად იქნებიან



განწყობილი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც საპირისპირო შემთხვევებისას. თუმცა, გავბედავ და ვიტყვი, ზურაბ ანჯაფარიძის ფენომენმა ეს კანონზომიერება დაამსხვრია – მისი გერმანი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“) თვით რუსებმა აღიარეს საუკეთესოდ. მხატვრული ფილმის გადასაღებად გამართულ უძმაფრეს კონკურსში, სადაც რუსული ვოკალური სკოლის ყველაზე ტიტულოვანი წარმომადგენლები მომანილოებდნენ, გერმანის პარტიის გახმოვანება ქართველ მომღერალს მიანდეს. ეს ხომ უპრეცედენტო შემთხვევაა!

ცალკე საუბრის თემაა ზურაბ ანჯაფარიძე – პარტნიორი. დიდი მომღერლის ამ საოცარ თვისებებზე ისაუბრა საქართველოს სახალხო არტისტმა თამარ გურგენიძემ: სცენაზე მის გვერდით ყოფნა ყველასათვის, განსაკუთრებით კი დაძმეები მომღერლებისთვის საიმედო საყრდენი და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის გარანტი იყო. საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი ჩვენი სათაყვანებელი ზურაბ ანჯაფარიძის თითოეული ყესტი, უბრალო გამოხედვაც კი, მიმართული გახლდათ მხოლოდ თავისი პარტნიორისკენ. ერთი შემთხვევა კი, რის შესახებაც აუდიტორიას მისთვის ჩვეული იუმორით მოუთხრო რეჟისორმა ვიზო ჟორდანიამ, ალბათ თეატრალურ კურიოზთა გინესების წიგნშია შესატანი: მოსკოვში საგასტროლოდ წაღებული სპექტაკლის „მინდიას“ ჩვენების წინ, მოულოდნელად ავად გახდა მედეა ამირანაშვილი. სასწრაფოდ მოძებნეს მეორე შემსრულებელი ოლღა კუმნეცოვა. სპექტაკლი დაიწყო. მოახლოვდა მინდიასა და მზიას დუეტის სცენა. ოლიამ პირი გააღო და ხმა არ ამოუვიდა. ზურიკომ სწრაფად შეატრიალა დათრგუნული მომღერალი და ორივე პარტია თვითონ იმღერა. იქვე, იმპროვიზაციულად დაიბადა სრულიად უჩვეულო, უცნაური ინტონაციებით გაჯერებული, ვიტყვოდი ფანტასტიკური გადაწყვეტა. მაყურებელი დაიბნა, ბოლომდე ვერავინ მიხვდა, რაში იყო საქმე. ამგვარ სიტუაციიდან „მშრალად“ გამოსვლა მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ. ასეთი სანატრელი პარტნიორი იყო ზურაბ ანჯაფარიძე!

ზურაბ ანჯაფარიძე, როგორც ადამიანი, მთელი საღამოს მიმდინარეობას ლაიტმოტივად გასდევდა. თითოეული გამომსვლელი – ხელოვნების სფეროს

წარმომადგენელი თუ მომღერლის შემოქმედების თავ-ვანისმცემელი რიგითი მაყურებელი, გეაღმატებულად იგონებდა მის ნათელ პიროვნებასთან შეხვედრის დაუვინყარ წუთებს. ბატონმა გია ჭირაქაძემ გაიხსენა მოსკოვში, 1957 წელს, სტუდენტთა და ახალგაზრდობის ფესტივალზე გამოსვლისას ერთად ყოფნა: ისეთი კეთილგანწყობა, რასაც ზურაბ ანჯაფარიძე ავლენდა ყველა მოწინააღმდეგის მიმართ, იყო სამაგალითო და სხვა დროს ასეთი სიტბო არავისგან არ მიგრძენია. თვითონ ბრწყინვალე ვოკალისტი, სრულიად ახალგაზრდა გოგი დოლიძეზე ამბობდა – აი, ეს არის სიმღერაო. სიყვარულის უზარმაზარი ნიჭით იყო დაჯილდოებული, რაც გამოწკლისთა ხვედრია.

კონცერტმაისტერ დარეჯან მახაშვილის გაცისკროვნებულ მოგონებებში გამოსტვივოდა მონივნება და ბედნიერების განცდის გრძობა, ასეთი მასშტაბის მოღვაწესთან და დიდ პიროვნებასთან პროფესიული ურთიერთობის გამო. გაიხსენა მასთან ერთად, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ რომ განახორციელა ჩაიკოვსკისა და რახმანინოვის რამდენიმე რომანსის ჩაწერა, რომელიც დღეს საქართველოს რადიოს ოქროს ფონდშია შესული. ზურაბ ანჯაფარიძისგან მიღებული კამერული მუსიკის სიყვარულის ტრადიციას დღეს ის ახალგაზრდებს უზიარებს. ამის დასტურად დარეჯანმა სოხუმელ ახალგაზრდა მომღერალ სალომე ჯიქიასთან ერთად, ოთარ თაქთაქიშვილის რომანსი „მშეო თიბათვის“ შეასრულა.

საღამოში მონაწილეობა ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ქუთაისის მე-3 და მარტვილის სკოლების წარმომადგენლებმაც მიიღეს. პირველი მათგანი წარმოადგინა მე-6 კლასის კლარნეტისტმა ნოდარ მდივანმა, რომელმაც ვირტუოზულად შეასრულა ასტორ პიაკოლას პიესა, ხოლო გვიად ხუხუამ შთამბეჭდავად იმღერა ჩალხიას ბალადა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერიიდან „მინდია“.

ცნობილმა ქველმოქმედმა გურამ ქაშაკაშვილმა, რომელმაც დააარსა ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ფონდი, განაცხადა, რომ მას თავისი საყვარელი მომღერლის ყველა პარტია აქვს მოსმენილი და მისი უნიკალური ხმის შედარება მხოლოდ ძვირფას ლითონებთან – პლატინასა და ოქროსთან შეუძლია. ზურაბ ან-

ჯაფარიძის კომპაქტდისკის გამოცემა უმცროსი ზურაბ ანჯაფარიძის თხოვნის საფუძველზე განხორციელდა.

სითბო და სიყვარული იღვრებოდა სოხუმელი მწერლის, სახელმწიფო და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატის, თემურ ჩხეიძის გახმაურებული სპექტაკლის – „ზღვა, რომელიც შორია“ – ლიტერატურული ტექსტის ავტორის, დრამატურგ გურამ ოდიშარიას და აფხაზეთის ფეხბურთი ფედერაციის პრეზიდენტის მურად ანჯაფარიძის გამოსვლებში.

საღამოს მიმდინარეობას ლაზათი შემატეს თეატრ „თეტრი ტალღას“ მსახიობებმა: ხატია ხარებავამ, ჯაბა ჯანაშიამ, თამთა შამათავამ, თორნიკე ბელთაძემ. განსაკუთრებით გამოვყოფ ამ თეატრის ხელმძღვანელს, საქართველოს სახალხო არტისტს გიორგი რატიანს, რომელმაც შთაგონებითა და ექსპრესიით წაიკითხა ერთ-ერთი ნიმუში შოთა ნიშნიანიძის პოეზიიდან.

საღამოს პროფესიული დახვეწილობითა და ტაქტით უძღვებოდა მუსიკისმცოდნე თამარ წულუკიძე.

ქართული ვოკალური სკოლის სიამაყე ზურაბ ანჯაფარიძე მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალია, პირველია და დღესდღეობით ერთადერთი საოპერო მომღერალთა შორის, რომლის სახელობის ვარსკვლავი საერთაშორისო ორგანიზაცია „კოსმოსი და დედამიწის“ გადანაცვეტილებით ცის კაბადონზე კიაფობს.

სანამ იარსებებს საოპერო ხელოვნება და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომლის სკვერშიც მიუჩინა ქართველმა ხალხმა თავის უსაყვარლეს მომღერალს სამარადუამო განსასვენებელი – გაქარია ფალიაშვილთან, ვანო სარაჯიშვილთან და ოდიხე დიმიტრიადისთან ერთად, ზურაბ ანჯაფარიძის სახელს დავინყება არ უნერია!..

ახალგაზრდებმა ნაკლებ იციან, ალბათ, მაგრამ უფროს თაობას კარგად ახსოვს შესანიშნავი მუსიკოსებისაგან შემდგარი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს კვარტეტი, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გასული საუკუნის 70–80-იან წლებში გამოვიდა: ლევან ჩხეიძე, მოგვიანებით კი ვია მელიქიშვილი (I ვიოლინო), ვია ხინთიბიძე (II ვიოლინო), არჩილ (ტატო) ხარაძე (ალტი) და რეზო მანაბელი (ჩელო). თითოეული მათგანი მაღალი რანგის მუსიკოსია. ბევრს ახსოვს მათი შემოქმედებითი წარმატებები, კონცერტები... მაგრამ, საქართველოში 90-იან წლებში მიმდინარე მოვლენებმა, უმძიმესმა პოლიტიკურ-სოციალურმა ვითარებამ, როგორც არაერთი სხვა მუსიკოსი, ისინიც იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყვნენ. მას შემდეგ არაერთმა წელმა განვლო და აქამდე არ მოგვცემია შესაძლებლობა არც მათი მოსმენის და არც კვარტეტის რომელიმე წევრთან გასაუბრების.

ახლახანს თბილისს ეწვია კვარტეტის ერთ-ერთი წევრი, ალტისტი არჩილ (ტატო) ხარაძე. შესაძლებლობა არ გავუშვით ხელიდან და გავესაუბრეთ მას.

ვფიქრობთ, ქართული კვარტეტის ემიგრაციაში მოღვაწეობის ისტორია, მათი წარმატებები უცხოეთში, ჟურნალ „მუსიკის“ მკითხველისათვის საინტერესო იქნება.

ინტერვიუს უძღვებოდა მუსიკისმცოდნე მზია ჯაფარიძე

# ქართული კვარტეტის ემიგრანტული ისტორია

მზია ჯაფარიძე — ზოგმა არც კი იცის, ზოგს კი დავიწყებული აქვს თქვენი შესანიშნავი კვარტეტი, მისი წევრები. ურიგო არ იქნებოდა შეგვეხსენებინა ჟურნალ „მუსიკის“ მკითხველისათვის თქვენი კვარტეტის შექმნის ისტორია და ის პერიოდები, რომლის გამოც მოგინათ საქართველოდან ემიგრაცია.

არჩილ (ტატო) ხარაძე — ჩვენ ჩამოვყალიბდით 1979 წელს. ამის სტიმული იყო სიმბაზნი კვარტეტების | საკავშირო კონკურსი, რომელიც თბილისში ჩატარდა, მანამდე კი ჩვენი კვარტეტის ყველა წევრი სახელმწიფო კამერული ორკესტრის წევრი იყო. ჩვენ ამ კონკურსისთვის შევიკრიბეთ და ასე შეიქმნა ჩვენი საკვარტეტო კოლექტივი. კონკურსის პირობა ასეთი იყო — ვინც

აიღებდა | პრემიას, ის კოლექტივი შემდეგ გაემგზავრებოდა საფრანგეთში, ქ. ევიანის სიმბაზნი კვარტეტების საერთაშორისო კონკურსზე. ჩვენ | პრემია მოგვანიჭეს და 1980 წელს გავემგზავრეთ საფრანგეთში, სადაც ავიღეთ II გრან-პრი (სულ ორი გრან-პრი იყო I და II-ე). იქ ასეთი ინციდენტი მოხდა. სწორედ ამ პერიოდში, სსრკ-ს ჯარები ავღანეთში შეიჭრნენ, ამიტომ ჟიურის ინგლისელი წევრები კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენი კონკურსში მონაწილეობის, უნდოდათ რომ პროტესტის ნიშნად ჩვენ დაგვეტოვებინა კონკურსი, როგორც სსრკ-დან წარდგენილ კოლექტივს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც პირველი ტურის შემდეგ გამოჩნდა, რომ | გრან-პრის კანდიდატები ვიქნებოდით, მაგრამ, ჟიურის თავმჯდომარემ, ცნობილმა ფრანგმა





არჩილ(სასო) ხარაძე

კომპოზიტორმა და ორგანისტმა ჟან-ივ დანიელ-ლე-სიურმა (სხვათა შორის, იგი იყო ოლივიე მესიანის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე) წინააღმდეგობა გაუწია ინგლისელ ჟიურის წევრებს და ჩვენ განვაგრძეთ კონკურსში მონაწილეობა. ინგლისელი ჟიურის წევრები მთელი კონკურსის მანძილზე არაკეთილგანწყობილი იყვნენ, რაც აისახა კიდევ მათ შეფასებებში. | გრან-პრი ამერიკულმა კოლექტივმა მიიღო. მათ მოგვილოცეს წარმატება და თუ პატივმოყვარეობაში არ ჩამითვლით, გეტყვით იმასაც, რომ ამერიკელებმა მოგვიბოდიშეს კიდევ — | გრან-პრი თქვენ გეკუთვნოდა და ჩვენ მოგვანიჭესო. ეს ნამდვილად ასე იყო. საფრანგეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, 80-იან წლებში, ტელე-რადიოს კომიტეტმა და მისმა თავმჯდომარემ, ბ-მა ნუგზარ ფოფხაძემ შემოგვთავაზა გავმხდარიყავით საქართველოს ტელე-რადიოს კვარტეტი, რასაც სიამოვნებით დავთანხმდით.

**ვანობას ეწოდნენ: ხდებოდა საფონდო ჩანაწერების მომზადება, სრულდებოდა ახალი ქართული მუსიკა, გამოდიოდა ფირფიტები, სამწუხაროდ, დიდი ხანია ამ ფუფუნებას მოკლებულნი ვართ და ეს ტრადიცია დაიკარგა.**

ა.ხ — მართალია, მეტად ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრება გვქონდა: კონცერტები, ფესტივალები, პირდაპირი ეთერი, საფონდო ჩანაწერები. ჩვენ ვასრულებდით ქართულ და ევროპულ მუსიკას, უხვად. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ყოველთვის ვასრულებდით ახალ ქართულ მუსიკას. ჩანერილი გვქონდა ყველა თაობის ქართველი კომპოზიტორის საკვარტეტო ნაწარმოები. სულხან ცინცაძემ №11 კვარტეტი ჩვენ მოგვიძღვნა და ჩვენ ვიყავით ამ კვარტეტის | შემსრულებლები; გარდა ამისა შევასრულეთ ს. ცინცაძის №1 და №2 კვარტეტი, მისი საკვარტეტო მინიატურები (12-ი), ასევე ანდრია ბალანჩივაძის კვარტეტი, ნიკოლოზ გუდიაშვილის კვარტეტი და კვინტეტი პიანისტ ეთერ (ტუკა) გულისაშვილთან ერთად, გამოვეცით ალექსი მა-

**მ.გ. — რამდენადაც ვიცი, საქ. ტელე-რადიოს კოლექტივები (არა მხოლოდ საკვარტეტო) აქტიურ მოღ-**



საქართველოს უელე-რაფიო კვარტეტი 1981 წ. ლევან ჩხეიძე, გია ხინთიბიძე, არჩილ (თაათო) სარაძე, რეზო მაჩაბელი

ჭავჭავაძის 2 ფორტიტა — მისი ოთხი კვარტეტი, ალექსანდრე შავერზაშვილის კვარტეტი ჩეხურ თემებზე, ვაჟა აზარაშვილის მინიატურები, მიხეილ ოძელის №1 კვარტეტი, კ. ცაბაძის, ზურაბ ნადარეიშვილის, ბადრი ტულუშის კვარტეტები და სხვა.; ვასრულებდით რუსი და ევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მაგალითად, როდესაც კომპოზიტორმა მიხეილ მეიროვიჩმა მოგვისმინა, მოგვიძღვნა კვარტეტი და ჩვენ ვიყავით მისი პირველი შემსრულებლები. ძალიან გულშემაგვტიკვივრობდა „ბოროდინის კვარტეტის“ ვიოლონჩელის-ტი ვალენტინ ბერლინსკი, რომელიც ჩვენი კვარტეტის პედაგოგი იყო ასპირანტურაში, გენესინების მუსიკალურ აკადემიაში. მან ბევრი იღვანა, რომ დ. შოსტაკოვიჩის მშობლიურ ქალაქ პეტერბურგში დაარსებულიყო და ჩატარებულიყო დ. შოსტაკოვიჩის სახ. სიმებიანი კვარტეტების საერთაშორისო კონკურსი. და მართლაც, 1987 წელს ეს კონკურსი გაიმართა. ჩვენ კოლექტივს | პრემია მიანიჭეს; უნდა ვითხრათ, რომ II პრემია არ გაცემულა. სხვათა შორის, როდესაც მოგვისმინა შოსტაკოვიჩის მეუღლემ, მან ითხოვა, რომ შოსტაკოვიჩის

დაბადების დღის აღსანიშნავ კონცერტზე ჩვენ დაგვეკრა და მართლაც, 1988-89წწ.-ში, ჩვენ შევასრულეთ შოსტაკოვიჩის კვარტეტები კომპოზიტორის საიუბილეო კონცერტებზე.

**მ.გ. — თქვენ, როგორც საქ. ტელე-რადიო კვარტეტი, აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობასაც ეწეოდით?**

ა.ხ. — დიახ. კვარტეტი მართავდა კონცერტებს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, საზღვარგარეთ, ვმონანილებდით ფესტივალებში. საქართველოში ჩავატარეთ 200-ზე მეტი ლექცია-კონცერტი ბავშვებისათვის...

**მ.გ. — სამწუხაროდ, დღეს ასეთ ლექცია-კონცერტებს მოკლებულია ჩვენი ახალგაზრდობა. ეს ძალზედ კარგი პროექტი იყო. დაუვიწყარია, მაგალითად, ჯანსუღ კახიძის ლექცია-კონცერტები, რომელიც ტელევიზიით გადაიკუმოდა და ბავშვები კი არა, მშობლებიც და ბებია-ბაბუებიც სიამოვნებით ისმენდნენ. ეს ყველა-**





კვარტეტი „Arpeggione“ იზაბელ ფლორი, ნიკოლა რისლერი, ტასო სარაჰი, სანდრო ჩიკაპაძე

ფერი ხომ მომავალი მსმენელის აღზრდისათვის შესანიშნავი საწინდარი იყო. დიდი ხანია მსგავსი პროექტი აღარავის განუხორციელებია და ეს დავინწყებას მიეცა, ალბათ, ამიტომაც (სხვა მრავალ მიზეზთან ერთად) აკადემიური მუსიკის, მათ შორის, კამერული მუსიკის მსმენელთა წრე დღითი-დღე ვიწროვდება...

ა.ხ. — იცით, ამ პირობებში მე ისიც მიკვირს, რომ ხალხს ჯერ კიდევ აქვს ინტერესი კლასიკური მუსიკისადმი და მუსიკალური ცხოვრება მაინც ვითარდება...

მ.ჯ. — საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება გქონდათ თბილისში, მაშ რატომ და როგორ მოხდა თქვენი ემიგრაციაში წასვლა, რამ განაპირობა ეს?

ა.ხ. — ვიდრე საბოლოოდ გადავწყვიტავდით ემიგრაციაში წასვლას, საკმაოდ საინტერესო პროექტი გვქონდა დაგეგმილი. როდესაც ჩვენმა კოლექტივმა შეასრულა ს. ცინცაძის №11 კვარტეტი თბილისში და

მოსკოვშიც, ბ-მა სულხანმა შემოგვთავაზა ჩავვენერა მისი ყველა კვარტეტი და გამოგვეცა ფირფიტების სრული კომპლექტი. დავინწყეთ შესწავლა, რამდენიმე დავუკარით კიდევ თელავში, გორში. მაგრამ, 1989 წელს მოხდა ტელევიზიის დარბევა, აირია ცხოვრება და ეს პროექტი, სხვა საინტერესო გეგმებთან ერთად, განუხორციელებელი დავგრჩა. საფრანგეთში წასვლა კი ასე მოხდა. არეულობის შემდეგ, 1990 წელს, „Radio France“-ს შეკვეთით ვიყავით თანამედროვე მუსიკის ფესტივალზე და როგორც იტყვიან, 30 კონცერტი „მოვიგეთ“, ანუ 30 ორგანიზატორის შეკვეთა მივიღეთ. ასე ამბობდნენ, ვინ არიან ესენი, არ ვიცნობთ, „უცხოვლანეტელები“ ხომ არ არიანო?! ამგვარად აღმოვჩნდით ფესტივალზე ქ. ბლუაში, სადაც კონცერტს ესწრებოდა საფრანგეთის კულტურის მინისტრი და ამასთანავე ქ. ბლუას მერი ჟაკ ლანჟი. საფრანგეთში იწერებოდა საქართველოს შესახებ და იცოდნენ რაც ხდებოდა... ჩანს, ამიტომაც ჟაკ ლანჟმა თვითონ შემოგვთავაზა ქ. ბლუაში 3 წლიანი კონტრაქტი. ასე შევრჩით იქ. სამწუხარ-



როდ, კოლექტივში არ იყო ერთსულოვნება. ლევან ჩხეიძე (I ვიოლინო, შესანიშნავი მუსიკოსი, იშვიათად შემხვედრია ასეთი მევიოლინე) დარჩა საქართველოში და იგი შეცვალა ასევე კარგმა მუსიკოსმა ვია მელიქიშვილმა. ჩვენ კვარტეტს დავარქვით „თბილისი“.

თბილისში რომ ომი დაიწყო, დაბრუნებას ვაპირებდით. გვეკითხებოდნენ რატომ მიდიხართო? ჩვენც ვუთხართ, რომ ცოლ-შვილი თბილისში გვყავდა დატოვებული და ველარ დავრჩებოდით. რა პრობლემაა — გვითხრეს — მაგას მოვავარებთო. და მართლაც, ერთ დღეში მოავარეს ყველაფერი და ჩვენი ცოლ-შვილიც ჩამოიყვანეს. ასე დავსახლდით ყველანი საფრანგეთში. იქ გაიზარდნენ ჩვენი შვილები...

**მ.ჯ. — როგორ ხდებოდა იქ თქვენი დაფინანსება, რა ბერკეტებია იმისათვის, რომ ამა თუ იმ კოლექტივმა იარსებოს?**

ა.ბ. — იქ ყველა კვარტეტი კერძო საკუთრებაა. იყო კვარტეტ „თბილისის“ სახელწოდების ასოციაცია, სადაც შედიოდა ქ. ბლუას ინტელიგენცია, მელომანი და ამასთან მდიდარი ადამიანები. აი, ისინი გვაფინანსებდნენ.

**მ.ჯ. — რამდენი წელი მოღვაწეობდა კვარტეტი „თბილისი“ საფრანგეთში და რატომ დაიშალა?**

ა.ბ. — 5 წელი. 1996 წელს, ერთ-ერთი წევრის ავადმყოფობის გამო, კვარტეტი დაიშალა. კვარტეტ „თბილისის“ დაშლის შემდეგ ყველამ ცალ-ცალკე განვაგრძეთ მოღვაწეობა. მე ეგვიპტეში წავედი, მევიოლინემ, პროფესორმა ირაკლი ბერიძემ (რომელიც 60-იან წლებში კაიროს კონსერვატორიის რექტორი იყო) მიმიწვია, ალტისა და კვარტეტის კლასის პედაგოგად. მოგეხსენებათ, ქ. კაიროს კონსერვატორიაში 60-იანი წლებიდან დაწყებული, უამრავი შესანიშნავი ქართველი მუსიკოსი მოღვაწეობდა. მეც იქ დავიწყებულა. ჩემი სტუდენტების და ასპირანტების კვარტეტებიდან ერთმა კვარტეტმა ესპანეთში, ქ. მურსიას სტუდენტების სიმფონიური ორკესტრების ფესტივალზე, სადაც წარდგენილი იყო კაიროს კონსერვატორიის

სიმფონიური ორკესტრი შავლეგ შილაკადის დირიჟორობით, და რომლის ფარგლებშიც ტარდებოდა კვარტეტების კონკურსიც, I პრემია აიღო, მეორე სტუდენტურმა კვარტეტმა — რომში, II პრემია.

**მ.ჯ. — ეგვიპტეში თუ ენეოლით საკონცერტო მოღვაწეობას?**

ა.ბ. — დიახ, იქაც ჩამოვყალიბე იქაურ პროფესორებთან ერთად კვარტეტი და ვმართავდით კონცერტებს. ზაფხულობითაც, როცა საფრანგეთში ჩავდიოდით, ოჯახთან ერთად ვუკრავდი საზაფხულო ფესტივლებზე — ჩემი მეუღლე ლიანა ჩიქოვანი და ქალიშვილი თეონა მევიოლინეები არიან, ჩემი ვაჟი გიორგი კი ჩელისტი. ჩვენ კვარტეტს ასეც დაარქვეს „ხარაძეების“ კვარტეტი. 2001 წლიდან საბოლოოდ დავბრუნდი საფრანგეთში. მეუღლე ამჟამად მუშაობს პედაგოგად სამუსიკო კოლეჯში, ვაჟი, გიორგი ხარაძე, წარმატებული ვიოლონჩელისტია, იგი არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია — შტუტგარტის, ჰაბლო კაზალის, მსტისლავ როსტროპოვიჩის, ემანუელ ფოიერმანის კონკურსებისა და სხვ.; ქალიშვილი ქ. რუანის სიმფონიური ორკესტრის II ვიოლინოების კონცერტმასტერია, ხოლო მე დავიწყებულა მოღვაწეობა ფრანგულ კვარტეტ „Arpeggione“-ში და 10 წელია უკვე ამ კოლექტივში ვარ. როდესაც ამ კოლექტივიდან წავიდა ჩელისტი, ჩვენ შემოგვემატა ახალგაზრდა ქართველი ვიოლონჩელისტი ალექსანდრე ჩიჯავაძე, შესანიშნავი ქართველი ვიოლონჩელისტისა და პედაგოგის, ალექსანდრე ჩიჯავაძის შვილი. მე ეს ძალიან მახარებს. 1998 წლიდან, პარალელურად, ვუკრავ აგრეთვე პარიზის „ბენაიმ კვარტეტში“ („The Benaim string quartet“).

**მ.ჯ. — თუ უკრავდით და უკრავთ ქართულ მუსიკას უცხოეთში და როგორ იღებთ უცხოელი მსმენელი ქართულ მუსიკას?**

ა.ბ. — ემიგრაციაში, რა თქმა უნდა, ჩვენ უკრავდით ქართულ მუსიკასაც. ჯერ კიდევ ქ. ევიანის სიმეზიანი კვარტეტების საერთაშორისო კონკურსზე, 1980 წელს რომ ვიყავით, შევასრულეთ ს. ცინცაძის IX კვარტეტი; ასევე ვასრულებდი ქართულ მუსიკას ეგვიპტეში მოღ-

ვანეობის პერიოდშიც. კაიროში ალტის სხვა ნაწარმოებებთან ერთად შევასრულე ს. ცინცადის „მელოდია“ და „ხორუმი“; გავაკეთე ვ. აზარაშვილის „ნოქტიურნის“ ტრანსკრიპცია ორი ალტისა და ფორტეპიანოსათვის, შევასრულე აგრეთვე, შავლეგ შილაკადის სონატა ალტისა და ფორტეპიანოსთვის. შემდეგ სტუდენტებმა მთხოვეს, რომ კონცერტზე და გამოცდაზე მათაც დაეკრათ ეს ნაწარმოებები და ისინიც დიდი სიამოვნებით ასრულებდნენ ქართულ მუსიკას.

საფრანგეთში ხშირად ვუკრავთ სულხან ცინცადის მიანიატურებს, რომლებსაც იქ „ბრილიანტებს“ უწოდებენ. ცინცადე, როგორც „დესერტი“, ყოველთვის იყო. როდესაც „Arpeggione“-სთან ერთად ცინცადის მიანიატურები შევასრულე, გვკითხეს, კვარტეტები ხომ არა აქვს დაწერილი?... ასე შევასრულეთ ს. ცინცადის VI, IX და X კვარტეტი. ვია ყანჩელმა დაწერა კვარტეტი და ისიც დიდი წარმატებით შევასრულეთ. პრესა აღნიშნავდა იმასაც, რომ რაც კი ქართული ნაწარმოებები დაუკრეს, არცერთი არ ჰგავს ერთმანეთს და თანაც ყველა ეროვნულიაო.

„Arpeggione“-ს ნევრებს მოვასმენინე ასევე მიხეილ ოძელის I კვარტეტი, რომელიც თავის დროზე ჩაწერილი ვეჭონდა. ძალიან მოეწონათ და მითხრეს, თუ დაგვიწერს ახალ ნაწარმოებს – შევასრულებთო. მეც დავეუკავშირდი მიხეილ ოძელს და დავუკვეთე კვარტეტი. ასე დაიწერა კვარტეტი „სუვენირი“. მ. ოძელის კვარტეტი შევასრულეთ ქ. ლიონში და დიდი წარმატებითაც.

ქართულ მუსიკას, მინდა ვითხრათ, ბოვი ფრანგი მუსიკოსი კარგად იცნობს. მაგალითად, საფრანგეთში საკმაოდ ცნობილმა კომპოზიტორმა ნიკოლა ბაკრიმ, თუ არ ვცდები პიერ ბულეზის ყოფილი მოსწავლე იყო, პირადად მითხრა, რომ იგი კარგად იცნობს ქართულ მუსიკას და რომ ჩვენ ძალიან ძლიერი სკოლა გვაქვს. ჩემდა გასაკვირად, მან უამრავი ქართველი კომპოზიტორი დამისახელა და გამოამყლაგნა მათი ნაწარმოებების ცოდნაც: ს. ცინცადე, გ. ყანჩელი, ს. ნასიძე, ნ. გაბუნია და სხვებიც, რამაც, ბუნებრივია, ძალიან გამახარა. ნიკოლა ბაკრიმ ნაწარმოები მიუძღვნა ბრწყინვალე ქართველ მევიოლინეს ლიბა ბათიაშვილსა და მის მეუღლეს, მაღალი კლასის ვირტუოზ ჰობოისტს ფრან-

სუა ლოლოს – დუეტი ვიოლინოსა და ჰობოისათვის.

მინდა ვითხრათ ისიც, რომ საფრანგეთში მოღვაწეობს ძალიან კარგი ქართველი კომპოზიტორი ნიკოლა ბურაბიშვილი, რომელიც არის ოთარ იოსელიანის მეგობარი და მისი ყველა ფილმის კომპოზიტორი; კინომუსიკის გარდა მას დაწერილი აქვს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, სიმფონიური, კამერული და ა.შ. იგი ორჯერ იყო საქართველოში. პირველად, მასსოვს, სულხან ცინცაძესთან ჩამოვიდა. სხვათა შორის, მას ძალიან მოეწონა და შეისყიდა კიდეც მიხეილ ოძელის I კვარტეტი...

ქართულ მუსიკას ვასრულებთ, მაგრამ შეძლებისდაგვარად – პროგრამის შედგენაში შეზღუდულები ვართ, ორგანიზატორი გვიკვეთავს რა უნდა დავუკრათ. უნდა ვითხრათ, რომ დ. შოსტაკოვიჩის საკვარტეტო შემოქმედება საფრანგეთში არ იყო დიდად პოპულარული, ჩვენ კი ხშირად ვუკრავდით და ისიც კი დაწერეს: „ჩვენ შოსტაკოვიჩი კომუნისტი გვეგონა და ძალით გაკომუნისტებული ყოფილა“ –ო.

რაც შეეხება თანამედროვე ქართული მუსიკის შესრულებას. იქ არის თანამედროვე მუსიკის მხარდამჭერი ორგანიზაცია, რომელიც თუ წელიწადში, XXს-ის 90-იანი წლების შემდეგ დაწერილ 5 ნაწარმოებს დაუკრავ, ფინანსურად გეხმარება.

**მ.გ. – აქ მხოლოდ ფრანგული მუსიკა იგულისხმება თუ ნებისმიერი ქვეყნის?**

**ა.ბ. –** ნებისმიერი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ფრანგულს უპირატესობა ენიჭება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იქაც არის გარკვეული პიროვნებების გავლენის სფეროები, მაგალითად, საფრანგეთში პიერ ბულეზის და ის თავისი შემოქმედებითი მასშტაბიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ბევრ რამეს საზღვრავს: ვინ იდირიჟორებს, ვისი მუსიკა შესრულდება და ა.შ.

**მ.გ. – მე მეგონა, ეს მხოლოდ საბჭოთა ან ქართულ სინამდვილეში იყო... თუმცა „Mezzo“-ს რომ ვუყურებ, ხშირად ვფიქრობ რომ არხის მეპატრონეებს ყავთ ფავორიტები და ზოგჯერ ეს ფავორიტები, ჩემდა გასაკვირად, სულაც არ არიან მაღალი კლასის მუსიკოსები,**

ანუ გარკვეული მიკერძობა იქაცაა?

ა.ხ. — დიახ, ეს ყველგანაა.

**მ.ჯ. — გაქვთ თუ არა შემოქმედებითი ურთიერთობა უცხოეთში მოღვაწე სხვა ქართველ მუსიკოსებთან?**

ა.ხ. — არცთუ ხშირად. ასეთი მახსენდება პიანისტი გიგლა ქაცარავა, ალფრედ კორტოს კონსერვატორი-ის პროფესორი. მასთან ერთად შევასრულეთ შნიტკეს კვინტეტი. მე ყოველთვის მახარებს არა მხოლოდ ქართველ მუსიკოსებთან თანამშრომლობა, არამედ ქართველ მსმენელს რომ ვხედავ დარბაზში. მახსენდება 2010 წელი, როდესაც პარიზში, კორტოს საკონცერტო დარბაზში, საელჩოს მოწვევით „Arpeggione“-ს კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში მამუკა კუდავა და საქართველოს კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა. ეს ძალზე სასიამოვნო შეხვედრა იყო.

**მ.ჯ. — როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში უამრავი ნაწარმოები ჩანერეთ. შემოგრჩათ კი რაიმე იმ ჩანაწერებიდან? ყველამ კარგად იცის რა ვითარება იყო იმ პერიოდში ტელევიზიაში, როგორ ხდებოდა კასეტების ეკონომიის მიზნით ჩანაწერებზე ზემოდან სხვა მასალების გადაწერა და ა.შ., ამიტომაც, ამ განუკითხაობის შედეგად, იშვიათი ფასეულობის აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერები დაიკარგა.**

ა.ხ. — მართალია, ჩვენი ჩანაწერებიდანაც ბევრი რამ დაიკარგა. კვარტეტის წევრი გია ხინთიბიძე, 1995 წელს ჩამოვიდა თბილისში და ეძება ჩვენი ჩანაწერები, ჩვენ ხომ უამრავი ნაწარმოები გვქონდა ჩანერილი. გადარჩა არცთუ ბევრი: შუმანის №2 და №3 კვარტეტი, ბეთჰოვენის №7 და №13 — კვარტეტი დიდი ფუგით, შუბერტის ლა მინორული კვარტეტი, შნიტკეს III კვარტეტი, რომელიც შნიტკეს სადამოზე დაუკარით მოსკოვში და ჩავწერეთ კიდეც... ცინცადის №11, მ. ოქლის №1 კვარტეტი, მაჭავარიანის მხოლოდ ორი კვარტეტი, ს. ცინცადის და ვ. აზარაშვილის საკვარტეტო მინიატურები... მოკლედ ნახევარიც არა.

**მ.ჯ. — ვიდეოჩანაწერები თუ შემოგრჩათ?**

ა.ხ. — ერთადერთი — მოსკოვში, დ. შოსტაკოვიჩის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონცერტის ვიდეოჩანაწერი.

**მ.ჯ. — მოსკოვში კარგად იციან ფასეულობების შენახვა, თავისი და სხვისიც, და, სხვათა შორის, საკმაოდ კარგად იყენებენ კიდეც. ჩვენი კულტურული მონაპოვრების საარქივო მასალები უხვადაა იქ (მუსიკა, კინო და ა.შ.), არ ვიცი, მოვიბდომებთ და დავიბრუნებთ თუ არა ოდესმე?! ეს ისე, „ლირიკული“ გადახვევა. თუ გაქვთ რაიმე გეგმები საქართველოში?**

ა.ხ. — სამწუხაროდ, არა. ჯერჯერობით შემოთავაზებაც არ ყოფილა, თუმცა სიამოვნებით ჩავატარებდით კონცერტს საქართველოში.

**მ.ჯ. — ვისურვებდი რომ მალე საქართველოში ვინილთ თქვენი კვარტეტები, როგორც „Arpeggione“ ისე „The Benaim string quartet“-ი.; ასევე კვლავ მოვისმინოთ თქვენი ვაჟი, გიორგი ხარაძე, რომელსაც შთამბეჭდავი გამოსვლა ჰქონდა საქართველოში რამოდენიმე წლის წინ. ქართველი მსმენელისთვის საინტერესო იქნება „ხარაძეების“ კვარტეტის მოსმენაც, თუ ასეთი კვლავ შესაძლებელია. წარმატებებს გისურვებთ ბ-ნო ტატო თქვენ და თქვენს გამორჩეულ მუსიკალურ ოჯახს.**



2003 წლის ჟურნალ „მუსიკალურ საქართველოში“ გამოქვეყნდა თამარ წულუკიძის წერილი სათაურით „კაცი, რომელსაც ფალიაშვილი უყვარდა“. იგი ეძღვნებოდა ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის ერთ-ერთ დამაარსებელს, მის პირველ დირექტორს – ვაჟა ჩინჩალაძეს.

2012 წლის 18 მაისს ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული გაიხსნა ვაჟა ჩინჩალაძის ხსოვნის საღამოთი, რომლის სათაური ასევე გახლდათ „კაცი, რომელსაც ფალიაშვილი უყვარდა“.

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, 25 წელი გავიდა ვაჟა ჩინჩალაძის გარდაცვალებიდან და ეს გახლდათ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი საღამო. მეორე მხრივ იმ თავყრილობაზე ისიც ითქვას, რომ რაც დრო გადის, მით უფრო აღმატებული ხდება მისი პიროვნება თანამედროვეთა წარმოდგენასა და ცნობიერებაში, რაც დრო გადის, კიდევ მეტი ფასი ედება მის ნაღვანსა და დამსახურებას.

ვინც ბატონ ვაჟა ჩინჩალაძეს პირადად იცნობდა, მისთვის ცნობილი იყო, რომ ამ პიროვნების ცხოვრების მრწამსი, მიზანი გახლდათ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებისა და სახელის უკვდავყოფისათვის ზრუნვა, მისი ერთგულება. მან ათეული წლები მიუძღვნა მუზეუმის შექმნას, გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, სადარაჯოზე იდგას, რომ არ მომხდარიყო საზოგადოების ყურადღების გადახვევა ფალიაშვილთან დაკავშირებული საკითხებიდან.

ვაჟა ჩინჩალაძის ხსოვნის საღამო გახსნა მუზეუმის დირექტორმა, კომპოზიტორმა კახა ცაბაძემ. საღამო მიჰყავდა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელს, მუსიკისმცოდნე თამარ წულუკიძეს. ნაჩვენები იქნა ბატონი ვაჟას ცხოვრების გზის ამსახველი სლაიდ-შოუ. შესრულებული იქნა არიები ფალიაშვილის ოპერებიდან. დიდი ინტერესი გამოიწვია ვიდუო-კადრებმა, სადაც თანამედროვენი იგონებენ ვაჟა ჩინჩალაძეს. დასასრულს ვაჟა ჩინჩალაძის ქალიშვილმა – თამარ ჩინჩალაძე-მარმა მადლობა გადაუხადა საღამოს მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას.

# კაცი, რომელსაც ფალიაშვილი უყვარდა

დამაარსებელი

მანანა ახმეტელი  
(მუსიკოლოგი)

ძალიან დიდი კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობით მინდა გავიხსენო ბატონი ვაჟა ჩინჩალაძე, რომელიც 30 წლის მანძილზე სათავეში ედგა ქართული სამუსიკო კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას – ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმს. არსებითად ბ-ნი ვაჟა არის ამ მუზეუმის დამა

არსებელი და შემქმნელი, როცა ის მოვიდა ამ მუზეუმის სათავეში, სულ 11 ექსპონატი იყო და იმდენი იმუშავა, იმდენი დიდი სამძებრო სამუშაოები ჩაატარა, რომ ექსპონატები გაზარდა 4000-მდე.  
ვაჟა ჩინჩალაძე იყო ერთ-ერთი ძალიან საინტერესო პიროვნება, რომელიც ჩემი ცხოვრების გზაზე შემ-

ხვედრია. ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა, იმიტომ, რომ ბ-ნი ვაჟა მუსიკალური ცხოვრების ცენტრში ტრიალებდა და ყველა მუსიკოსთან ჰქონდა აქტიური შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა, და მეც ამ წრეში მოვხვდი და ბ-ნი ვაჟას წყალობით ძალიან ხშირი სტუმარი გახლდით სახლ-მუზეუმის.

ამიტომ ჩემს თვალწინ მიმდინარეობდა მისი მოღვაწეობა, ეს იყო რაღაც დაუღლეელი, საოცარი ენთუზიასტი, პატრიოტი, დიდი პატრიოტი ზაქარია ფალიაშვილის, კერძოდ, და საერთოდ ქართული მუსიკალური კულტურის.

ბევრი რამ წამოიწყო, გარდა იმისა, რომ შეკრიბა ექსპონატები, გააფართოვა სახლ-მუზეუმის ფართობი, უამრავი სურათი დაუკვეთა მხატვრებს – ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი. ის იყო დიდი პროპაგანდისტი: სწორედ ბ-ნმა ვაჟამ წამოიწყო საექსკურსიო ტრადიცია. ინვევდა მოსწავლეებს, ახალგაზრდობას, – აცნობდა რა მათ ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. აქ სისტემატურად იმართებოდა სატელევიზიო გადაცემები, კონცერტები, შხვედრები, საუბრები მუსიკაზე.

ყველაზე, ვინც კი ბატონ ვაჟას იცნობდა, მან წარუშლელი კვალი დატოვა, იმიტომ რომ არაორდინარული პიროვნება იყო.

მემგონი ვაჟა იყო ყველაზე დიდი ჭირისუფალი, დიდი პატრონი, არამარტო სახლ-მუზეუმის, არამედ ზაქარია ფალიაშვილის სახელის. აბა სადმე ვინმეს გადატრიალებული, ან ის სიტყვა არ ეთქვა, როგორც ზ.ფალიაშვილს ეკადრებოდა, ვაჟა ხმაღამოღებული იბრძოდა და სულ ბრძოლაში იყო. მას ყველაფერი აწუხებდა როგორ დაიდგებოდა სპექტაკლი „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, ჩასაფრებული იყო, რეპეტიციებზე დადიოდა, მისი მოსაწონი დადგმა – მემგონი არ არსებობდა, გაზეთებში წერდა წერილებს, ებრძოდა დამდგმელებს. ერთი სიტყვით, ძალიან მოძრავი იყო და ამიტომაც სახლ-მუზეუმი დულდა და გადმოდულდა, რადგან ვაჟა იყო ასეთი ენთუზიასტით, ტემპერამენტით სავსე ადამიანი.

ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც დარწმუნებით ლაპარაკობდა, რომ ზ.ფალიაშვილის ნეშტი უნდა გადასვენებულიყო მთაწმინდაზე, ამის აუცილებლობაში



ვაჟა ჩინჩალაძე

არწმუნებდა საზოგადოებას და მე ვთვლი, რომ ბ-ნი ვაჟა ამჯერადაც სწორი იყო და ალბათ, ეს ასეც უნდა მოხდეს, იმიტომ, რომ ახლა მისი საფლავი ქუჩაშია გამოტანილი, მე ვთვლი, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს საფლავი, მით უფრო, ასეთ დიდ პიროვნებას, ასეთ დიდ შემოქმედს, როგორც ზ.ფალიაშვილია.

ეს იყო ადამიანი მონოდებით, რომელსაც უნდა ემუშავა სწორედ მუზეუმში. ღმერთმა ეს თვისებები დაანათლა, და ამიტომაც შეძლო ამ კერის შექმნა, თორემ



ოთარ თაქთაიძვილი, ვაჟა ჩინჩალაძე, ჰერბან ვედეკინდი და სხვ.

განათლებით მუსიკოსი არ ყოფილა, მაგრამ მთელი სულითა და გულით გრძნობდა მუსიკის მშვენიერებას, განიცდიდა მას და მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი სიცოცხლე ამ საქმეს შეაღია.

**გიგო შორაღანიძე**  
(რეჟისორი)

ბატონი ვაჟა ჩინჩალაძე, — ზაქარია ფალიაშვილის პატრიოტი, მისი სახელის ერთ-ერთი უკვდავმყოფელი, — ისე განიცდიდა ზაქარიას ყოველ ნოტს, ყოველ ფრაზას, ყოველ წარმოდგენას მთლიანად, რომ ეს უბრალოდ შესაშური იყო და გასაკვირივ. იმდენად ფანტიკური სიყვარულით იყო დამუხტული ზაქარიას მიმართ, რომ მას იფიცებდა კიდეც — ზაქარიას სულს გეფიცებით, დაგანჯობთ, თუ რამეს გააკეთებთ ისეთს, რაც მას არ შეეფერება!

მე და ჩემს კოლეგებს ბატონი ვაჟას მიმართ გვქონდა დიდი პატივისცემა და ამავე დროს ცოტა გვეშინოდა კიდეც მისი.

„აბესალომის“ დადგმის გამო დიდი ძალით დაგვესხა თავს, მაგრამ მე ამას იმით ავხსნი, რომ მას ისეთი რამის დანახვა უნდოდა, რაც არ არსებობს და რაც არარსებობს იმის გაკეთება როგორ შეიძლება?!

მას შემდეგ „აბესალომი“ კიდეც 2-ჯერ დავდგი, და ბევრი რაღაც, რაც მაშინ მასთან საუბარში გავაანალიზე, ახლა გავაკეთე, ე.ი. უფრო უბრალოდ, უფრო მინიერად და ზოგ შემთხვევაში კი რაც მაშინ უფრო მინიერად გავიზრე, მან უფრო მაღლა ამანვეინა, რაც, ალბათ, პარადოქსია.

ჰერმან ვედეკინდს ვახტანგ ფალიაშვილმა აჩუქა „დაისის“ ფირფიტა და მაშინ განეწყო ის ამ ოპერის დასადგმელად. ამ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე იყო ბატონი ვაჟაც.

დაიდგა „დაისიც“ — საარბრუკენში. ეს იყო დასავლეთევროპაში (გერმანიაში) ქართული ოპერის დადგმის პირველი შემთხვევა, რასაც თან სდევდა ეჭვი, სიფრთხილე და გაურკვეველი ემოციური მდგომარეობა სიხარულისა, რომელიც მომავალში უნდა შეგვეგრძნო.

იმ დროს ერთ-ერთმა დიდმა დიპლომატმა, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, ფალინმა, რო-



მელიც გაღიზიანებული იყო „დაისის“ დადგმით, თქვა: „Наконец-то вы добились что во втором акте религиозный финал! Но это нравится западу, что поделаешь, мы тоже похлопаем“.

როდესაც დელეგაცია ჩავიდა საარბრეუკენის პრემიერაზე, იქ ვაჟა არ იყო. საბჭოთა კავშირის დრო იყო და ვიფიქრე, ამოავდეს სიიდან-მეთქი, მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ ავად გამხდარა. სამაგიეროდ პრემიერის შემდეგ, ის აეროპორტში დაგვხვდა. უზომოდ ბედნიერი იყო — „ჰა-გაიმარჯვა ფალიაშვილმა.ზაქარია...ჰა“. ის ამაცობდა საარბრეუკენის დადგმით, ყველგან ამაზე ლაპარაკობდა. მახსოვს, მოვუყევი:

— ბატონო ვაჟა, გერმანელები სულ კითხულობდნენ: აბესალომმა რატომ გაუშვა ეთერი სახლიდანო? — და მე ავუხსენი: — აბესალომში დიდმა ადამიანურმა პოტენციამ გაიღვიძა, მან გადასარჩენად გაუშვა ეთერი თავის სახლიდან-მეთქი. იყო ასეთი გერმანელი მომღერალი თიუნელი — ვინც აბესალომს მღეროდა. ის სულ კითხულობდა:

— რატომ გაუშვეს ქალიო. „Aber Varum?“ — რატომ, რატომ...

— ბ-ნმა ვაჟამ მითხრა: — „სწორედ უკითხავსო, მაგათ რა იციან ქალი და სიყვარულიო, თან დასძინა: — ეგ ვერ ითამაშებდა კარგადო...“

ბ-ნმა რეზო ლალიძემ თეატრში მოიტანა ოპერა „ლელა“ და მე ბედნიერი ვიყავი, რომ დასადგმელად მე ამომირჩია ბ-ნმა რეზომ. როდესაც შევხვდი ბ-ნ რეზოს, გამაფრთხილა:

— ახლა შენ მოდერნისტობა არ დაიწყო, — ღობე-ღობე იყოს და ჯორჯო-ჯორჯო, იცოდე, შენ „სტილიაგურად“ არ დადგა.

— რატომ ბ-ნო რეზო, „სტილიაგურად“ რატომ უნდა დავდგა-მეთქი.

— ვაჟა ჩინჩალაძე შენზე ამბობს „სტილიაგაო“ და ამიტომ.

— მაგრამ მე მაინც დავდგი.

ბატონი ვაჟას მიმართ მხოლოდ თბილი, დანანებითი გრძნობა მაქვს, რომ ის ადრე წავიდა ამქვეყნიდან.

**ელგუჯა ბერკინიშვილი**  
(მხატვარი)

მე და ვაჟა ჩინჩალაძე დიდი კომპოზიტორის — ზაქარია ფალიაშვილის სიყვარულმა შეგვაერთა და გავგაერთიანა. ის გამაცნეს ჩემმა ძმამ მერაბ ბერძენიშვილმა და ს.ლამბაშიძემ. მან როცა გაიგო, რომ აკადემია დავამთავრე, დეკორატიული განხრით, სერგო ქობულაძის ხელმძღვანელობით და დიპლომის თემად ავირჩიე ზ.ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, დამავლო ხელი და მითხრა:

— შენ იმუშავებ ჩემთან ერთად, მინდა რომ გააკეთო ერთი დიდი სურათი — „აბესალომ და ეთერი“. — შემიკვეთა — გააკეთე, როგორც გინდაო. ამ დროს უკვე არსებობდა გუდიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ — აკვარელში დახატული. წარმოიდგინეთ, ჩემთვის, ახლადდამთავრებულისთვის, რა ძნელი იქნებოდა იგივე თემა, რაც ლადოს ჰქონდა შესრულებული, მაგრამ მაინც გავბედე და გავაკეთე და, მგონი, არა უშავს რა გამოვიდა.

ერთხელ მივედი ვაჟასთან მუზეუმში, რალაც საქმე მქონდა. ვხედავ, ლადო გუდიაშვილი დგას და საუბრობენ — ჩემს ნამუშევარზე. ვერ ვიკადრე იქ შესვლა და ჩუმად გავიპარე. მერე ვკითხე ვაჟას, — რა თქვა ლადომ-მეთქი, — და ასე თქვაო: „ეს არის ჩვენი სკოლაო“.

ვაჟას ასეთი ჩვეულება ჰქონდა, რასაც ხელს მოჰკიდებდა, იმას მიაკვდებოდა ზედ. როდესაც ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმს ამთავრებდა, ის უკვე ფიქრობდა გალაკტიონის მუზეუმის შექმნაზე. ჰოდა, თქვენ ჩვენს გვერდში იდგებითო, მეც დიდი სიხარულით ვემზადებოდი ამისათვის. მაგრამ მაშინ ეს საქმე არ გამოვიდა. მართო ერთი კაცის ბრძოლით, ერთი კაცის ყინით არ გაკეთდება არაფერი.

ვაჟამ ფრანგულიც იცოდა, არაჩვეულებრივად და ელაპარაკა ის ფრანგ ტურისტებს. მთელი მისი ცოდნა და განათლება მაინც ძირითადად ერთი საქმისკენ იყო მიმართული.

როდესაც ოპერის თეატრს ცეცხლი გაუჩნდა და ყველა გარბოდა, ვაჟა შევარდა ამ ცეცხლში — უჩა ჯაფარიძის ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტი ჩამოხსნა და გადაარჩინა. აი, ასეთი სიყვარული ჰქონდა მას ზა-

ქარიასადმი.

ვაჟას ჰქონდა დახვეწილი, აზნაურული იუმორი. ძალიან ძნელია გადმოსცე ის სიფაქიზე, ის ნიუანსები, რომელიც მის იუმორს ახასიათებდა; მარტო შინაარსით რომ მოგანოდოთ, არაფრის მთქმელი არ არის, — იქ უნდა ვაჟას სახეც ჩანდეს, მისი მოძრაობა, ის მსუბუქი გრაცია, რომელიც მას ჰქონდა შეხვედრის დროს, სტუმრების მიღების დროს.

გავიდა დიდი დრო და მე ვერ ვივინყებ მის მოძრაობებს, მის ხმას.

**ნოდარ ფალიაშვილი,**

(კინოოპერატორი, ზაქარია ფალიაშვილის ძმისშვილი)

მოსკოვის კინომატოგრაფიის ინსტიტუტში ვსწავლობდი. არდადეგებზე თბილისში ჩამოსვლისას მამამ — ლევან ფალიაშვილმა მითხრა, რომ ჩემი ბიძა ნიკოლოზ ფალიაშვილი აღარ ცხოვრობს ბაქრადის ქუჩაზე, ახლა ამ ბინაში დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმიანო. იმ ნუთას ეს ამბავი ძალიან მენყინა, რადგან ძალიან მიყვარდა ნიკოლოზ ფალიაშვილის სტუმართმოყვარე ოჯახში მისვლა.

როდესაც მამამ წამიყვანა ახლად დაარსებულ მუზეუმში და გამაცნო ვაჟა ჩინჩალაძე, მე მოვიხიბლე ამ ადამიანის გულწრფელობითა და ენერგიულობით. და თანაც, ყველაფერი ისე დამხვდა, როგორც ჩემს მეხსიერებაში იყო შემორჩენილი: ოთახებში სიყვარულითა და სიფაქიზით იყო განლაგებული ზაქარიას ნივთები — ედისონის ფირმის ფონოგრაფი, როიალი, საწერი მაგიდა და სხვა. მე მივხვდი, რომ ამ საქმეს ზაქარიას მუსიკაზე შეყვარებული, მისი შემოქმედების ფანატიკური თაყვანისმცემელი ჩაუდგა სათავეში.

ერთხელ, როდესაც კინოსტუდია „ქართული ფილმი“ კოსტუმებს არჩევდა კინოფილმისთვის „ბურთი საუკუნეების სიღრმიდან“, მე შემთხვევით აღმოვაჩინე ფრაკი, რომლის შიდა მხარეს, თეთრ ნაჭერზე ქიმიური ფანქრით ეწერა: „ზაქარია ფალიაშვილი“. სავსებით დასაშვებია, რომ ომის წლებში მას კომპოზიტორის ქვრივი შეეღია. ვისთვის უნდა მომეყოლა ამ აღმოჩენის შე-

სახებ? რაღა თქმა უნდა უმაღვე შევატყობინე ვაჟას. მანაც არ დააყოვნა და ეს უსასყიდლოდ გადაიტანა კინოსტუდიის ბალანსიდან კულტურის სამინისტროს ბალანსზე და მუზეუმის ექსპოზიციას ახალი უნიკალური ექსპონატი შეემატა.

პირადად მე გადაღებული მაქვს ორი ფილმი ზაქარია ფალიაშვილის შესახებ, ერთი — სამეცნიერო პოპულარული, მეორე — დოკუმენტური. პირველი ფილმის რეჟისორი იყო — ვლადიმერ ვალიშვილი, მეორესი კი — დათო კობახიძე, ორივე ფილმის კონსულტანტი ბ-ნი ვაჟა ჩინჩალაძე გახლდათ.

ყოველი ექსპონატის მოპოვებას თან ახლდა ვაჟას საინფორმაციო სტატიები მაშინდელ ქართულ პრესაში.

მისი ხელმოწერით სტატიები ქალაქის საზოგადოებას ახსენებდა დიდი მ.ფალიაშვილის მუზეუმის არსებობას.

ასე მისხალ-მისხალ აგროვავ, შექმნა ბ-მა ვაჟამ ქართველი კლასიკოსი კომპოზიტორის სრულყოფილი, ძალზედ საინტერესო მუზეუმი.



ნიგნის ავსტრიელი მერაბ ოქელაშვილი და ჯაფარი თამაზ ჯურაშვილი

## ნიგნი მათთვის, ვისაც უყვარს ჯაფი და არ ეზარება პროზა

თამაზ ყურაშვილის, რეზო კიკნაძისა და გურამ რამიშვილის იმპროვიზირებული კონცერტის თანხლებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უნიკალურ სახელმძღვანელოს – „ჯაფის თეორიისა და პრაქტიკის სისტემური კურსის“ პრეზენტაციას უმასპინძლა.

მერაბ ოქელაშვილის ავტორობით გამოცემული ნიგნი ჯაფის თეორიის მსოფლიო ტენდენციებზე მოგვითხრობს. სქელტანიან სახელმძღვანელოში დანგ-

რილებითაა განხილული ჯაფის ჰარმონიის თეორიული ასპექტები, ფორმისა და იმპროვიზაციის საკითხები. ასევე, სოლიდური ადგილი ეთმობა პრაქტიკულ ნაწილს. ნიგნის გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური სწავლების, ისე სპეციალურ სასწავლებლებში ჯგუფური მეცადინეობისას.

ახალ სახელმძღვანელოში შედის თარგმნილი და განმარტებული სპეციფიკური თეორიული ტერმინებიც. სპეციალისტთა შეფასებით, ნიგნში მოცემული მასალის



ცოდნის გარეშე შეუძლებელია ჯაზური მუსიკის შესრულების, იმპროვიზაციის, არანჟირებისა და კომპოზიციის პროფესიული ჩვევების ჩამოყალიბება. სავარაუდოდ, სახელმძღვანელო ღირსეულ ადგილს დაიკავებს როგორც პროფესიონალი მუსიკოსების, ისე მოყვარულთა წიგნის თაროებზე.

სახელმძღვანელოს ავტორ მერაბ ოძელაშვილის განმარტებით, წიგნზე ის ორი წლის განმავლობაში მუშაობდა და ჯაზის ყველა ჟანრი მოიცვა. წიგნის მომხმარებელი შეიძლება იყოს ყველა, ვისაც „სურს ჯაზის საფუძვლების შესწავლა, უყვარს ჯაზი და არ ეზარება შრომა“.

სახელმძღვანელოს რეცენზენტი სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების ხელმძღვანელი, მუსიკოლოგიის დოქტორი ივანე ჟღენტია, წიგნის რედაქტორი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ჯაზის ხელოვნების“ ხელმძღვანელი გერაბ რამიშვილი.

ჯაზის თეორიისადმი მიძღვნილი მსგავსი მასშტაბის ნაშრომი ქართულ სამუსიკისმცოდნეო სივრცეში პირველად გამოიყვა. ქართულ ენაზე ჯაზისადმი მიძღვნი-



ლი მწირი ლიტერატურიდან ცნობილია მხოლოდ 2005 წელს გამოცემული მუსიკალური სასწავლებლების მოსწავლეთათვის განკუთვნილი „ჯაზის თეორია და ჰარმონია“ (ავტ. ი. ებრალიძე).

**ირაბ კახუაშვილი**

მასალა დაიბეჭდა ჟურნალ „თბილისი Aut“-ში

# ირაკლი ცინცაძის ახალი კომპაქტდისკი

კომპოზიტორ ირაკლი ცინცაძეს საერთაშორისო სარბიელზე წარმატებები კარგა ხანია მოპოვებული აქვს. იგი არაერთი წელი მოღვაწეობდა გერმანიაში, იყო DAAD-ის სადოქტორო ხარისხის სტიპენდიანტი; მას მოპოვებული აქვს პირველი პრემია ნიუ-იორკის კამერული მუსიკის საერთაშორისო კონკურსში ალტის სონატისათვის.

გერმანული გამომცემლობას “Keturi musik verlag”-ს შესყიდული აქვს მისი 15-ზე მეტი კამერულ-ინსტრუმენტული და სიმფონიური ნაწარმოები, ბალეტი „საპატარძლო მეფისათვის“, რომელიც საორკესტრო სიუიტის სახით შესრულდა გერმანიაში; გამოცემულია უკვე 5 კომპაქტდისკი. იგი არის საავტორო უფლებების

GEMA-ს წევრი. მან მოიპოვა 2001 წელს მან მოიპოვა საუკეთესო კომპოზიტორის ნოდება. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში გამოიყვა მისი არაერთი ნაწარმოების ნოტები, რომელთა გამოცემისათვის შერჩევა კონკურსის წესით ხდება.

ირაკლი ცინცაძე საქართველოში დაბრუნების შემდეგაც ინტენსიურად მუშაობს. იგი ავტორია 9 სიმფონიის (მათ შორის №2 სიმფონია შეირჩა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონკურსში და შესრულდა 2010 წელს), აგრეთვე კანტატის 4 სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისათვის, 2 ბალეტის: „საპატარძლო მეფისათვის“ და „დარეჯან ცბიერი“; კონცერტების ფორტეპიანოს, ჩელოს, ალტის, ვიოლინოს, კლარნეტისათვის და სხვ. სამწუხაროდ, საქართველოში ქართველი კომპოზიტორები არ არიან განეზივრებული მათი ნაწარმოებების შესრულებით, ამიტომაც მისი შემოქმედების დიდი ნაწილი ქართველი მსმენელისათვის დღემდე უცნობია.



ირაკლი ცინცაძე, ალექსანდრე შავერვაშვილი

ამჟამად გერმანიაში გამოვიდა ირაკლი ცინცაძის რიგით მეხუთე კომპაქტდისკი. ნაწარმოებების შერჩევა, რომელსაც გერმანული ხმისჩამწერი ფირმა გამოსცემს, ხდება კომპეტენტური ჟიურის მიერ და სასიხარულოა, რომ ირაკლი ცინცაძე უკვე მეხუთედ ხვდება რჩეულთა სიაში.



**ედინბურგში მიმდინარეობს ხელოვნების ფესტივალი**, რომელიც უკვე 60 წელზე მეტია შოტლანდიის დედაქალაქში ტარდება. იგი დაიწყო 9 აგვისტოს და გაგრძელდება 2 სექტემბრამდე. პროგრამაში უჩვეულოდ დიდი ადგილი დაეთმო მუსიკას. მარიის თეატრის ხელმძღვანელს ვალერი გერგიევს, რომელიც არის ედინბურგის ფესტივალის საპატიო პრეზიდენტი, ჰქონდა ოთხი გამოსვლა აგვისტოს შუა რიცხვებში. ხოლო ფესტივალის ფინალისათვის, 30-31 აგვისტოს და 1 სექტემბერს, მარიის თეატრთან ერთად წარმოდგენილი იქნება სერგეი პროკოფიევის ბალეტი „კონკია“ ალექსეი რატმანსკის ქორეოგრაფიით.

**ინგლისის ნაციონალურმა ოპერამ დაანსა ახალი პრემია** ახალგაზრდა, პესპექტიული დირიჟორებისათვის, რომელიც იქნება ჩარლზ მაკკერასის სახელობის. მასეტრო იყო თეატრის მუსიკალური დირექტორი 1970 წლიდან 1977 წლამდე. «Charles Mackerras Fellowship»-ის პრემიის მფლობელს შესაძლებლობა მიეცემა ორი წელი ისარგებლოს კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამით ინგლისის ნაციონალური ოპერის ამჟამინდელი მუსიკალური დირექტორის ედვარდ გარდნერის ხელმძღვანელობით. პირველი ლაურეატი დასახელდება აპრილში, და მისი ორწლიანი პროგრამა დაიწყება სეზონის და-

საწყისში. ოპერა ამჟამად ადგენს პრემიისათვის პოტენციური კანდიდატების სიას, სხვა მუსიკალური ინსტიტუტების და კოლეჯების ხელმძღვანელებთან ერთად.

**ჩიკაგოს ლირიკ ოპერამ გამოაცხადა 2012-2013 წწ. პროგრამა.** სეზონის მანძილზე დაგეგმილია 9 ოპერის 68 წარმოდგენა — ვერდის „სიმონ ბოკანერა“ და „რიგოლეტო“, რ. შტრაუსის „ელექტრა“, მასნეს „ვერტერი“, დონიცეტის „დონ პასკუალე“, ჰუმპერდინკის „გენზელი და გრეტელი“, პუჩინის „ბოჰემა“, ვაგნერის „ნიუნბერგელი მასტერზინგერები“ და ანდრე პრევინის „სურვილების ტრამვაი“. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იქნება ოთხჯერ, ბლანშ დიუ ბუას პარტიას შესარულებს თეატრის სამხატვრო კონსულტანტი რენე ფლემინგი. დაგეგმილია აგრეთვე ორი სოლო კონცერტი: 2013 წლის 24 იანვარს რენე ფლემინგისა და სიუზან გრეხემის, ხოლო მაისში ჩინელი პიანისტის — ლანგ ლანგის.

**2013 წლის 10 მაისს ანსამბლი ლეონიდ სლადკინის ხელმძღვანელობით შესარულებს ჩარლზ აივზის 4-ივე სიმფონიას.** ფესტივალში, რომელიც 6 დღე გაგრძელდება, მონაწილეობას მიიღებს ბალტიმორის, ოლბანის, ბაფალოს, არიგონას ეროვნული ორკესტრები ვაშინგ-

ტონიდან. თავდაპირველად მიწვეული იყო დეტროიტის ორკესტრიც, მაგრამ შარშანდელი ექვსთვიანი გაფიცვის გამო იძულებული შეიქნა უარი ეთქვა მიწვევაზე, მაგრამ რაც მათმა შემცვლელმა ცინცინატის ორკესტრმა დაკავებულობის გამო უარი თქვა მიწვევაზე, დეტროიტის ორკესტრი კვლავ მოხვდა მიწვეულთა სიაში.

**4 თქტომბერს მოსკოვის „ახალ ოპერაში“ შედგება რიხარდ შტრაუსის უკანასკნელი ოპერის „კაპრიჩიო“ პრემიერა.** ოპერის ლიბრეტო ეკუთვნის დირიჟორ კლემენს კრაუსს; მის შექმნაში რ. შტრაუსიც მონაწილეობდა. ლიბრეტო დანერვილია სტეფან ცვაიგის სასცენარო გეგმის მიხედვით. ოპერა კომპოზიტორმა დაწერა 77 წლის ასაკში. ესაა ოპერა ოპერის შესახებ; იგი სავსეა იუმორით და მუსიკალური ხუმრობებით. რუსეთში ოპერა „კაპრიჩიო“ არასდროს არ დადგმულა და შეიძლება ჩაითვალოს, რომ ესაა რუსული პრემიერა. ოპერა გააფორმა თეატრის მთავარმა მხატვარმა ვიქტორ გერასიმოვმა. მუსიკალური დადგმა ეკუთვნის ვალერი კრიცკოვს.

**კანადელმა დირიჟორმა იანიკ ნეიზენ-სეივენმა გააფორმა ხანგრძლივი კონტრაქტი ხმისჩამწერ ფირმა «Deutsche Grammophon»-თან.** ამ თანამშრომლობის გეგმებშია მეთად ამბიციური პროექტი — მო-



ცარტის 7 ოპერის ჩაწერა. სექტემბერში გამოვა „დონ ჟუანი“, რომელიც ჩაიწერეს შარშან საზაფხულო ფესტივალზე ბადენ-ბადენში. მონაწილეობდა მალერის სახელობის კამერული ორკესტრი და სოლისტები: ილდებრანდო დ'არკანჯელო, როლანდო ვილაზონი, დიანა დამრაუ და ჯოის დიდონატო. მეორე ოპერა „ასე იქცევა ყველა“ — მასეტრომ იმავე ფესტივალზე ჩაწერა 11 და 14 ივლისს ევროპის კამერულ ორკესტრთან ერთად. შემდეგ წლებში გამოვა დისკები ოპერების: „იდომენეა“, „სერალიდან მოტაცება“, „ფიგაროს ქორწინება“, „ტიტუსის გულმონყალება“ და „ჯადოსნური ფლეიტა“. ყველგან ტენორების წამყვან პარტიებს შეასრულებს როლანდო ვილაზონი..

**ბრიტანელი დირიჟორი პოლ დენიელი დაინიშნა აკვიტანიის ნაციონალური ორკესტრის დირექტორად.** ორკესტრის საბაზო ადგილი იქნება საფრანგეთის ქალაქი ბორდო. კონტრაქტი ძალაში შევა 2013-2014წწ. სეზონში. მასეტრო, სულ მცირე, 16 კვირა იდირიჟორებს ბორდოში და ერთხელ კი უდირიჟორებს ერთ საოპერო სპექტაკლს ბორდოს ნაციონალურ საოპერო თეატრში. 2013 წლის იანვარში, ინგლისის ნაციონალურ ოპერას ყოფილი მუსიკალური დირექტორი, დაიკავებს გალისიის სამეფო ფილარმონიული ორკესტრის მთავარი დირიჟორისა და მხატვრული ხელმძღვანელის პოსტს სანტიაგო-დე-კომპოსტელაში.

ამჟამად დენიელი არის დასავლეთ ავსტრალიის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი. მისი კონტრაქტი აქ 3013 წელს იწურება.

**ემილ გილელსის სახ. პიანისტოა VI საერთაშორისო კონკურსი ჩატარდება ოდესაში 2012 წლის 16-27 ოქტომბერს.** მასში მონაწილეობას მიიღებენ 16-დან 30 წლამდე პიანისტები. პრემიები: გრან-პრი — 10 000\$, I პრემია — 6 000\$, II — 4 000\$, III — 3 000\$. კონკურსი ტარდება ოდესის სახელმწიფო მუსიკალური აკადემიისა და ფილარმონიის ბაზაზე. ემილ გილელსის სახ. კონკურსი პირველად ჩატარდა 2001 წელს ოდესაში, მუსიკოსის სამშობლოში. 2003 წლიდან კონკურსი ტარდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ.

**I სექტემბერს, ლონდონში, ხელოვნების სამეფო აკადემიის ეზოში ჩატარდება ლონდონის ფილარმონიული ორკესტრის კონცერტი ღია ცის ქვეშ.** კონცერტი დაემთხვევა გამოფენის — „პარიზიდან: სიყვარული იმპრესიონიზმისადმი“ — გახსნას. აუღერდება რაველის, შოსონის, დიუპარკის და დიუკას ნაწარმოებები. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს სოპრანო დანიელ დენისი. გამოფენის ერთ-ერთმა კურატორმა მერი-ენ სტივენსმა აღნიშნა: „პერიოდი, რომელშიც ჩვენ

გამოფენის შედეგები და მუსიკა შეიქმნა, და რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან ჩვენს კონცერტში, იყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ნოვატორული ხანა საფრანგეთის ისტორიაში“. ბილეთების ფასი იქნება 12 ფუნტი. თუ ლატარეაში გაგიმართლებს, მათი შესყიდვა შეიძლება მხოლოდ გაზეთ «Guardian»-ის ვებ-გვერდზე. იმას, ვისაც არ გაუმართლებს ლატარეაში, შეუძლია კონცერტის პირდაპირი ტრანსლაცია მოსმინოს ამავე საიტზე არა მხოლოდ კონცერტის დღეს, არამედ კიდევ 14 დღე კონცერტის შემდეგ.

**გამოცხადდა ამერიკული ჟურნალის «Opera News» 2012 წლის პრემიის ლაურეატები** — ხუთი გამომჩენილი არტისტი „რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს საოპერო ხელოვნებაში“, ესენია: იტალიელი სოპრანო მირელა ფრენი, ამერიკელი სოპრანო დონ აპოუ, ამერიკელი კონტრტენორი დევიდ დენიელსი, ბრიტანელი ბარიტონი საიმონ კინლისაიდი და ამერიკელი ბანი-ბარიტონი ერიკ ოუენსი. მერვე ყოველწლიური დაჯილდოება «Opera News»-ის პრემიების გადაცემის ცერემონიული ჩატარდება მომავალი წლის 21 აპრილს, ნიუ-იორკში. ლონისძიებიდან შემოსული თანხა მოხმარდება მეტროპოლიტენ ოპერის გილდის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

## summary

### **Festival** **Nargiza Gardapkhadze**

#### *The 7<sup>th</sup> Festival “From Easter to the Ascension Day”*



The Festival “From Easter to the Ascension day” was held the 7<sup>th</sup> time this year. The festival is held under the blessing of Georgia’s Patriarch Ilia II and is

partially financed by his foundation. Famous musicians of the world get together at the festival, and it is natural that it turns into a festivity for Georgian listeners. In the course of these years the artistic supervisors of the festival were distinguished Georgian musicians: 2006 – pianist Valerian Shiu-kashvili; 2007 – composer Bidzina Kvernadze; 2008 – violinist Liana Isakadze; 2009 conductor Nikoloz Rachveli; 2010 – violinist Marine Iashvili, 2011 – pianist Aleksandre Korsantia.

The article deals with the concerts both in Tbilisi and in the Batumi. The author also presents interviews with the organizers of the festival and invited musicians, among them with pianist Giorgi Vachnadze, violoncellist Suren Bagratuni, composer Ioseb Bardanashvili, the artistic supervisor of the festival Aleksandre Korsantia, etc. Controversy.

### **Image** **Rusudan Kutateladze**

#### *The Inhabitant of the National Musical Parnassus*

The article is dedicated to the eminent Georgian violinist, professor of the Moscow Conservatoire,



Sh. Rustaveli Prize Laureate, Georgia’s people’s artiste Marine Iashvili. The article deals with her merit before the Georgian school of violinists

and the school of composers, with her recognition on the international arena; she was the laureate of Czechoslovak (now Czech) Ian Kubelik competition Poland’s K.Venyavski, Belgian Queen Elizabeth’s competitions; she had concerts in many countries of the world.

The biography of the celebrated Georgian artiste ended on July 8, 2012. She was 17 when she first became a winner of an international competition, and became not only its laureate, but made the first step on the road to Parnassus. And later she lived a long worthy life. She served her profession faithfully, devotedly. She left an example of passionate love for her country and this engraved her name in the annals of the Georgian musical culture with golden letters.

### **Polemic** *Thoughts, Concerning a Monument*



Evgeni Mikeladze, a conductor of genius, a legendary person who became a victim of the ruthless time, of the political situation of our nearest past.

The article is dedicated to the question of the monument to the celebrated Georgian conductor Evgeni Mike-

ladze which the Georgian society has been waiting for a long time. Fortunately this general wish came true and in 2001 an impressive bust, made by Giorgi Shkhvatsabaya, was erected, though the territory where it was placed caused a feeling of discontent. These are the topics of discussion of the representatives of the Georgian culture – producer and film director **Giga Lordkipanidze**, singer **Nodar Andguladze** and sculptor, the author of the bust – **Giorgi Shkhvatsabaya**.

### A portrait

**Nana Kavtaradze**

#### *The Song That Will Live Long*



The author presents an interesting analytical portrait of the eminent composer of the Georgian singing genre Mrs. **Nunu Dugashvili**. As the author writes it is not so easy to create an artistically perfect song in the country that created unique polyphony, where a great number of famous composers of this genre were born. Composer Nunu Dugashvili has overcome this difficulty and has created a number of splendid specimens. The author discusses and analyses the composer's creative work and her separate songs. She also pays

attention to the composer's instrumental works, and the music, written for films, the melody that sounded at the beginning of the informational program "Moambe" of Georgia's television and the song "You have made me mad" by whose melody the Georgian television program began and ended for several years.

### From a certain region

**Dimitri Iamanidze**

#### *Vladimir Bogoradi*



The article is an excerpt from the book "We Take Equal Shares of the Heavenly Gift", dedicated to the 35<sup>th</sup> anniversary of Teimuraz Kobakhidze Kutaisi State Symphony Orchestra. It is dedicated to the celebrated conductor, bassoonist, the owner of many international Grand Prix prizes – Vladimir Bogoradi who cooperated with the Kutaisi orchestra. V. Bogoradi was the initiator of making a telefilm of Davit Toradze's ballet "Mtsiri" and its producer and conductor; Mtsiri (Hermit) was played by the people's artiste of the USSR, Lenin Prize winner Vladimir Lavrovski – the director was Zaal Kakabadze. This film obtained Grand Prix, at the international competition of ballet telefilms in New-York in 1978. In later years this splendid triad, headed and conducted by Vladimir, created many films: "Choreographic Miniatures", "Prometheus" "Ali-Baba and Forty Robbers", etc. The author of the article offers the reader very interesting reminiscences.



**A Dialogue with an Artist**

**Lali Kakulia**

*Composer German Japaridze  
(Sketches of Portrait Studies)*



Almost a score of years has passed since composer German Japaridze left Georgia and moved to Moscow together with his family. Since that time his creative work became connected with Moscow's Composers' Union. During these 17-18 years his contacts with

his Georgian colleagues were limited by short telephone and electronic connections. This, of course, did not enable us to actively follow the process of his creative development.

Composer German Japaridze arrived in Georgia a couple of years ago and the author had a chance to speak to him. The author of the article has an interesting dialogue with the composer and simultaneously surveys his creative life and its characteristic features.

**New Names**

*A Young Pianist's Success*



The rubric "New Names" deals with the success of a little Georgian pianist **Elene Shaverzashvili** at the international competition "the American Pro-

tégé International Piano and Strings Competition 2012" (New-York, USA) in which young musicians from more than 20 countries of the world took part. Elene performed Chopin's etude op.10 No 5, Debussy's "Slow Waltz" ("La Plus Que Lente") and Rakhmaninov's "Punchinello" presented to the competition in the record and was awarded the 2<sup>nd</sup> prize and the title of a laureate by the judges. Then she took part in the ceremony of rewarding the competition laureates and in the concert that took place in New-York, in the Weill Recital Hall of Carnegie Hall.

**Annals**

**Giorgi Kraveishvili**

*Kote Pirtskhalava – a Forgotten Opera Singer*




The article is about the opera singer Kote Pirtskhalava (tenor), who was a soloist of the Tbilisi Opera-House in the 60-s of the previous century till his death (1975). The singers Nodar Andguladze and Eldar Getsadze remember him. They highly appreciate separate parts, performed by K. Pirtskhalava. Nodar Andguladze remarks: "In my opinion, "Luccia di Lamermoor", "Don Pasquale" and "Abessalom" were Kote's chef-d'oeuvres really. He brilliantly sang Rakhmaninov's "stingy Knight", this most difficult opera and it was this that conditioned his being appointed to sing in the first night of "The Hermit". The author of the article remarks that he is very sorry there are very few records of his singing in the archives of the radio and television. The composer Vazha Azarashvili also remembers the singer warmly.

## From the House-Museum of Zacharia Paliashvili

Tamar Tsulukidze

### *Unexpected Guests*



The article narrates the story of the performance of Zacharia Paliashvili's Liturgy in America and the American guests who carried out this project.

Some time ago American guests visited Zacharia Paliashvili's House-Museum unexpectedly. While speaking about Paliashvili's life and work, it appeared that they were well aware of all this. Then they added that they had performed Paliashvili's liturgy in America and they dreamed of seeing its manuscript. They turned out to be the initiators of performing Zacharia Paliashvili's Liturgy in America and the founder of the capital hall – **Parker Jaeine**, the regent of the church choir – **Frederic Binkholder**. The author tells us about their new project – to come to Georgia and to perform the Liturgy here.

### A Sketch

Rusudan Khojava

### *Otar Gordeli and His Piano Sonatina*



The article is dedicated to a distinguished Georgian composer Otar Gordeli and one of his works – a piano sonatina. The author offers us its analysis. The author recalls the

50-s – 60-s of the previous century, the period when she studied in the Moscow Conservatoire, in the class of Aleksandr Goldenveizer, and at this very time three most talented Georgian composers studied there at the same time – these were Merab Partskhaladze, Sul Khan Tsintsadze and Otar Gordeli. The author is very sorry that Otar Gordeli's work is more appreciated abroad than in his own country. Otar Gordeli's concerto for the flute is in the compulsory programme of almost all the higher educational institutions of the USA and is performed at every competition . . . Otar Gordeli's concerto for the flute was in the repertoire of the Chicago Orchestra for 30 years – the soloist Wilfred Coujala. The author writes that Racid Peter performed it in Washington with the Seattle Orchestra, and Candy Chang not very long ago.

### Folklore

Tamar Gabisonia

### *“Let us speak of the Lord first”*

*(Christianity in the Georgian traditional music)*



The existence of Christian motives in the oldest Georgian folk music is successively shown in the article.

The author says that it is difficult to call the Georgian traditional musical culture uniformly only Christian, but one thing is clear, that from the religious-mythological point of view the leading idea in it is Christian. As for the pagan motives in the Georgian folk song, they are preserved as a habit, and the Christian themes and attributes are mostly considered. The author corroborates his ideas with separate specimens of folk songs and hymns.

*Transformations*



The magazine “Musika” (“Music”) starts a new rubric “Transformations” in which the Georgian musicians’ work in other spheres, their interests apart from music will be presented. We had this rubric in the newspaper “Musica” (Music”) (1995-2000). It caused great

interest. Conductor Rezo Takidze’s translations of Pushkin’s poetry and pianist and composer Merab Jaiani’s translations of Mandelshtam’s poetry were published in this rubric of the newspaper, also the caricatures of Vakhtang Kutsia, member of the ensemble “Orera”, etc.

This time this rubric offers the reader the musicologist **Rusudan Kutateladze’s** translation from the Chinese language, viz. Fu Sunlin’s, i.e. Liaotchai’s (1622-1715) story from the book “Liaotchai, Stories” (2010). The story was selected due to its connection with music. We also offer you the review of the book by Doctor of Philology **Manana Tabidze.**

**Memory**  
**Vazha Dzigua**

*Unique*

The article is about the evening, dedicated to the memory of the greatest Georgian singer **Zurab Anjaparidze** which took place in the hall of Akaki Khorava Actor’s House on April 13, the day of his death.

The author gives a many-sided picture of the singer’s personality – as a singer, a partner, a man; speaks of his repertoire and unforgettable



parts, his role in the Georgian music and finally concludes: while opera as art and the Tbilisi Theater of Opera and Ballet exist in whose garden the Georgian people buried their beloved singer –beside Zacharia Paliashvili, Vano Saragishvili and Od-

yssei Dimitriadi, Zurab Anjaparidze’s name will not be forgotten.

**Georgian Music Abroad**  
**Mzia Japaridze**

*The Emigrational Biography of a Georgian Quartet*



The last decade of the 20<sup>th</sup> century proved to be the toughest period in the history of Georgia. Many Georgians left their country seeking shelter abroad, among them were many cultural workers and scientific scholars. Such migrants included the members of the TV-Radio Quartet: Gia Melikishvili (1<sup>st</sup> violin), Gia Khintibidze (2<sup>nd</sup> violin), Archil



(Tato) Kharadze (viola) and Rezo Machabeli (cello). They were a great success in Georgia; later going by the name Quartet “Tbilisi”, they soon found good fortune in France as well.

Many years passed since then and without us having the possibility of neither listening to the quartet’s music nor talking to any of its members. One of the musicians of the group, **violinist Archil Kharadze**, recently visited Tbilisi. The respondent speaks on the emigrational history of the quartet and its creative activity.

### Trace

#### *The Man Who Loved Paliashvili*




The article is dedicated to the founder and director of Zacharia Paliashvili’s House-Museum (he was director of this house for 30 years) whose care of this museum was inestimable. However paradoxical it may sound 25 years have passed since **Vazha Chinchaladze**’s death and only not long ago, on May 18, 2012 the evening dedicated to his memory was held. The workers of the Georgian culture – musicologist Manana Akhmeteli, director Gizo Zhordania, painter Merab Berdzenishvili and camera-man, Zacharia Paliashvili’s nephew, Nodar Paliashvili remember this amazing enthusiast and passionate patriot of Zacharia Paliashvili.

### *New Publications*



Two new publications are discussed in the rubric. One of these is **Merab Odzelashvili**’s manual of “The Theory of Jazz and the Systematic Course of Practice”. According to specialists’ assessment it is impossible to form professional habits of performing the jazz music, improvisation, arrangement and composition without knowing the material, presented in this book. Supposedly, the manual will occupy an honorable place on the book shelves of both professional and amateur musicians.



The second publication is **Irakli Tsintsadze**’s new, the fifth compact disc, published in Germany. The composer worked in Germany for several years, was DAAD grant aided student for doctor’s degree; he has been awarded the first prize of the New York chamber music international competition. The German publishing house “Keturi musikverlag” has bought more than 15 of his chamber-instrumental and symphonic works. 5 compact discs have been published. He is member of GEMA, defending authors’ rights. He obtained the title of the best composer of 2001. It must be noted that the music of many of his works was published in Germany. The selection of such works usually takes place by competition.

*A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material.*

- 1) a) Josif Bardanashvili. "Fantazy". Performed by Edisher Savitski;\* b) Otar Tatishvili. violin concerto, part 2 (The Ascension.) Performed by Georgian Chamber Orchestra – "Symphonietta", solist Nino Davitashvili. (Feature: "The 7<sup>th</sup> Festival "From Easter to the Ascension Day", p. 2);\*
- 2) Alexi Machavariani. "Otello" - "Dancing Cyprus" Performed by author of the violin version - Marine Iashvili. (Feature: "The Inhabitant of the National Musical Parnassus", p. 18);
- 3) Nunu Dugashvili. "The Anthem to Kakhatia". Performed by Lela Sixarulidze. (Feature: "The Song That Will Live Long", p. 24);
- 4) German Japaridze. "Motley Stories" (10 miniature for guitar quartet). Performed by guitar quartet with the management of Yuri Aleshnikov. (Feature: "Composer German Japaridze" (Sketches of Portrait Studies), p. 32);
- 5) Sergei Rachmaninoff - "Polichinelle" Performed by Elene Shaverzashvili. Feature: " A Young Pianist's Success", p. 39);
- 6) Otar Gordeli. Piano Sonatina. Performed by Rusudan Khojava. (Feature: "Otar Gordeli and His Piano Sonatina", p. 47);
- 7) a) Georgian Folk - "Chven mshvidoba" (from Guria region). Performed by Ermile molashvili, Gigo and Artem Erkomaishvili. 1907; b) "Shen Xar Venaxi". Performed by Levan Muhalashvili's choir. 1957. (Feature: "Let us speak of the Lord first" (Christianity in the Georgian traditional music), p. 51);
- 8) Pyotr Tchaikovsky. "The Queen of Spades". Herman's aria. Performed by Zurab Andjaparidze. (Feature: " Unique", p. 61);
- 9) Mixeil Odzeli. Quartet #1, fragment. Performed by TV-Radio Quartet: Levan Chxeidze (1<sup>st</sup> violin), Gia Khintibidze (2<sup>nd</sup> violin), Archil (Tato) Kharadze (viola) and Rezo Machabeli (cello). 1981. (Feature: "The Emigrational Biography of a Georgian Quartet". p. 65);
- 10) Irakli Tsintsadze. "24 miniatures by celeste". Miniature # 1. ) (Heading: " New Publications". p. 78);



\* Recorded by radio "muza"



The editorial board: Mikahel Odzeli, Editor-in-Chief; editors: mmes: Mzia Jafaridze and Tamar Tsulukidze;  
 design: Vakhtang Rurua, Vano Kiknadze, Gogi Chepkhodze.  
 Translated by Ketevan Makalatia.  
 Address; 123 D. Agmashenebeli str. Tbilisi  
 Tel;(+99532)295 41 64: (+995 32)296 75 05  
 Fax; (+995 32) 96 86 78